

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში

უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში

შესავალი

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში

სახელი თუნინგი პროექტისთვის შეირჩა იმის საჩვენებლად, რომ უნივერსიტეტები კი არ ისწრაფიან პროგრამების ერთფეროვნებისაკენ ან გეგმავენ ერთი უნიფიცირებული ან დეტალურ ინსტრუქციის მქონე და უკვე განსაზღვრული ევროპული კურიკულუმის განხორციელებას, არამედ ისინი დაინტერესებულნი არიან ათვლის წერტილების შექმნით და სტიმულს აძლევენ პროგრამების დაახლოებასა და ერთნაირ გაგებას. ევროპული განათლების მდიდარი მრავალფეროვნების დაცვა იმთავითვე თუნინგის პროექტის უმთავრეს საკითხი იყო და მის განზრახვაში არ შედის აკადემიური პერსონალისა და დარგის სპეციალისტების დამოუკიდებლობის შეზღუდვა ან ადგილობრივი თუ ეროვნული აკადემიური წრეებისათვის ზიანის მიყენება.

თუნინგის პროექტს მხარს უჭერს ევროკომისია სოკრატეს პროგრამის ფარგლებში. წიგნში მოცემული პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებებს და ევროკომისია პასუხისმგებელი არაა მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე.

© Tuning project

თუნინგის პროექტის ფარგლებში მომზადებული ნებისმიერი მასალა მისი ოფიციალური მონაწილეების საკუთრებაა. სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ თავისუფლად გამოსცადონ და გამოიყენონ მასალები წყაროს მითითებით.

მეორე გამოცემა, თებერვალი 2008

რედაქტორები

ხულია გონზალესი და რობერტ ვაგენაარი

ქართული გამოცემის მთარგმნელ-რედაქტორი

ლალი ბაქრაძე

თბილისი, 2008

სარჩევი

1. შესავალი

2. თუნინგის მეთოდოლოგია

3. კომპეტენციები სწავლებისა და სწავლის პროცესში

4. ECTS, სტუდენტის დატვირთვა და სწავლის შედეგები

4.0. შესავალი

4.1. საგანმანათლებლო სტრუქტურა, სწავლის შედეგები, სტუდენტის დატვირთვა და ECTS-ის კრედიტების გამოთვლა

4.2. სტუდენტის დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები: თუნინგის მიდგომა

5. სწავლების, სწავლების და შეფასების მიდგომები კომპეტენციებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროგრამებში

6. ხარისხის გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე: თუნინგის მიდგომა

7. თუნინგის ტერმინების ლექსიკონი

1. შესავალი

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში უნივერსიტეტების მიერ მართული პროექტია, რომლის მიზანია ბოლონის პროცესის განსახორციელებლად უნივერსალური მიდგომის შეთავაზება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დარგობრივი სფეროების დონეზე. თუნინგის ეს მიდგომა მოიცავს ბოლონის თითოეული საფეხურისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განვითარების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიას.

უფრო მეტიც, თუნინგი არის პლატფორმა დარგობრივი სფეროების დონეზე ათვლის წერტილების განვითარებისათვის. იგი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობისათვის. სწავლის შედეგები არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ. კერძოდ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეემძლოს მას სწავლის დასრულების შემდეგ. თუნინგის თანახმად, სწავლის შედეგები აღიწერება სტუდენტის მიერ მიღწეული *კომპეტენციის დონის* ტერმინით. კომპეტენციები შემეცნებითი და მეტა-შემეცნებითი უნარების, ცოდნისა და გაცნობიერების, ინტერპერსონალური, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური ღირებულებების დინამიური კომბინაციაა. ამ კომპეტენციების გამომუშავება ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენციები ფორმირდება სხვადასხვა კურსის ერთეულის მიერ და ფასდება პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე. ზოგიერთი კომპეტენცია დარგობრივ სფეროსთანაა დაკავშირებული (სპეციფიკურია სწავლის სფეროსათვის), ზოგიერთი კი ზოგადია (საერთოა ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამისათვის). ჩვეულებრივად კომპეტენცია ვითარდება ინტეგრირებული და ციკლური გზით მთელი პროგრამის განმავლობაში. სწავლის დონეების შესადარობისათვის თუნინგის დარგობრივმა ჯგუფებმა შეიმუშავეს საფეხურის (დონის) დესკრიპტორები/მახასიათებლები, რომლებიც ასევე კომპეტენციის ტერმინებითაა აღწერილი.

თუნინგის თანახმად სამსაფეხურიანი სისტემის შემოღება ითვალისწინებს პერსონალზე ორიენტირებული მიდგომიდან სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლას. თუნინგმა ევროპის მასშტაბით განახორციელა საკონსულტაციო პროცესი, რომელიც მოიცავდა დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და აკადემიურ პერსონალს, რათა განესაზღვრა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციები, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს ან განვითარდეს საგანმანათლებლო პროგრამაში. ამ კონსულტაციის შედეგები აისახა თითოეული დარგობრივი ჯგუფისათვის განსაზღვრულ ათვლის წერტილების ნაკრებში (ზოგადი და დარგის სპეციფიკური კომპეტენციები).

სამსაფეხურიანი სისტემის განხორციელების საკითხთან ერთად თუნინგმა ასევე ყურადღება დაუთმო ევროპის მასშტაბით კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაზე (ECTS) დაფუძნებული სტუდენტის დატვირთვის გამოყენებას. თუნინგის თანახმად ECTS-ი არა მხოლოდ სტუდენტების მობილობას უწყობს ხელს კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მეშვეობით, არამედ მას ასევე შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების ხელშეწყობაც, განსაკუთრებით კი თანმხვედრი კურსის ერთეულების მიერ სტუდენტებისათვის წაყენებული მოთხოვნების კოორდინირებითა და რაციონალიზაციით. სხვა სიტყვებით, ECTS საშუალებას გვაძლევს დავგეგმოთ სტუდენტის დროის საუკეთესოდ გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის მიზნების მისაღწევად, ვიდრე გავითვალისწინოთ მასწავლებლის დრო, როგორც ლიმიტირებული და სტუდენტის დრო კი ძირითადად, როგორც შეუზღუდავი. თუნინგის მიდგომის თანახმად კრედიტების მინიჭება ხდება მხოლოდ სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიდგომების გამოყენება ასევე ითვალისწინებს ცვლილებებს პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებშიც. თუნინგმა განსაზღვრა მიდგომები და წარმატებული მაგალითები ზოგადი და დარგის სპეციფიკური კომპეტენციების ფორმირებისათვის.

და ბოლოს, თუნინგმა ყურადღება გაამახვილა ხარისხის როლზე საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების პროცესში. მან განავითარა ხარისხის ამბლებების მიდგომა, რომელიც მოიცავს სწავლის ჯაჭვის ყველა ელემენტს. ასევე შემუშავდა ინსტრუმენტების მთელი რიგი და განისაზღვრა წარმატებული მაგალითები, რომელიც დაეხმარება უმაღლეს სასწავლებლებს გაამყაროს თავისი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი.

თუნინგი დაიწყო 2000 წელს ევროკომისიის სერიოზული ფინანსური და მორალური მხარდაჭერით. იგი ამჟამად ბოლონის პროცესის წევრი ქვეყნების უმეტესობას აერთიანებს.

თუნინგის მიერ განხორციელებული სამუშაო აღიარებულია ბოლონის პროცესის ყველა წევრი ქვეყნისა და მასში ჩართული ძირითადი აქტორების მიერ. 2003 წლის სექტემბერში ბერლინის კონფერენციაზე, საგანმანათლებლო პროგრამები განისაზღვრა, როგორც ბოლონის პროცესისათვის ცენტრალური როლის მქონე. კონცეპტუალური ჩარჩო, რომელსაც ეფუძნება ბერლინის კომუნიკე სრულ თანხმობაშია თუნინგის მიდგომასთან. ამას ადასტურებს გამოყენებული ლექსიკაც, მინისტრები მიუთითებენ, რომ ხარისხები უნდა აღიწეროს სტუდენტის დატვირთვის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და პროფილის ტერმინებით.

ბერლინის კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენს, ბოლონის პროცესის სამუშაო ჯგუფის მიერ *კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს* (EQF) შექმნის ინიციატივა, რომელიც თავისი არსითა და ფორმულირებებით სრულ თანხმობაშია თუნინგის მიდგომებთან. 2005 წლის მაისში ეს ჩარჩო მიიღო ბერგენის სამიტმა. კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო იყენებს, როგორც “ხარისხის ერთობლივი ინიციატივის” (JQI) ასევე თუნინგის შედეგებს. “ხარისხის ერთობლივი ინიციატივის” უმაღლესი განათლების ექსპერტების არაფორმალური ჯგუფის მიერ შეიქმნა კრიტერიუმების ნაკრები სხვადასხვა საფეხურს შორის ძირითადი და ზოგადი განსხვავების საჩვენებლად. ეს კრიტერიუმები ცნობილია როგორც “დუბლინის დესკრიპტორები”.

“ხარისხის ერთობლივი ინიციატივა” და თუნინგი იმთავითვე ურთიერთშემავსებელ პროექტებად განიხილებოდა. “ხარისხის ერთობლივი ინიციატივა” ფოკუსირებულია ზოგად ტერმინებში აღწერილი საფეხურების შესადარობაზე, თუნინგი კი აღწერს საფეხურების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს დარგობრივი სფეროს დონეზე.

სამივე ინიციატივის (EQF, JQI, თუნინგი) ძირითადი მიზანი ევროპული უმაღლესი განათლების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო არის წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ვინაიდან იგი იძლევა სახელმძღვანელო პრინციპებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, ასევე კრედიტებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოების ჩამოსაყალიბებლად. ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და საზოგადოებას შორის დიალოგისა და კონსულტაციების გამართვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებობს პარალელები კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოსა და თუნინგს შორის – კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოს შემთხვევაში ეს მართებულია მთლიანად უმაღლესი განათლების სისტემასთან მიმართებაში, ხოლო თუნინგთან კი ხარისხების პროფილებთან დაკავშირებით.

2006 წლის ზაფხულში ევროკომისიამ დაიწყო მუშაობა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის (LLL). მისი ამოცანაა ერთ ძირითად ჩარჩოში მოაქციოს სწავლის ყველა ტიპი. ამასთან, კონცეფციები, რომელსაც ეფუძნება კვალიფიკაციების

ჩარჩო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის, განსხვავებულია. თუმცა ორივე თვსებადია თუნინგის მიდგომასთან. ზემოაღნიშნული ორი ინიციატივის მსგავსად ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის ასევე ეფუძნება კომპეტენციების კონცეფციის განვითარებას. თუნინგის გადმოსახედიდან კვალიფიკაციების ჩარჩოს ორივე ინიციატივას გააჩნია თავისი ღირებულება და ორივე შესაბამის როლს ითამაშებს განათლების ევროპული სივრცის შემდგომ განვითარებაში.

წინამდებარე წიგნი მოიცავს თუნინგის პროექტის მიერ შემუშავებულ საკვანძო, ზოგად დოკუმენტებს. ისინი სინთეზურად ასახავენ თუნინგის წევრების მიერ მიღწეულ კონსესუსს სარჩევში მითითებულ საკითხებზე. წიგნის ყველა ნაწილი, ვრცელი სახით, გამოქვეყნებულია თუნინგ 1-ის და თუნინგ 2-ის წიგნებში და ასევე თუნინგის ვებგვერდზე. წინამდებარე წიგნისათვის არსებული მასალა განახლდა და გადამუშავდა.

უფრო მეტიც, სპეციალური წიგნები მომზადდა თუნინგის პროექტის ყველა დარგობრივი სფეროსათვის. თითოეული მათგანი მოიცავს ერთი დარგობრივი სფეროს ზოგად აღწერას დაფუძნებულს თუნინგის პროცესში იდენტიფიცირებულ ათვლის წერტილებზე. კერძოდ, ეს ბროშურები კონცენტრირებულია ბოლონიის სამსაფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) სისტემის პირველ და მეორე საფეხურზე. მესამე საფეხურის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მოძიება, ორივე ზოგად და დარგობრივი სფეროს დონეზე, შესაძლებელია თუნინგის ჟურნალის პირველ ნაწილში.

იმედი გვაქვს, რომ მასალა, რომელიც მოცემულია წინამდებარე წიგნში უაღრესად სასარგებლო იქნება ბოლონიის პროცესის განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და დაეხმარება მათ მომეზნონ და გამოიყენონ მათთვის ყველაზე შესაფერისი ინსტრუმენტები საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებისა თუ შემუშავებისას, რათა პასუხი გასცენ საზოგადოების სადღეისო მოთხოვნებს.

თუნინგის მმართველი კომიტეტი
დეკემბერი, 2006

2. თუნინგის მეთოდოლოგია

თუნინგის დევიზი:

**საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და პროგრამების ურთიერთშეწყობა
მრავალფეროვნებისა და ავტონომიურობის საფუძველზე.**

თუნინგის პროექტის ფარგლებში, კურიკულუმების გაგებისა და მათი შესადარობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა მეთოდოლოგია. დარგობრივ ჯგუფებში დისკუსიების გასამართად განისაზღვრა ხუთი საკითხი:

- 1) ზოგადი კომპეტენციები ან ტრანსფერული უნარები;
- 2) დარგის სპეციფიკური კომპეტენციები;
- 3) ევროპული კრედიტებისა და ტრანსფერის სისტემის (ECTS), როგორც დაგროვების სისტემის როლი;
- 4) სწავლის, სწავლებისა და შეფასების მიდგომები;
- 5) საგანმანათლებლო პროცესში ხარისხის ამაღლების როლი (შიდაინსტიტუციურ ხარისხის კულტურაზე დაფუძნებული სისტემების განსაკუთრებული მნიშვნელობა).

თუნინგის პროექტის პირველ ფაზაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირველ სამ საკითხს. მეოთხე და მეხუთე საკითხებმა ცენტრალური ადგილი დაიკავა პროექტის მეორე ფაზაში (2003-2004). მესამე ფაზა ორიენტირებული იყო მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა), ისევე როგორც თუნინგის პრინციპების პრაქტიკაში, ზოგადად უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ კი დარგობრივი სფეროების დონეზე, განხორციელების სტრატეგიის განვითარებაზე.

თითოეული ზემოთ აღნიშნული საკითხი წინასწარ განსაზღვრული პროცესის მიხედვით განვითარდა. საწყისი წერტილი იყო ევროპის დონეზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განახლება. ეს ინფორმაცია გახდა, ამჯერად უკვე, ცხრა დარგობრივი სფეროს ექსპერტთა ჯგუფების განსჯისა და დისკუსიის საგანი. ამ ჯგუფების ნამუშევარი, დამტკიცებული შესაბამისი ევროპული ქსელების მიერ, უზრუნველყოფს ევროპულ დონეზე არსებული მდგომარეობის გაცნობიერებასა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებას. თუნინგის მიდგომის ეს 5 მიმართულება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს განახორციელონ თავისი კურიკულუმების „ურთიერთშეწყობა“ ავტონომიურობის დაკარგვის გარეშე და იმავდროულად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების სტიმულირება სიახლეების დასანერგად.

თუნინგის მოდელი

გარდა აღნიშნულისა, თუნინგმა შეიმუშავა კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელებისა და გადაცემის მოდელი, რომლის შეთავაზებაც შესაძლებელია ერთი სასწავლებლის, ან ერთობლივად ორი ან მეტი სასწავლებლის მიერ. ლოკალური ან (საერთაშორისო) ინტეგრირებული/ერთობლივი აკადემიური ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესისათვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ნაბიჯები:

1. საბაზო პირობების დაკმაყოფილება

- ყველა სასწავლო პროგრამისათვის:

- რეგიონულ/ეროვნულ/ევროპულ დონეზე განსაზღვრულია თუ არა პროგრამის სოციალური საჭიროება? ეს განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან

(დამსაქმებლები, პროფესიონალები და პროფესიული ორგანიზაციები)
კონსულტაციის საფუძველზე?

- აკადემიური თვალსაზრისიდან გამომდინარე არის თუ არა პროგრამა საკმარისად საინტერესო? იდენტიფიცირებულია თუ არა საერთო ათვლის წერტილები?
- ხელმისაწვდომია თუ არა პროგრამისათვის აუცილებელი რესურსები სასწავლებლის შიგნით ან, თუ სავალდებულოა, გარეთ, პარტნიორ ინსტიტუტ(ებ)ში?

- ერთზე მეტი სასწავლებლის მიერ შემოთავაზებული საერთაშორისო აკადემიური ხარისხის პროგრამებისათვის:

- არსებობს თუ არა შესაბამისი სასწავლებლების ვალდებულება? რა საფუძვლით: ოფიციალური ხელშეკრულება ან სტრატეგიული ალიანსი?
- არსებობს თუ არა საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ პროგრამა სამართლებრივად აღიარებული იქნება სხადასხვა ქვეყანაში?
- არსებობს შეთანხმება პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც დაგეგმილია სტუდენტის დატვირთვაზე დაფუძნებული ECTS-ის კრედიტების შესაბამისად?

2. აკადემიური ხარისხის პროფილის დეფინიცია

3. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, ასევე სწავლის შედეგების (ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით) აღწერა, რომელებიც მიღწეულ უნდა იქნეს

4. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების იდენტიფიცირება

5. კურიკულუმში გადატანა: შინაარსი (ჩამოთვლილ უნდა იქნეს საკითხები) და სტრუქტურა (მოდულები და კრედიტები)


6. საგანმანათლებლო ერთეულებსა (კურსი/მოდული) და აქტივობებში გადატანა, განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად

7. სწავლებისა და სწავლის (მეთოდები, ტექნიკა და ფორმატი) მიდგომების, ასევე სტუდენტის შეფასების მეთოდების (როცა საჭიროა, სასწავლო მასალის შემუშავება) განსაზღვრა

8. ხარისხის განუხრელი ამალღების მიზნით, შესაბამისი შეფასების სისტემის განვითარება.

აღნიშნული პროცესი ასახულია შემდეგ სქემაში:

თუნინგის ხარისხის განვითარების დინამიური წრე



ეს მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ პროგრამები შეიძლება და უნდა გაუმჯობესდეს არა მარტო უკუკვების, არამედ წინსვლის საფუძველზეც და ითვალისწინებდეს განვითარებას, როგორც საზოგადოებაში, ასევე შესაბამის აკადემიურ სფეროში. მოდელში ეს ილუსტრირებულია პროგრესირებადი წრეების სახით.

ECTS

თუნინგის ერთ-ერთ მთავარი ინოვაციაა სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და ECTS-ის დატვირთვაზე დაფუძნებული კრედიტების დაკავშირება. აუცილებელი გახდა ECTS-ის, როგორც თუნინგის პირველი ფაზის ნაწილის, ახალი კონცეფციის განვითარება. ეს კონცეფცია გულისხმობს კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის გარდაქმნას კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემად, რომელშიც კრედიტი არა შეფარდებითი, არამედ აბსოლუტური ერთეულია და სწავლის შედეგებთანაა დაკავშირებული. ECTS-ის ახალ სისტემაში კრედიტების მინიჭება დამოკიდებულია კურსის ერთეულის ან მოდულისათვის სასურველი სწავლის შედეგების სრულ მიღწევაზე. მისი ფილოსოფია და მახასიათებლები ასახულია დოკუმენტში “საგანმანათლებლო სტრუქტურები, სწავლის შედეგები, სასწავლო

დატვირთვა და ECTS კრედიტების კალკულაცია”, რომელიც საფუძვლად დაედო ECTS-ის ახალ ცნობარს, რომელიც გამოაქვეყნა ევროკომისიამ 2004 წლის ზაფხულში.¹

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ორ ან სამ საფეხურიანი სისტემის შემოღება აუცილებელს ხდის ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამის რევიზიას, რომელიც დაფუძნებული არაა საფეხურების კონცეფციაზე. პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს ამ პროგრამების დიზაინის გადასინჯვა, ვინაიდან საფეხურებიან სისტემაში თითოეული საფეხური განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. პირველი ორი საფეხური არა მარტო შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, არამედ შრომის ბაზარზე გასვლის საშუალებასაც იძლევა. აღნიშნული მიუთითებს კომპეტენციების კონცეფციის, როგორც სწავლის შედეგების საფუძვლის, გამოყენების რელევანტურობაზე.

თუნინგი განასხვავებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, რათა გთვალსაჩინო გახადოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხარეების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების, როლები. სწავლის პროცესის სასურველი სწავლის შედეგები ფორმულირებულია აკადემიური პერსონალის მიერ ამ საქმიანობაში უპირატესად სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართვითა და შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით. სწავლის პროცესის განმავლობაში სტუდენტი იძენს ან აწვითარებს კომპეტენციებს. სხვა სიტყვებით:

- სწავლის შედეგები არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეემდოს სწავლის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები მიმართულია კურსის ერთეულზე ან მოდულზე, ან კიდევ სწავლის მთელ პერიოდზე: მაგალითად, სწავლის პირველ ან მეორე საფეხურის პროგრამებზე. სწავლის შედეგები განსაზღვრავს მოთხოვნებს კრედიტების მისაღებად.
- კომპეტენციები ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციაა. ამ კომპეტენციების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენციები ყალიბდება სხვადასხვა კურსის ერთეულის/მოდულის მიერ და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე.

კომპეტენციებიდან განასხვავებენ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს. მართალია, თუნინგი ადასტურებს დარგობრივი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების, როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძვლის, მნიშვნელობას, მაგრამ ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ზოგადი კომპეტენციების ანუ ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს უკანასკნელი კომპონენტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც დასაქმების შესაძლებლობებსა და წარმატებულ მოქალაქეობაში გამოიხატება.

თუნინგი განასხვავებს ზოგადი კომპეტენციების სამ ტიპს:

- ინსტრუმენტული კომპეტენციები: კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და ლინგვისტური უნარები;
- ინტერპერსონალური კომპეტენციები: სოციალური უნარების მსგავსი ინდივიდუალური უნარები (სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია);

¹ ECTS User's Guide: http://europa.eu.int/comm/education/socrates_ects.html

- სისტემური კომპეტენციები: მთელ სისტემასთან დაკავშირებული უნარები და შესაძლებლობები (გაცნობიერების, დამოკიდებულებისა და ცოდნის კომბინაცია; აუცილებელია ინსტრუმენტული და ინტერპერსონალური კომპეტენციების წინასწარი ფორმირება).

თუნინგ I-ის ფარგლებში ფართომასშტაბიანი კონსულტაციები ჩატარდა დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან და უმაღლესდამთავრებულებთან, შესაბამის აკადემიურ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციების იდენტიფიცირებისათვის. მართალია, ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციების ნაკრები სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფის მიხედვით უმნიშვნელოდ განსხვავდება, მაგრამ კომპეტენციათა უმეტესობისათვის დარგებს შორის საოცარი მსგავსება აღმოჩნდა. ყველა სფეროში ისეთი ტიპური აკადემიური კომპეტენციები, როგორცაა ანალიზისა და სინთეზის უნარი, პრობლემის გადაჭრისა და სწავლის უნარები იდენტიფიცირებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი. უმაღლესდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა გამოავლინეს საოცარი შეთანხმება და მიუთითეს, რომ დასაქმებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ზოგადი კომპეტენციებიც, როგორცაა პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ სიტუაციასთან ადაპტირების უნარი, დაინტერესება განათლების ხარისხით, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, ავტონომიურად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე და ინტერპერსონალური უნარები. მათ ასევე მიუთითეს, რომ ზოგიერთი ზემოაღნიშნული კომპეტენცია მეტად იყო გამოყენებული და უფრო მაღალ დონეზე განვითარდა. მათი აზრით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადი კომპეტენციების გარკვეულ რაოდენობას, რათა სტუდენტები უკეთესად მოემზადონ თავიანთი მომავალი სამუშაოსათვის. ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო პროცესის შედეგები განხილულია ამ წიგნის შემდეგ ნაწილებში.

დარგობრივი კომპეტენციები უკვე განსაზღვრულია ცხრა დარგობრივ სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირება, ქიმია, განათლების მეცნიერებები, ევროპისმცოდნეობა, ისტორია, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, მათემატიკა, საექთნო საქმე და ფიზიკა შეადგენდა როგორც თუნინგის პროექტის ნაწილს და ასევე სულ უფრო მზარდი თემატური ქსელების ფოკუსს. კომპეტენციების ეს ნაკრები აისახა დამოუკიდებელ დოკუმენტებში, რომლებიც მომზადებულია ან მზადდება თემატური ქსელებისა თუ სხვა დარგობრივი სფეროს ქსელების მიერ. ჯგუფების მიდგომები განსხვავებულია დისციპლინების სტრუქტურებს შორის არსებული განსხვავებულობის გამო. მიუხედავად ამისა, შედეგის მისაღებად ყველა ჯგუფი მსგავს პროცედურას ასრულებდა. დისკუსიებით, თანაზიარი ცოდნის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა ქვეყანაში დისციპლინის სწავლებისა და სწავლის გზების ასახვით, მიღწეულია ურთიერთგაგება და კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის თითოეული დარგის სასიცოცხლო ბირთვი. შემუშავებული დოკუმენტები არის სამუშაო დოკუმენტები და შემდგომი გადამუშავებისა და ცვლილებების საგანი.

თუნინგში კომპეტენციები განსაზღვრულია, როგორც კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების ათვლის წერტილები და არა როგორც განვითარების შემაფერხებელი. ისინი კურიკულუმის კონსტრუირებისას ავტონომიურობისა და მოქნილობის საშუალებას იძლევიან. იმავდროულად, ისინი უზრუნველყოფენ საერთო ლექსიკას იმის აღსაწერად, თუ რა მიზანს ისახავს კურიკულუმი.


სწავლის შედეგების გამოყენება უფრო მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა, ვიდრე ტრადიციულად დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამა, ვინაიდან ისინი აჩვენებენ, რომ განსხვავებული გზებით შეიძლება შესაძარ შედეგებამდე მისვლა. ბევრად უფრო იოლია

სწავლის შედეგების, როგორც პროგრამის შემადგენელი ნაწილის ან როგორც სწავლის შემდეგ საფეხურზე დაშვების პირობის აღიარება. მათი გამოყენება პატივს სცემს სხვა ინსტიტუტების ავტონომიას, ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო კულტურებს. ამასთან, აღნიშნული მიდგომა მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა არა მარტო გლობალურ, ევროპულ, ეროვნულ ან ინსტიტუციურ ჩარჩოებში, არამედ ასევე ერთი პროგრამის კონტექსტშიც. ეს კონცეფცია შეჯამებულია შემდეგი სქემით:

**სწავლის შედეგები:
განსხვავებული გზები, რომელთაც მივყევართ
შესადარებელ შედეგებამდე**

მეორე საფეხურის
სწავლის შედეგები:


განსხვავებული გზები
(60)90-120 ECTS კრედიტი



მრავალფეროვნების
საშუალება

პირველი საფეხურის
სწავლის შედეგები:

განსხვავებული გზები
180- 240 ECTS კრედიტი



სტუდენტზე ორიენტირებულობა


სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების გამოყენება აუცილებელია, რათა სასწავლო პროგრამები, მათი შემადგენელი კურსის ერთეულები ან მოდულები გახდეს სტუდენტზე კონცენტრირებული / შედეგზე ორიენტირებული. ამ მიდგომის მოთხოვნაა, რომ სწავლის პროცესში სტუდენტის მიერ მისაღწევი საკვანძო ცოდნა და უნარ-ჩვევები განსაზღვრავდეს სასწავლო პროგრამის შინაარსს. სწავლის შედეგები და კომპეტენციები კონცენტრირებულია როგორც დარგის, ასევე საზოგადოების მოთხოვნებზე, რომელიც წარმატებული მოქალაქის ჩამოყალიბებასა და დასაქმების შესაძლებლობებს გულისხმობს. დღემდე ბევრი სასწავლო პროგრამა კონცენტრირებულია პერსონალზე, რაც პრაქტიკაში პროგრამების რესურსებზე ორიენტირებულობას ნიშნავს. ისინი ხშირად ასახავენ აკადემიური პერსონალის დაინტერესების სფეროებისა და გამოცდილების კომბინაციას, რასაც პროგრამები მიყავს კურსის ერთეულების გარკვეულ დანაკარგთან, ისინი არ არიან საკმარისად დაბალანსებულნი და ეფექტურნი. თუნინგი სრულად აღიარებს პერსონალის გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენების მნიშვნელობას, მაგრამ ეს არ უნდა იყოს პროგრამის დომინანტი ასპექტი.

შედეგზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამაში ძირითადი აქცენტი აკადემიური ხარისხის ან კვალიფიკაციის პროფილზე კეთდება. პროფილი განისაზღვრება აკადემიური პერსონალის და მტკიცდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. პროფილი საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებულ და აღიარებულ საჭიროებებს უნდა დაეფუძნოს. პრაქტიკაში შიდა დაინტერესებული მხარე აკადემიური საზოგადოებაა, გარე დაინტერესებული მხარეები კი

არიან: დამსაქმებლები(ორგანიზაციები), უმაღლესდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ადგილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა ზომით. ამასთან, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია აკადემიური პერსონალის დასკვნებსა და გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულმა პერსონალმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი დარგობრივი სფეროსთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: რა ქმნის ბიზნესის პროგრამას ბიზნესის პროგრამად. თუნინგის ჯგუფების ფარგლებში, შესაბამისი დისციპლინებისათვის, განისაზღვრა ასეთი მახასიათებლების ნაკრები. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა ეგრეთ წოდებულ ნიმუშში, ან შედეგების რეზუმეში, რომელიც საერთო ფორმატის ფარგლებში მოიცავს კომპლექსურ მითითებებს და ეფუძნება უფრო ვრცელ დოკუმენტს.

საფეხურებიან სისტემაში თითოეულ საფეხურს უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგების საკუთარი ნაკრები, რომელიც ფორმულირებულია კომპეტენციებით. აღნიშნულის ვიზუალიზაცია შესაძლებელია შემდეგი სქემის გამოყენებით:

**სწავლის შედეგები და კომპეტენციები
სასწავლო პროგრამებში**



როგორც უკვე აღნიშნა, სწავლის შედეგები ფორმულირებულია ორივე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე ინდივიდუალური კურსის ან მოდულის დონეზე. ინდივიდუალური ერთეულის (კურსი/მოდული) სწავლის შედეგები ემატება საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. სიტუაცია ჩამოსაყალიბებელი კომპეტენციებისათვის მეტ-ნაკლებად შესაძარბებელია. კომპეტენციები ვითარდება პროგრესირებადი გზით. ეს ნიშნავს, რომ მათი ფორმირება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დონეზე, კურსის ერთეულების ან მოდულების გარკვეულ რაოდენობის მიერ. პროგრამის დაგეგმვის ფაზაში უნდა გადაწყდეს თუ რომელ ერთეულში უნდა ჩამოყალიბდეს ესა თუ ის კონკრეტული კომპეტენცია. თუნინგი დარწმუნებულია, რომ კურსის ერთეულის ან მოდულის ზომებიდან გამომდინარე, თითოეული ერთეულისათვის სწავლის შედეგებში 6-8 კომპეტენციაზე მეტის ჩართვა მიზანშეწონილი არაა. ამასთან,

შეიძლება არსებობდეს კომპეტენციები, რომელთა ფორმირება აშკარა არაა. მხოლოდ ის კომპეტენციები უნდა აღინიშნოს დეტალურად, რომელთა შეფასებაც ფაქტიურად შესაძლებელია. შემდეგი სქემა გვიჩვენებს კურსის ერთეულებს ან მოდულებს შორის კომპეტენციების გადანაწილების შესაძლო მიდგომას.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები სასწავლო პროგრამებში
მაგალითი


კურსის ერთეული / სწავლის შედეგები	კომპეტენციები								
	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
ერთეული 1		X			X				
ერთეული 2	X			X			X		
ერთეული 3		X				X		X	
ერთეული 4	X		X						X

(X: ეს კომპეტენციები ფორმირებული და შეფასებულია; ისინი მოხსენიებულია ამ ერთეულის სწავლის შედეგებში)

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ერთმანეთთან გაურკვეველად დაკავშირებული კურსის ერთეულების ჯამი თუნინგისათვის არ წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამას. ის უნდა განვიხილოთ როგორც თვითმყოფადი ორგანიზმი, რაც ჰოლისტიკურ მიდგომას მოითხოვს. სტუდენტზე კონცენტრირებულ/შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა ერთეული ერთმანეთთან ერთი ან სხვა გზითაა დაკავშირებული. ეს ეხება არა მარტო კურსის ერთეულებს ან მოდულებს, რომლებიც შეადგენენ კურიკულუმის ძირითად ნაწილს ან ბირთვს, არამედ ასევე დამატებით და არჩევით კურსებს. კარგად დაგეგმილ პროგრამაში დამატებითმა და არჩევითმა კურსებმა უნდა გააძლიერონ საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი.

თუნინგის ხედვით, კურიკულუმი შეიძლება დავინახოთ როგორც დიდი ნამცხვარი, განსხვავებული დონეებით, რომელშიც ყველა ნაჭერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, როგორც ჰორიზონტალურად ასევე ვერტიკალურად. უფრო ფორმალური საგანმანათლებლო ტერმინებით: კურსის ერთეულების ან მოდულების სწავლის შედეგები ავსებს სწავლის საერთო შედეგებს და აწვითარებს კომპეტენციების დონეს. ამასთან, სრულად ითვალისწინებს სხვა კურსის ერთეულებში მისაღწევ სწავლის შედეგებს. ეს კონცეფცია ვიზუალიზირებულია შემდეგი სქემით:

პირველი საფეხურის პროგრამა



მოდელი უშვებს კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესიას. თითოეული კურსის ერთეულს აქვს თავისი როლი საერთო კურიკულუმში. ის განასხვავებს სამ 60 კრედიტიან პერიოდს, რომელიც თავის მხრივ ორდაა გაყოფილი. ეს არის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ყველაზე ტრადიციული გზა: სემესტრს მიყოლებული სემესტრი. ამასთან ერთად იგი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია სხვა ალტერნატივა. მაგალითად, სტუდენტს შეუძლია ისწავლოს პროგრამის ერთი ნაწილი უფრო გაღრმავებულად. ამისთვის იგი იღებს ორ ერთეულს (ან ნაჭერს) ვერტიკალზე თუ ერთეულის წინაპირობა (დაშვების პირობა) ამის შესაძლებლობას აძლევს. ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ სტუდენტს, რომელიც სწავლობს ენას, თავდაპირველად შეუძლია კონცენტრირება მოახდინოს ენის შესწავლაზე და შემდეგ ყურადღება გაამახვილოს ლიტერატურაზე ან ლინგვისტიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ოფიციალური თანამიმდევრობა შეიძლება განსხვავებული იყოს. ის ასევე გვიჩვენებს, რომ განცალკევებული ერთეულები, რომლებიც სხვა კონტექსტში წარმატებულად მისდევს ერთმანეთს, შესაძლებელია მოერგოს კურიკულუმს წინასწარი აღიარების პრინციპის საფუძველზე, რაც შეიძლება ძალზედ რელევანტურია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონტექსტისა და უფრო მოქნილი პროგრამებისათვის.

ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სასწავლო პროგრამებისა და სწავლის პერიოდების თავსებადობისა და შესაძარობის მიღწევა. აღნიშნული მიზნის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა დონეების, სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და კრედიტების სისტემის კონცეფციების გამოყენება. ამ მიზნის მხარდაჭერის შემდგომი ნაბიჯი კურიკულუმის თანაბარი ზომის ერთეულებზე დაფუძნებაა. საგანმანათლებლო პროგრამების მოდულარიზაცია ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, მობილობასა და აღიარებას. მას ასევე

შეუძლია დაეხმაროს საგანმანათლებლო პროგრამას გახდეს სასწავლებლად უფრო რეალური, ვინაიდან შემოაქვს ინსტრუმენტი სტუდენტის დატვირთვის დასაბალანსებლად პროგრამის სხვადასხვა ფაზის განმავლობაში.

დონეები

საფეხურების გამოყენება ავტომატურად იწვევს დონეების კონცეფციის შემოღებას. აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ საფეხურის დონეები და საფეხურის შიგნით არსებული დონეები. თითოეული ასეთი დონისათვის საჭიროა დონის ინდიკატორების გამოყენება. მათ დონეების დესკრიპტორებს უწოდებენ. ბოლონიის პროცესის ფარგლებში, ე. წ. “ერთობლივი ხარისხის ინიციატივის” ექსპერტთა ჯგუფის მიერ თითოეული საფეხურისათვის შემუშავდა ზოგადი დესკრიპტორების/მახასიათებლების ნაკრები, რომლებსაც “დუბლინის დესკრიპტორებს” უწოდებენ. აღნიშნული დესკრიპტორები მოიწონეს ევროპის განათლების მინისტრებმა, როგორც “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციის ჩარჩოს შესახებ” ანგარიშის ნაწილი. თუნინგისა და “ერთობლივი ხარისხის ინიციატივის” მიდგომები სრულად თავსებადი და ურთიერთშემავსებელია.

იმის გამო, რომ საფეხურის დესკრიპტორები პრაქტიკულად დონის დესკრიპტორებია, რომლებიც განსაზღვრავენ საფეხურის დონეს, თუნინგის მიერ გამოითქვა აზრი, რომ ამ დესკრიპტორებს ეწოდოს საფეხურის დონის დესკრიპტორები, რათა გავარჩიოთ ისინი შუალედური ანუ ქვედონის დესკრიპტორებისაგან. თუნინგმა შეიმუშავა საფეხურის დონის დესკრიპტორები საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე პროექტში ჩართული ყველა დარგობრივი სფეროს პირველი და მეორე საფეხურისათვის. დებატები მიმდინარეობდა ასევე ქვედონეების დესკრიპტორების შემუშავების შესაძლებლობაზე, მაგრამ საბოლოო შეთანხება არ იქნა მიღწეული. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ უნივერსიტეტის პირველ საფეხურზე შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი ქვედონეები: საბაზო ან ფუნდამენტური, შუალედური და მოწინავე. მეორე საფეხურზე განსხვავება შეიძლება გაკეთდეს შემდეგ ქვედონეებს შორის: მოწინავე და სპეციალიზირებული.

მომზადებულია ხულია გონზალესისა და რობერტ ვაგენარის მიერ.

3. კომპეტენციები სწავლებისა და სწავლის პროცესში

შესავალი

თუნინგის პროექტი დარწმუნებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში კომპეტენციების კონცეფციის განვითარებას შეუძლია დაეხმაროს ევროპაში საუნივერსიტეტო დონეზე ერთობლივი სამუშაო სივრცის გახსნას, ისეთ საკითხებში, როგორცაა ახალი საგანმანათლებლო პარადიგმა, ხარისხის საჭიროება, დასაქმებადობისა და მოქალაქეობის გაძლიერება და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა.

კომპეტენციებზე ფოკუსირება ხელს უწყობს ადვილად გასაგები და თავსებადი ხარისხების განვითარებას და ამით ევროპის დონეზე ხელს უწყობს გამჭვირვალობას. თუნინგის პროექტი თვლის, რომ ხარისხები შესადარი და თავსებადია თუ სწავლის შედეგები, ისევე როგორც აკადემიური და პროფესიული პროფილები თავსებადია.

შესადარობა განსხვავდება ერთგვაროვნებისაგან და თუ დავიმოწმებთ აკადემიურ და პროფესიულ ხარისხებს, ცხადი გახდება, რომ მათთვის მრავალფეროვნება არა უკანდახევია, არამედ ფასეული აქტივია. პროფესიული პროფილის განსაზღვრა უკავშირდება საზოგადოების საჭიროებებს. ამასთან, სოციალური საჭიროებები და მოთხოვნები ძალიან განსხვავებულია. ეს მოითხოვს კონსულტაციებს სოციალურ ჯგუფებთან. განსჯის საგანი უნდა გახდეს ლოკალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე (ხარისხის მიზნების შესაბამისად) მოქმედი პროფესიული ორგანიზაციების მოთხოვნები. ამ კონტექსტში კონსულტაციები ძალიან მნიშვნელოვანია. კონსულტაციების განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა გზით და ყველა შემთხვევისათვის მისთვის შესაბამისი ფორმა და კონფიგურაცია უნდა მოიძებნოს. ეს დოკუმენტი წარმოგვიდგენს თუნინგის პროცესის მიერ განხორციელებული კონსულტაციების მიგნებებს, როგორც განსჯისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს, რომელიც გვაწვდის განახლებულ ინფორმაციას საზოგადოების საჭიროებების შესახებ.

ხაზი უნდა გაესვა იმ ფაქტს, რომ პროფილები არა მარტო პროფესიული, არამედ ასევე აკადემიურია. აკადემიურ ინსტიტუტების თვალსაზრისით, ხარისხებმა უნდა დააკმაყოფილონ აკადემიური საზოგადოების მოთხოვნები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. აკადემიური და პროფესიული პროფილების აღწერისათვის საერთო ლექსიკის ძიებაში, თუნინგის პროექტი მიიჩნევს, რომ კომპეტენციების ენა სასარგებლოა შესადარობის აღწერისათვის, იმ ტერმინებით თუ რისი შესრულება შეეძლება ხარისხის მფლობელს. მას ასევე შეუძლია აღწეროს საერთო ათვლის წერტილები განსხვავებული დარგობრივი ჯგუფებისათვის, სთავაზობს რა ათვლის წერტილების არადირექტიულ ჩარჩოს აკადემიურ საზოგადოებას (ამ შემთხვევაში ევროპის აკადემიურ საზოგადოებას) იმ ტერმინებში, რომელიც გასაგებია ევროპის სოციალური ჯგუფების, პროფესიული ორგანიზაციებია და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ.

კონსულტაციები უფრო მნიშვნელოვანი ხდება „ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში“, რომელიც ასევე „სწავლის საზოგადოებაცაა“. ეს იდეა მჭიდროდ უკავშირდება მთელი განათლების უფრო ფართო კონტექსტში გაცნობიერებას: მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის კონტინიუმი, სადაც ინდივიდს სჭირდება კომპეტენციები, რათა გამოიყენოს ცოდნა, განახლოს იგი, შეარჩიოს თუ რა შეესაბამება კონკრეტული კონტექსტს, ისწავლოს განუწყვეტელი და შეძლოს ნასწავლის ახალ და მუდმივცვალებადი სიტუაციასთან ადაპტირება.

ორივე, ცვლილება და მრავალფეროვანი კონტექსტი, მოითხოვს აკადემიური და პროფესიული პროფილებისათვის სოციალური მოთხოვნის მუდმივ გადამოწმებას. ეს ხაზს უსვავს კონსულტაციების საჭიროებასა და ინფორმაციის მუდმივ რევიზიას, მისი ადეკვატურობის დადგენის მიზნით. იქიდან გამომდინარე, რომ კომპეტენციების ლექსიკა უმაღლესი განათლების

გარედან მოდის, იგი უფრო ადეკვატურია იმ ჯგუფებთან კონსულტაციებისა და დიალოგისათვის, რომლებიც აკადემიურ ცხოვრებაში არ არიან ჩართულნი. იგი ხელს უწყობს ახალი ხარისხების განვითარებასა და არსებულის განახლების პერმანენტული სისტემის შექმნას.

ამდენად, *აკადემიური და პროფესიული პროფილების განსაზღვრისას*, კომპეტენციები ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს გარკვეული მიზნის შესაბამისი ცოდნის შერჩევას. იგი შესაძლებლობათა მრავალფეროვნებიდან ყველაზე შესაბამისი შერჩევის ინტეგრირებული საშუალებაა.

სტუდენტების მიერ გარკვეული კომპეტენციისა თუ კომპეტენციების ნაკრების შეძენაზე ხაზგასმა გავლენას ახდენს გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების განსაზღვრის გამჭვირვალობაზე; იძლევა გაზომვის მაღალი შესაძლებლობების მქონე ინდიკატორებს; იმავდროულად საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ხდება უფრო დინამიური, საზოგადოების ახალ საჭიროებებსა და საბოლოო ჯამში დასაქმებასთან მიმართებაში. ეს გარდაქმნა ჩეულებრივად მიუთითებს *მიდგომების* ცვლილებას საგანმანათლებლო საქმიანობაში, სასწავლო მასალებსა და საგანმანათლებლო სიტუაციებში, ვინაიდან სტიმულს აძლევს სტუდენტის სისტემატურ ჩართულობას შესაბამისი საკითხების, პრეზენტაციების, ორგანიზებული უკუკავშირების ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ მომზადებაში.

კითხვარი

თუნივინგის პროექტში კონსულტაციები ტრანსფერულ უნარებზე ანუ ზოგად კომპეტენციებზე განხორციელდა კითხვარების საშუალებით.

ამოცანები

კითხვარის ამოცანებია:

- ამ ტიპის კომპეტენციებთან დაკავშირებით ევროპულ დონეზე ერთობლივი დისკუსიის ინიცირება, რომელიც დაეფუძნება კონსულტაციებს, როგორც აკადემიური საზოგადოების გარეთ (უმალეს დამთავრებულები, დამსაქმებლები) არსებულ ჯგუფებთან, ასევე აკადემიურ საზოგადოებასთან (თუნივინგის დარგობრივი სფეროს წარმომადგენლები, ასევე თუნივინგის გარეთ არსებული ადამიანები) დაკავშირებულ ჯგუფებთან;
- შესაძლო ტენდენციების, ხარისხების მრავალფეროვნებისა და მთელს ევროპაში ცვლილებების ანალიზისათვის განახლებული ინფორმაციის შეგროვება;
- გამოცდილებასა და რეალობაზე დაყრდნობით სხვადასხვა ქვეყანას შორის მრავალფეროვნებისა და ერთიანობის დონეების განსაზღვრა, დებატების დაწყება სპეციფიკური საკითხებით და კონკრეტული ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- სამ სხვადასხვა დონეზე ანალიზისა და დებატების ფოკუსირება: ინსტიტუციური დონე (საფუძველი და დებატების პრველი დონე), დარგობრივი სფეროს დონე (ათვლის წერტილები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის) და განზოგადებული დონე (მეორე ათვლის წერტილები ევროპულ დონესთან კავშირში).

კითხვარის შინაარსი

კომპეტენციების დეფინიცია

სხვადასხვა ტერმინები: შესაძლებლობა, ატრიბუტი, ჩვევა, უნარი, კომპეტენცია ხშირად ურთიერთშემცვლელი და გარკვეული ხარისხით ურთიერთგადამფარავი მნიშვნელობით გამოიყენება. თითოეული მათგანი უკავშირდება ადამიანს და იმას, თუ რისი მიღწევის შესაძლებლობა აქვს მას. მათ ასევე აქვთ სპეციფიკური მნიშვნელობაც. სიტყვა „Ability“ არის ლათინური "habilis" და ნიშნავს რაიმეს დაჭერას, ტარებას ან იოლად გამკლავებას. აქედან მოდის

სიტყვა "habilitas", რომელიც შეიძლება ითარგმოს, როგორც შესაძლებლობა, ვარგისიანობა ან უნარი.

ტერმინი „უნარი“ ყველაზე ხშირად გამოყენება მნიშვნელობით - „შესაძლებლობის მქონე, მარჯვე ან გამოცდილი“. ის (უნარი) ხშირად გამოიყენება მრავლობით რიცხვში და ხანდახან უფრო შეზღუდული მნიშვნელობით ვიდრე კომპეტენცია. ამით აიხსნება თუნინგის პროექტის მიერ კომპეტენციების ტერმინის არჩევა. მიუხედავად ამისა, ორი ტერმინი „ტრანსფერული უნარები“ და „ზოგადი კომპეტენციები“ განიხილება, როგორც თანაბარი მნიშვნელობის მქონე. ისინი უკავშირდება იმ კომპეტენციებს, რომელიც საერთოა და რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში.

თუნინგის პროექტში, კომპეტენციების კონცეფცია მიყვება ინტეგრირებულ მიდგომას და შესაძლებლობებს განიხილავს, როგორც ატრიბუტების დინამიურ კომბინაციას, რომელიც კომპეტენტური საქმიანობის საშუალებას იძლევა და ასევე, როგორც საგანმანათლებლო პროცესის საბოლოო პროდუქტის ნაწილს. თუნინგის მიდგომის პირველი მიმართულებებში, კომპეტენცია გაგებულა, როგორც *ცოდნა და გაცნობიერება* (აკადემიური სფეროს თეორიული ცოდნა, ცოდნისა და გაცნობიერების შესაძლებლობა), *ცოდნა თუ როგორ უნდა იმოქმედო* (გარკვეულ სიტუაციებში ცოდნის პრაქტიკული და ოპერაციული გამოყენება), *ცოდნა, როგორ უნდა იცხოვრო* (ღირებულებები, როგორც ინტეგრირებული ელემენტი აღქმის, თანაცხოვრებისა და და სოციალური კონტექსტის). კომპეტენციები ატრიბუტების (რაც შეეხება ცოდნას, მის გამოყენებას, დამოკიდებულებებს, უნარებსა და პასუხისმგებლობებს) კომბინაციაა და აღწერს ადამიანის მიერ მათი გამოყენების დონეს ან ხარისხს.

ამ კონტექსტში, კომპეტენცია ან კომპეტენციების ნაკრები ნიშნავს, რომ ადამიანი იყენებს გარკვეულ შესაძლებლობებს ან უნარებს და ასრულებს ამოცანას, სადაც ახდენს მისი შესაძლებლობების დემონსტრირებას იმგვარად, რომ შესაძლებელია მისი მიღწევების დონის შეფასება. კომპეტენციები შეიძლება შეფასდეს და განვითარდეს. ეს ნიშნავს, რომ ჩვეულებრივად, ადამიანის მიერ კომპეტენციის ქონა თუ არ ქონა აბსოლუტურ ტერმინებში არ გამოიხატება. საუბარია მისი ფლობის გარკვეულ ხარისხზე, კომპეტენციები შეიძლება განვალაგოთ კონტინიუმში და განვავითაროთ პრაქტიკისა და განათლების მეშვეობით.

თუნინგის პროექტი კომპეტენციების ორ განსხვავებულ ნაკრებზეა ფოკუსირებული: პირველი, ესაა კომპეტენციები, რომლებიც დარგობრივ სფეროსთანაა დაკავშირებული. ისინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი აკადემიური ხარისხისათვის და მჭიდროდაა დაკავშირებული შესასწავლი სფეროს სპეციფიკურ ცოდნასთან. მათ აკადემიურ - დარგის სპეციფიკურ კომპეტენციებს უწოდებენ. ისინი საგანმანათლებლო პროგრამის იდენტურობასა და თანამიმდევრულობას უზრუნველყოფენ. მეორე, თუნინგმა სცადა განესაზღვრა ის მახასიათებლები, რომლებიც საერთოა ყველა აკადემიური ხარისხისათვის და გარკვეული სოციალური ჯგუფების (ამ შემთხვევაში უმაღლესდამთავრებულები და დამსაქმებლები) მიერ განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი. არსებობს გარკვეული მახასიათებლები, ისეთი როგორცაა სწავლის შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი და სხვა, რომლებიც საერთოა ყველა ან თითქმის ყველა აკადემიური ხარისხისათვის. სწრაფცვალებად საზოგადოებაში, სადაც მოთხოვნას მუდმივი რეფორმულირების ტენდენცია გააჩნია, ეს ზოგადი კომპეტენციები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და გადამუშავებაში მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებმა ყურადღება მიაქციონ საზოგადოების ცვალებად საჭიროებებს, ისევე როგორც დასაქმების ამჟამინდელ და მომავალ შესაძლებლობებს. ზოგადი კომპეტენციები დარგის

სპეციფიკურ კომპეტენციებთან დაბალანსებული უნდა იყოს, მათ საგანმანათლებლო პროგრამისა და აკადემიური ხარისხის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნიათ.

ეს დოკუმენტი შეეხება ზოგად კომპეტენციებს, ვინაიდან დარგის სპეციფიკური კომპეტენციების ანალიზი განხორციელდა სხვადასხვა მიდგომით, შესაბამისი დარგობრივი ჯგუფის ექსპერტების მიერ. ჩატარებული კონსულტაციები იყო მცდელობა თითოეულ შერჩეულ საკითხზე სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საერთო აზრის გასაგებად. ამისათვის ჩატარდა ორი გამოკითხვა. პირველი ცდილობდა განესაზღვრა ზოგადი კომპეტენციები და მათი მნიშვნელობა პირველ რიგში უმაღლესდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ და მეორე კი (პირველი ნაწილი), აკადემიური პერსონალის მიერ.

ცხადია, რომ იდენტიფიცირებული და ყურადსაღები კომპეტენციების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ანკეტაში გასათვალისწინებელი საკითხების რაოდენობის შერჩევა ყოველთვის გარკვეულად მიკერძოებული და საკამათოა. დებატების საგანია ასევე განსხვავებული კლასიფიკაცია. ზოგადი კომპეტენციების საკითხებზე ოცნე მეტი კვლევის შესწავლა გახდა საჭირო რათა მოგვეჩვენებინა კითხვარი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის. სულ 85 კომპეტენცია იქნა იდენტიფიცირებული. ისინი განიხილეს შესაბამისმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და კომპანიებმა. ეს კომპეტენციები დაიყო შემდეგ კატეგორიებად: ინსტრუმენტული, ინტერპერსონალური და სისტემური. ქვემოთმოცემული ჩამონათვალი მიღებულია როგორც სამუშაო კლასიფიკაცია:

- *ინსტრუმენტული კომპეტენციები.* კომპეტენციები, რომლებსაც გააჩნიათ ინსტრუმენტული ფუნქცია მოიცავს შემდეგს:
 - *შემეცნებითი უნარები, იდეებისა და აზრების გაცნობიერებისა და მანიპულირების შესაძლებლობა;*
 - *მეთოდოლოგიური შესაძლებლობები გარემოთი მანიპულირებისათვის:* სწავლის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება, გადაწყვეტილების მიღება ან პრობლემის გადაჭრა;
 - *ტექნოლოგიური უნარები:* ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენება, კომპიუტერზე მუშაობა და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი;
 - *ლინგვისტური უნარები,* ისეთი როგორცაა: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; მეორე ენის ცოდნა.
- *ინტერპერსონალური კომპეტენციები:* ინდივიდუალური უნარი, რომელიც დაკავშირებულია გრძნობების გამოხატვასთან, კრიტიკულ და თვით-კრიტიკული შესაძლებლობებთან; *სოციალური უნარები,* რომლებიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან ან ჯგუფურ მუშაობასთან, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გამოხატვასთან; სხვა სფეროს ექსპერტებთან კომუნიკაციის უნარი; აღნიშნული ხელს უწყობს სოციალური ინტერაქციისა და კოოპერაციის პროცესს.
- *სისტემური კომპეტენციები:* მთელს სისტემასთან დაკავშირებული უნარები და შესაძლებლობები. გაცნობიერების, შეგრძნებებისა და ცოდნის კომბინაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან მთელის ნაწილები და ქმნიან მთლიანობას. იგი მოიცავს ცვლილებების დაგეგმვის უნარს მთელი სისტემის გაუმჯობესების მიზნით და ახალი სისტემის შემუშავებას. ინსტრუმენტული და ინტერპერსონალური კომპეტენციები სისტემური კომპეტენციების განვითარების წინაპირობაა.

ზოგადი კომპეტენციების მოცემულ ტიპოლოგიაზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნული რესპოდენტების მიერ კომპეტენციები განაწილდა (იგივე კომპეტენციის გამეორების სიხშირის გარეშე) შემდეგნაირად:

- ინსტრუმენტული კომპეტენციები (38%)
- ინტერპერსონალური კომპეტენციები (41%)
- სისტემური კომპეტენციები (21%)

სიხშირის გათვალისწინებისა და ურთიერთდაკავშირებული ცნებების გაერთიანების შემდეგ პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად შეიცვალა:

- ინსტრუმენტული კომპეტენციები (46%)
- ინტერპერსონალური კომპეტენციები (22%)
- სისტემური კომპეტენციები (32%)

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინტერპერსონალურ კომპეტენციებს კომპეტენციების საერთო რაოდენობაში მაღალი ხვედრითი წილი უკავია (41%). მიუხედავად ამისა სიხშირის გაანალიზების დროს, ამ კომპეტენციების დიდი მრავალფეროვნებისა და არამკაფიო განმარტებების გამო, ეს პროცენტული მაჩვენებელი 22%-მდე შემცირდა. ინსტრუმენტული კომპეტენციები კი მკაფიოდ იყო გამოიჯნული და მრავალ განსხვავებულ მიდგომასთან დაკავშირებული. მაგალითად, ტექნოლოგიური კომპეტენციები (გაგებული, როგორც პერსონალური კომპიუტერის გამოყენება) ან ლინგვისტური კომპეტენციები (ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია).

მეორე მხრივ, ინტერპერსონალური კომპეტენციები ძალიან გაბნეული იყო. ისინი უკავშირდებოდა პიროვნულ ასპექტებს (თვითშეფასება, თვითკონტროლი, კონტროლის საკვანძო წერტილები და ა.შ.) ან ისეთ პიროვნებათაშორის ასპექტებს, როგორცაა თვითდაჯერებულობა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, პირისპირ ურთიერთობის სტილი, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვა.

ამდენად, მომზადდა პირველი კითხვარის სამუშაო ვერსია უმაღლესდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის. პირველადმა დოკუმენტმა სცადა სამივე ჯგუფის კომპეტენციების (ინსტრუმენტული, ინტერპერსონალური, სისტემური) წარმომადგენლობის დაბალანსება. კითხვარის პროექტი განიხილეს თუნინგის პირველ შეხვედრაზე, სადაც თუნინგის წევრების მიერ შეიცვალა ზოგიერთი საკითხი. რამდენიმე ჯგუფმა დაამატა თავის დარგობრივ სფეროსთან (მათემატიკა, ისტორია, განათლების მეცნიერებები) უფრო დაკავშირებული კომპეტენციები.

ამ წინადადებების გათვალისწინებით მომზადდა საბოლოო კითხვარი. უმაღლესდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კითხვარები ასევე მოიცავდა ცვლადების მთელ რიგს კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის.

საბოლოო კითხვარი მოიცავდა 30 კომპეტენციას:

- ◆ *ინსტრუმენტული კომპეტენციები*
 - ანალიზისა და სინთეზის უნარი
 - ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
 - საბაზო ზოგადი ცოდნა
 - პროფესიის საფუძვლიანი საბაზო ცოდნა
 - მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი

- მეორე ენის ცოდნა
- კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები
- ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარი)
- პრობლემების გადაჭრა
- გადაწყვეტილების მიღება
- ◆ *ინტერპერსონალური კომპეტენციები*
 - კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი
 - ჯგუფში მუშაობა
 - ინტერპერსონალური უნარები
 - ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი
 - არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
 - მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა
 - საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
 - ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება
- ◆ *სისტემური კომპეტენციები*
 - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
 - კვლევის უნარი
 - სწავლის უნარი
 - ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი
 - ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)
 - ლიდერობა
 - სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა
 - დამოუკიდებლად მუშაობის უნარი
 - პროექტის შემუშავება და მართვა
 - ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი
 - ხარისხზე ზრუნვა
 - სწრაფვა წარმატებისაკენ.

სხვა საინტერესო კომპეტენციების ჩართვაც შეიძლებოდა, მაგალითად, „სწავლების უნარი“. ეს შესაძლებელია რელევანტურიც კი ყოფილიყო დასაქმების გარკვეულ სექტორთან მიმართებაში, მაგრამ სექტორისთვის სპეციფიკური კომპეტენცია დიდ ხმაურს გამოიწვევდა მთლიანად სისტემაში. ცოდნასა და პროფესიასთან მიმართებაში დასმულ შეკითხვებზე დამსაქმებელთა პასუხებზე შესაძლოა ასევე გავლენა მოეხდინა სიტყვის, „მოწინავეს“ გამოყენებას, სიტყვების: „საბაზო“ და „საფუძვლიანის“ მაგივრად.

კითხვარი ითარგმნა ევროკავშირის 11 ოფიციალურ ენაზე თუნინგის წევრების მიერ. თუნინგში ჩართულმა თითოეულმა უნივერსიტეტმა გამოკითხა კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები და ამის შემდეგ კითხვარები დაუბრუნა დეუსტოს უნივერსიტეტს დასამუშავებლად.

თითოეულმა უნივერსიტეტმა ელექტრონული ფოსტით მიიღო თავისი მონაცემების ფაილი და გრაფიკები, როგორც ჯამური მაჩვენებლებით ასევე სხვადასხვა დარგობრივი სფეროს მიხედვით. შეთანხმების საფუძველზე და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით ინდივიდუალურ უნივერსიტეტებთან მიმართებაში ცენტრალურ დონეზე ანალიზი და დიაგრამები არ გაკეთებულა. თითოეულ უნივერსიტეტს დამოუკიდებლად უნდა გაეკეთებინა ანალიზი და დასკვნები ლოკალურ დონეზე და გადაეგზავნა დარგობრივი ჯგუფისათვის. ასევე, თითოეულ უნივერსიტეტს უნდა შეედარებინა თავისი მონაცემები საერთო და დარგობრივი ჯგუფების

შედეგებთან და გაეკეთებინა საკუთარი დასკვნები და შეემუშავებინა თავისი საკუთარი ინსტიტუციური სტრატეგია.

პროცედურა

სხვადასხვა რესპოდენტის შერჩევისას პარტნიორი უნივერსიტეტების კოორდინატორებს უნდა დაეცვათ შემდეგი პროცედურა:

კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის:

- თითოეულ უნივერსიტეტს უნდა გამოეკითხა 150 კურსდამთავრებული;
- უნდა შეერჩია ბოლო 3 – 5 წლის კურსდამთავრებულები;
- კრიტერიუმები დამოკიდებული იყო ამ პერიოდის კურსდამთავრებულების რაოდენობაზე, ისევე როგორც მათ პროფესიულ დასაქმებაზე;
- ყოველწლიურად მცირე რაოდენობის კურსდამთავრებულთა არსებობის შემთხვევაში შეჩვევა მოიცავდა 5 წლიან პერიოდს. დიდი რაოდენობით კურსდამთავრებულების არსებობისას კი შერჩევას უწესდებოდა ბოლო 3 წლის ლიმიტი. პარტნიორ უნივერსიტეტებში საკმარისი რაოდენობის კურსდამთავრებულების არარსებობის შემთხვევაში ხდებოდა იმავე ქვეყნის სხვა მსგავსი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების ჩართვა;
- კურსდამთავრებულთა პროფესიულ დასაქმებასთან დაკავშირებით (კვლევა განსაკუთრებით დაინტერესებული იყო უკვე დასაქმებული კურსდამთავრებულებით), სადაც კურსდამთავრებულების უმეტესობა დასაქმდა დამთავრების შემდეგ რესპოდენტების შერჩევა განხორციელდა ბოლო 3 წლის პერიოდში. იქ კი, სადაც კურსდამთავრებულებს დიდი დრო დასჭირდათ სამუშაო ბაზარზე გასასვლელად, რეკომენდირებული იყო ბოლო 5 წლიანი პერიოდი;
- 150 კურსდამთავრებულის შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. კურსდამთავრებულთა ასოციაციის არსებობის შემთხვევაში რეკომენდირებულ იყო, რომ განახლებადი მონაცემთა ბაზიდან მისამართების შერჩევა განხორციელებინა თავად ასოციაციას;
- უნივერსიტეტებმა კურსდამთავრებულებს კითხვარები გაუგზავნეს წერილთან ერთად, სადაც კითხვარის წარდგენასთან ერთად, თხოვდნენ 10 დღის ვადაში მის უკან დაბრუნებას;
- კითხვარი და თანდართული წერილი გაიგზავნა ფოსტით, კითხვარის უკან დასაბრუნებელი, წინასწარანაზღაურებული კონვერტით.

კითხვარი დამსაქმებლისათვის

- თითოეულ მონაწილე უნივერსიტეტს ინფორმაცია 30 დამსაქმებლისაგან უნდა შეეგროვებინა;
- კრიტერიუმები იყო შემდეგი: შერჩევას ექვემდებარებოდა ორგანიზაცია, რომელსაც დასაქმებული ყავდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და/ან ორგანიზაცია, რომელსაც არ ყავდა დასაქმებული კონკრეტული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მაგრამ წარმოადგენს საინტერესო ადგილს კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის. ამ მითითებების ფარგლებში უნივერსიტეტებმა თვითონ განსაზღვრეს მათთვის შესაბამისი დამსაქმებლები. რეპრეზენტატული შედეგების მიღების მიზნით, გამოითქვა მოსაზრება,

რომ დამსაქმებელთა სხვადასხვა ტიპის დასაბალანსებლად დაეწესებინათ მკაცრი კონტროლი. თუმცა, ეს მკვეთრად განსხვავებული რეალობის ფონზე, გამოიწვევდა ფიქსირებულ ჩარჩოში ჩასმას;

- უნივერსიტეტებმა დამსაქმებლებს კითხვარები გაუგზავნეს წერილთან ერთად, სადაც კითხვარის წარდგენასთან ერთად, თხოვდნენ 10 დღის ვადაში მის უკან დაბრუნებას;
- კითხვარი და თანდართული წერილი გაიგზავნა ფოსტით, კითხვარის უკან დასაბრუნებელი, წინასწარანაზღაურებული კონვერტით.

კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის

- თითოეულ უნივერსიტეტს ეთხოვა შეეგროვებინა ინფორმაცია 15 აკადემიური პერსონალისაგან;
- თითოეულმა უნივერსიტეტმა ინფორმაციის შეგროვების მიზნით აკადემიურ პერსონალს კითხვარი გაუგზავნა ელექტრონული ფოსტით და სთხოვა შვიდი დღის ვადაში მისი უკან დაბრუნება.

მოთხოვნილი პასუხის ტიპები

კითხვარი ითხოვდა ორი ტიპის პასუხს:

1. მნიშვნელობა/მიღწევის დონე
2. მნიშვნელობის მიხედვით ხუთი კომპეტენციის რანჟირება.

30 კომპეტენციიდან თითოეულისათვის რესპოდენტებს უნდა მიეთითებინათ:

- კომპეტენციის *მნიშვნელობა*, მათი აზრით, თავისი პროფესიით დასაქმებისათვის და
- კომპეტენციის *მიღწევის დონე*, რომელსაც მათ მიაღწიეს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად.

აღნიშნულისათვის გამოიყენეს შკალა: 1= არანაირი 4= ძალიან მნიშვნელოვანი.

შეკითხვა ორივე ასპექტის (მნიშვნელობა და მიღწევის დონე) შესახებ იძლევა პასუხს თუ სად იმყოფება უნივერსიტეტი კლასიფიცირებულ 30 კომპეტენციებთან მიმართებაში, რომლებიც 4 კატეგორიადაა გაყოფილი და წარმოადგენილია შემდეგი დიაგრამით:



დიაგრამა 1. (MARTILLA AND JAMES, 1997)

- **კონცენტრაცია:** კომპეტენციები, რომლებიც განიხილება ძალიან მნიშვნელოვნად, მაგრამ მათთან მიმართებაში მიღწევები მცირეა;
- **დაბალი პრიორიტეტი:** კომპეტენციები, რომლებიც არ განიხილება ძალიან მნიშვნელოვნად და მათთან მიმართებაში მიღწევები დაბალია;
- **გადამეტებული ძალისხმევა:** კომპეტენციები, რომლებიც არ განიხილება ძალიან მნიშვნელოვნად, მაგრამ მათთან მიმართებაში მაღალი მიღწევებია;
- **შენარჩუნება:** კომპეტენციები, რომლებიც განიხილება მნიშვნელოვნად და მათთან მიმართებაში მიღწევის დონე მაღალია;

დიაგრამა მნიშვნელოვანია, ვინაიდან გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან მიმართებაში ხელს უწყობს ინსტიტუციურ დონეზე დისკუსიას, დასკვნების გაკეთებასა და პოლიტიკის შემუშავებას (არჩევანის საკითხი უნივერსიტეტებისათვის) სუსტი მხარეების გაძლიერებისა თუ ძლიერი მხარეების კიდევ უფრო განამტკიცებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გარემოსთან კონსულტაციების სისტემის განვითარება და ასევე სისტემების შექმნის შესაძლებლობა, რომელიც ევროპულ დონეზე ერთობლივი სტრატეგიების შემუშავებას შეუწყობდა ხელს.

რანჟირება: 30 კომპეტენციიდან თითოეულისათვის მნიშვნელობისა და მიღწევის დონის იდენტიფიცირებასთან ერთად, ორივე ჯგუფს (კურსამთავრებულები და დამსაქმებლები) ეთხოვა რეგითობის მიხედვით მიეთითებინათ ხუთი, მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენცია.

ჩვეულებრივად, როდესაც ადამიანებს სთხოვენ ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შეფასებას, ამ შეფასებას გადაჭარბების ტენდენცია ახასიათებს. საერთოდ, ტენდენციაა მნიშვნელოვნად შეფასდეს საკითხები, რომლებიც რეალურად შეიძლება ასეთებადაც განიხილება, მაგრამ როგორც წესი მათ შორის განსხვავებების ჩვენების გარეშე. ვაცნობიერებდით რა, რომ აღნიშნული შეიძლება მომხარყო კომპეტენციების შემთხვევაშიც, მიზანშეწონილად ჩავთვალებთ რესპოდენტების მიერ ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციის შერჩევა და მათი მნიშვნელობის მიხედვით რანჟირება. ინფორმაციის ეს ორი ნაწილი, *მნიშვნელობა და რანჟირება*, არსებითია მოცემული კვლევისათვის.

აკადემიური პერსონალისათვის გაგზავნილი კითხვარები ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილი შეეხებოდა ზოგად კომპეტენციებს. მის მიზანს წარმოადგენდა კომპეტენციებზე მესამე შეხედულების მიღება და მისი შედარება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებებთან. კითხვარის შინაარსი დაეფუძნა კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევის შედეგებს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათელი გახდა, რომ კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა ორივესთვის ყველაზე მნიშვნელოვან 11 კომპეტენციასთან დაკავშირებით გამოავლინეს თანხმობის მაღალი დონე. ეს 11 კომპეტენცია გათვალისწინებულ იქნა აკადემიური პერსონალისათვის გაგზავნილ კითხვარში სხვა 6 კომპეტენციასთან ერთად, რომლებიც ზემოაღნიშნული ორი ჯგუფის მიერ ასევე განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი. აკადემიურ პერსონალს უნდა მოეხდინათ ამ 17 კომპეტენციის რანჟირება მნიშვნელობის მიხედვით.

კითხვარის მეორე ნაწილი შეეხება სპეციფიკურ, დარგთან დაკავშირებულ კომპეტენციებს. ამ ნაწილის მიზანი იყო შესაბამისი სფეროს აკადემიური პერსონალისაგან მიეღო პირველი პასუხი, თუნიგის დარგობრივი ჯგუფების ექსპერტების ნამუშევარზე, რომლებმაც სცადეს დარგის სპეციფიკური კომპეტენციების იდენტიფიცირება და მათი პირველ და მეორე საფეხურებთან დაკავშირება.

ამ ამოცანის სირთულეს თუნიგის წევრები კარგად აცნობიერებდნენ. ასევე მკაფიოდ იყო გაცნობიერებული, რომ საქმე ეხებოდა ათვლის წერტილების შემუშავებას, რომლებიც გააზრებულ უნდა იქნეს როგორც ასეთი და სასიცოცხლო მნიშვნელობისა უმაღლესი განათლების ერთანი ევროპული სივრცის განვითარებისათვის.

აკადემიური პერსონალის კითხვარის მეორე ნაწილის შინაარსი მომზადდა სხვადასხვა სფეროს თუნიგის სამუშაო ჯგუფების ექსპერტების მიერ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სხვადასხვა სფეროსათვის კითხვარები განსხვავებულია, პასუხის გაცემის გზა საერთო იყო. რესპოდენტებს ეთხოვათ თითოეული კომპეტენციისათვის გაეზომათ მნიშვნელობის დონე, ორივე, პირველი და მეორე საფეხურისათვის.

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ორივე კითხვარის მიზანი ერთობლივი განხილვის ინიცირება იყო. და ამდენად, განსჯისა და დებატების სტიმულირება მისი ძირითადი მიღწევაა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ კონსულტაციების პროცესი განიხილებოდა როგორც საფუძველი ერთობლივი დისკუსიისათვის; თუნიგის თითოეულმა მონაწილემ ჯგუფში მოიტანა მოსაზრებები თავისი უნივერსიტეტიდან, სადაც ნაყოფიერი ნიადაგი იყო კითხვარის შედეგების ინტერპრეტირებისათვის. ამ მიზანმა გავლენა მოახდინა მონაცემების შეგროვების ტიპსა და ფორმებზე.

გამოკითხვის მონაწილეები

თუნიგის პროექტის მონაწილე 105 უნივერსიტეტის დეპარტამენტებიდან კონსულტაციებში² მონაწილეობა მიიღო 101 უნივერსიტეტმა. თუნიგის პროექტში უნივერსიტეტების შერჩევა კომპლექსური პროცესი იყო, სადაც გათვალისწინებული იყო ინტერესი, ქვეყნის ზომა და რეკტორთა ადგილობრივი კონფერენციების კრიტერიუმები.

თავდაპირველად განზრახული იყო მონაცემების უნივერსიტეტების დონეზე გაანალიზება, მათთვის სწორი მნიშვნელობის მიცემის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ამ კონტექსტში ეს ორი ინდიკატორი განსხვავებულად გამოჩნდა. თვალსაზრისი *კომპეტენციის გამოშუშავების*

² აკადემიური პერსონალის გამოკითხვაში დამატებით ასევე მონაწილეობდა ისტორიის თემქტური ქსელი (ClioHnet). ასევე, მცირე შემთხვევებში ჩატარდა კონსულტაციები მსგავსი ხარისხების გამცემს სხვადასხვა ინსტიტუტების აკადემიური პერსონალთან ან კურსდამთავრებულებთან

მიღწევასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის დონეზე, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებთან მიმართებაში. გაერთიანებულ მონაცემებთან ან დამსაქმებლებთან მიმართებაში კი ეს ასპექტი შეიძლება განვიხილოთ უფრო როგორც მოსაზრება. რაც შეეხება კომპეტენციის მნიშვნელობას, მას შეუძლია ასახოს მნიშვნელობის ის ხარისხი, რომელიც მათ მიაკუთვნეს გარკვეულ კომპეტენციას სამუშაოსა და შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში.

კონსულტაციებში მონაწილეობას ღებულობდა შვიდი დარგობრივი სფერო: ბიზნესი, განათლების მეცნიერებები, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია.

სფეროების მიხედვით კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემდეგი რაოდენობის უნივერსიტეტმა:

- ბიზნესი: 15 უნივერსიტეტი, საიდანაც 14 მონაწილეობდა
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები: 14 უნივერსიტეტი, ყველა მათგანი მონაწილეობდა
- მათემატიკა: 15 უნივერსიტეტი, საიდანაც 13 მონაწილეობდა
- ფიზიკა: 14 უნივერსიტეტი, ყველა მათგანი მონაწილეობდა
- განათლება: 15 უნივერსიტეტი, საიდანაც 14 მონაწილეობდა
- ქიმია: 15 უნივერსიტეტი, საიდანაც 14 მონაწილეობდა

კვლევაში მონაწილეთა შერჩევის მონაცემები მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1

	კურსდამთავრებულები		დამსაქმებლები		აკადემიური პერსონალი	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ბიზნესი	921	17,8	153	16,2	153	15,3
გეოლოგია	656	12,7	138	14,6	145	14,5
ისტორია	800	15,4	149	15,8	221	22,1
მათემატიკა	662	12,8	122	12,9	122	12,2
ფიზიკა	635	12,3	85	9,0	121	12,1
განათლების მეცნიერებები	897	17,3	201	21,3	134	13,4
ქიმია	612	11,8	96	10,2	102	10,2
სულ	5183	100,0	944	100,0	998	100,0

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციების მიზანი სოციალურ ჯგუფებთან ერთობლივი დიალოგის ინიცირება იყო, საუნივერსიტეტო და დარგობრივი სფეროს დონეებზე შემდგომში გამართული დებატები შეიძლება განვიხილოთ, როგორც საუკეთესო შედეგი. 101 უნივერსიტეტის მიერ გაწეული სამუშაო და შეკრებილი მონაცემების მოცულობა (5183 კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის, 944 დამსაქმებლებისათვის და 998 აკადემიური პერსონალისათვის) იმსახურებს მათ შემდგომ განხილვასა და გააზრებას.

მეთოდოლოგია

შერჩევა იყო კლასტერული, ვინაიდან რესპოდენტები დაჯგუფდნენ უნივერსიტეტების შიგნით. შესაბამისად, მარტივი შემთხვევითი შერჩევის წინაპირობა შეიძლება არავალიდურია, ვინაიდან რესპოდენტები არ იყვნენ ერთმანეთისგან მკაცრად დამოუკიდებლები. ამავდროულად, ქვეყნის დონეზე უნივერსიტეტებმა აჩვენეს კლასტერული ეფექტი.

კლასტერული დიზაინი ფართოდ გამოიყენება კვლევაში და თავისთავად არ წარმოადგენს გადახრის/მიკერძოების წყაროს. კლასტერული შერჩევა გავლენას ახდენს კვლევის შერჩევის შეცდომაზე ნებისმიერი მიღებული შეფასებისას. შერჩევის შეცდომა დამოკიდებულია კლასტერებს შორის გაზომილ საკითხებში განსხვავებებზე.

მონაცემებზე დაყრდნობით, კლასტერული შერჩევის ეს გავლენა შეიძლება გამოითვალოს შიდაკლასტერული კორელაციით: მაღალი შიდაკლასტერული კორელაცია მიუთითებს, რომ კლასტერებს შორის განსხვავება მაღალია და შედეგად ზრდის კვლევის შერჩევის შეცდომას. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ საკითხში დაბალი, ნულთან ახლოს მყოფი, შიდაკლასტერული კორელაცია მიუთითებს მარტივი შემთხვევითი შერჩევისას მსგავსი შედეგის არსებობაზე.

თუნინგის ზოგადი კომპეტენციების კითხვარის შედეგებთან დაკავშირებით მარტივი შემთხვევითი შერჩევის შეფასებები და პროცედურები არ იქნა გამოყენებული არც ერთხომიან და არც მრავალხომიან ანალიზის დროს. ყველა შეფასება და დასკვნა ითვალისწინებს მონაცემების კლასტერულ ბუნებას, ორივე, უნივერსიტეტისა და ქვეყნის დონეზე მრავალდონიანი მოდელირების მეშვეობით.

მრავალდონიანი მოდელი განიხილება, როგორც ყველაზე შესაფერისი მიდგომა, ითვალისწინებს რა მონაცემების კლასტერულ ბუნებას (ე.ი. არ უშვებს, რომ დაკვირვება არის დამოუკიდებელი, როგორც ეს ხდება მარტივი შემთხვევითი შერჩევისას). ეს მოდელები ფართოდ გამოიყენება განათლების მონაცემებისათვის, მათი კლასტერული სტრუქტურის გამო.

იმავედროულად, მრავალდონიანი მოდელირება საშუალებას იძლევა განხორციელდეს ინდივიდუალური და კლასტერული დონის განსხვავებების ერთდროული მოდელირება. იგი უზრუნველყოფს სტანდარტული შეცდომების ადეკვატურ შეფასებებსა და შესაბამის დასკვნებს ორივე, ინდივიდუალურ და კლასტერულ დონეზე.

ამ კონტექსტში კლასტერები არ განიხილება, როგორც განმარტების მიმცემი ცვლადის კატეგორიების ფიქსირებული რაოდენობა (მაგ., შერჩეული უნივერსიტეტების სია, როგორც კატეგორიების ფიქსირებული რაოდენობა), მაგრამ ითვლება, რომ შერჩეული კლასტერი მიეკუთვნება კლასტერების პოპულაციას. იმავედროულად, იძლევა უკეთეს შეფასებებს ინდივიდუალურ დონეზე დაკვირვების მცირე რაოდენობის მონაცემების მქონე ჯგუფებისათვის.

გაანალიზდა სამი სხვადასხვა ტიპის ცვლადი:

- მნიშვნელობის საკითხი: 30 კომპეტენცია შეფასდა მნიშვნელობაზე რესპოდენტების მიერ (კურსდამთავრებული და დამსაქმებელი)
- მიღწევის საკითხი: 30 კომპეტენცია შეფასდა მიღწევების გათვალისწინებით (კურსდამთავრებული და დამსაქმებელი)
- რანჟირება: კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციის რანჟირებაზე დაყრდნობით, თითოეული კომპეტენციისათვის შეიქმნა ახალი ცვლადი. თითოეული რესპოდენტი შესაბამის კომპეტენციას ანიჭებდა ციფრს - 5, თუ ეს კომპეტენცია იყო პირველი შერჩეულთა შორის, ოთხს თუ ის იყო მეორე და ა. შ. და ბოლოს, ერთიანს თუ კომპეტენცია შერჩეული იყო მეხუთე ადგილისათვის. თუ რესპოდენტის მიერ კომპეტენცია არ იყო შერჩეული, მაშინ ეს აღინიშნებოდა ნულით. აკადემიური პერსონალისათვის, რომელთაც უფრო გრძელი სიის, 17 კომპეტენციის რანჟირება უნდა განეხორციელებინათ, გამოყენებული იყო მსგავსი მიდგომა ჩვიდმეტი ქულით. პირველ არჩეულ კომპეტენციას ენიჭებოდა ჩვიდმეტი ქულა, თექვსმეტი მეორე კომპეტენციას და ა.შ.

შედეგები

კურსდამთავრებულები

შიდაკლასტერული კორელაცია აჩვენებს თუ რა ზომით განსხვავდებიან უნივერსიტეტები ერთმანეთისაგან და რა გავლენას ახდენს კლასტერული დაკვირვება შერჩევის შეცდომაზე. ყველაზე მაღალი შიდაკლასტერული კორელაცია დაფიქსირდა კომპეტენციისათვის „მეორე ენის ცოდნა“, როგორც მნიშვნელობის(0,2979) ისე მიღწევის დონის მხრივ (0,2817). მომდევნო ორი მაღალი კორელაცია უკავშირდება კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარულ უნარებს - მიღწევის დონე (0,2413) და ეთიკური ღირებულებების დაცვის უნარს - მნიშვნელობა (0,1853). მნიშვნელობასთან მიმართებაში 30 კომპეტენციიდან 21-მა აჩვენა 0,1-ზე უფრო დაბალი შიდაკლასტერული კორელაცია. რაც შეეხება მიღწევის დონეს ეს პროპორცია შეადგენს 10-ს 30-დან. შედეგები თანამიმდევრულია როდესაც კურსდამთავრებული აფასებდნენ უნივერსიტეტებს, როგორც ჩანს ისინი ამოდიოდნენ უფრო კომპეტენციის მიღწევის დონიდან და არა მნიშვნელობიდან.

მნიშვნელობა ყველა საკითხისათვის გამოითვალა შიდაკლასტერული კორელაციის გათვალისწინებით, თითოეული საკითხისათვის მრავალდონიანი მოდელის გამოყენებით, აუხსნელი ცვლადებით და თითოეული დონისათვის შემთხვევითი გადაკვეთის დაშვებით. ამ საფეხურზე განიხილებოდა სამი დონე: ქვეყანა, უნივერსიტეტი და რესპოდენტი. შესაბამისად, მოდელში გადაკვეთა იძლევა საშუალო სიდიდეს თითოეული საკითხისათვის თითოეულ შეფასებაზე შერჩევის შეცდომის შესაბამისი შეფასებებით.

დამსაქმებლები

მსგავსი ანალიზი განხორციელდა დამსაქმებლებისაგან მიღებული მონაცემებისათვის. მრავალდონიანმა მოდელირებამ აჩვენა, რომ კურსდამთავრებულებთან შედარებით ქვეყანის ეფექტი - დამსაქმებლებზე, რომლებიც მიეუკუთვნებიან იმავე ქვეყანას - უფრო ძლიერია, ვიდრე უნივერსიტეტის ეფექტი- დამსაქმებელზე, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემულ უნივერსიტეტს მონაცემთა შეგროვების პროცესში. მნიშვნელობები ყველა საკითხისათვის კიდევ ერთხელ გადაითვალა მრავალდონიანი მოდელის გამოყენებით, ისევე როგორც წინა შემთხვევაში.

კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შედარება

კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის მნიშვნელობის რეიტინგების შედარება განხორციელდა მრავალდონიანი მოდელირების მეშვეობით, რომელსაც დაემატა პარამეტრი ორ ჯგუფს შორის განსხვავების საჩვენებლად. 13-მა საკითხმა დაგვანახა არსებითი განსხვავება ($\alpha < 0,05$). ყველაზე დიდი სხვაობა უკავშირდება ეთიკურ ღირებულებებს, რომელსაც დამსაქმებლები უფრო მაღალ წონას აძლევენ, ვიდრე კურსდამთავრებულები.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარს უფრო მეტად აფასებენ დამსაქმებლები, ვიდრე კურსდამთავრებულები. ამასთან, ავტონომიურად მუშაობის უნარებს კი პირიქით კურსდამთავრებულები უფრო მაღალ რეიტინგს ანიჭებენ, ვიდრე დამსაქმებლები. ეს შედეგები მოცემული ცხრილში #2

ცხრილი 2.

არსებითი განსხვავებები კომპეტენციის მნიშვნელობაზე დამსაქმებლები კურსდამთავრებულების საპირისპიროდ

	ზოგადი კომპეტენციები		განსხვავება დამსაქმებელი vs. კურსდამთავრებული	%
მნიშვნ. 28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება	დამსაქმებლის შეფასება უფრო მაღალია ვიდრე კურსდამთავრებულის	0,3372	0,00%
მნიშვნ. 20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი		0,1463	0,00%
მნიშვნ. 27	ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი		0,0979	0,07%
მნიშვნ. 17	ჯგუფში მუშაობა		0,0957	0,04%
მნიშვნ. 29	ხარისხზე ზრუნვა		0,0838	0,11%
მნიშვნ. 25	დამოუკიდებელი მუშაობის უნარი	კურსდამთავრებულის შეფასება უფრო მაღალია ვიდრე დამსაქმებულის	-0,1591	0,00%
მნიშვნ. 8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები		-0,1559	0,00%
მნიშვნ. 9	კვლევის უნარი		-0,1104	0,09%
მნიშვნ. 3	ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი		-0,0900	0,04%
მნიშვნ. 5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა		-0,0822	0,62%
მნიშვნ. 11	ინფორმაციის მართვის უნარი		-0,0739	0,35%
მნიშვნ. 15	პრობლემის გადაჭრის უნარი		-0,0554	1,80%
მნიშვნ. 16	გადაწყვეტილების მიღება		-0,0552	3,51%

თუ თითოეული ჯგუფიდან მიღებულ კომპეტენციის მნიშვნელობის რანჟირებებს შევადარებთ საინტერესო სურათს მივიღებთ. ეს შედარება მიღებულია მესამე და მეექვსე ცხრილების გაერთიანებით.

ცხრილი 3. მნიშვნელობის რანჟირება. დამსაქმებლები კურსდამთავრებულების საპირისპიროდ

კურსდამთავრებულები		დამსაქმებლები	
	ზოგადი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები
მნიშვნ.1	ანალიზისა და სინთეზის უნარი	მნიშვნ.10	სწავლის უნარი
მნიშვნ.15	პრობლემის გადაჭრის უნარი	მნიშვნ.2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
მნიშვნ.10	სწავლის უნარი	მნიშვნ.1	ანალიზისა და სინთეზის უნარი
მნიშვნ.25	დამოუკიდებელი მუშაობის უნარი	მნიშვნ.15	პრობლემის გადაჭრის უნარი
მნიშვნ.11	ინფორმაციის მართვის უნარი	მნიშვნ.29	ხარისხზე ზრუნვა
მნიშვნ.2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	მნიშვნ.17	ჯგუფში მუშაობა
მნიშვნ.8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები	მნიშვნ.13	ახალ გარემოში ადაპტირების უნარი
მნიშვნ.13	ახალ გარემოში ადაპტირების უნარი	მნიშვნ.11	ინფორმაციის მართვის უნარი
მნიშვნ.18	ინტერპერსონალური უნარები	მნიშვნ.18	ინტერპერსონალური უნარები
მნიშვნ.3	ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი	მნიშვნ.14	ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)
მნიშვნ.29	ხარისხზე ზრუნვა	მნიშვნ.6	მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
მნიშვნ.6	მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი	მნიშვნ.25	დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
მნიშვნ.30	სწრაფვა წარმატებისაკენ	მნიშვნ.3	ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
მნიშვნ.17	ჯგუფში მუშაობა	მნიშვნ.30	სწრაფვა წარმატებისაკენ
მნიშვნ.16	გადაწყვეტილების მიღება	მნიშვნ.16	გადაწყვეტილების მიღება
მნიშვნ.14	ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)	მნიშვნ.12	კრიტიკული და თვით-კრიტიკული უნარები
მნიშვნ.12	კრიტიკული და თვით-კრიტიკული უნარები	მნიშვნ.8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები
მნიშვნ.21	არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი	მნიშვნ.20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი
მნიშვნ.5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა	მნიშვნ.27	ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი
მნიშვნ.4	საბაზო ზოგადი ცოდნა	მნიშვნ.21	არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
მნიშვნ.20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი	მნიშვნ.4	საბაზო ზოგადი ცოდნა
მნიშვნ.27	ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი	მნიშვნ.28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება
მნიშვნ.26	პროექტის შემუშავება და მართვა	მნიშვნ.5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა
მნიშვნ.7	მეორე ენის ცოდნა	მნიშვნ.26	პროექტის შემუშავება და მართვა
მნიშვნ.9	კვლევის უნარი	მნიშვნ.19	ლიდერობა
მნიშვნ.23	საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი	მნიშვნ.7	მეორე ენის ცოდნა
მნიშვნ.19	ლიდერობა	მნიშვნ.23	საერთაშორისო კონტექსტში

			მუშაობის უნარი
მნიშვნ.28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება	მნიშვნ.22	მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა
მნიშვნ.22	მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა	მნიშვნ.9	კვლევის უნარი
მნიშვნ. 24	სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა	მნიშვნ.24	სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა

კორელაცია ორივე რანჟირებას შორის საკმაოდ ძლიერია (სპირმანის კორელაცია=0,899) და აჩვენებს საკითხების გარკვეულ საერთო ჯგუფებს რანჟირების ორივე უკიდურესობისათვის. კომბინირებული რანჟირებისათვის საკითხთა ჯგუფები შეიქმნა ორივე, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის. ამდენად, იგივე ჯგუფიდან საკითხების ნებისმიერი წყვილი აჩვენებდა უმნიშვნელო სხვაობას მნიშვნელობის რეიტინგთან მიმართებაში. ამგვარად, ჩამოყალიბდა 10 ჯგუფი კურსდამთავრებულთა რანჟირებაში და 7 ჯგუფი დამსაქმებლების რანჟირებაში. თითოეულმა საკითხმა მიიღო იმ ჯგუფის საშუალო რეიტინგი, რომელსაც ეკუთვნოდა და საბოლოოდ თითოეული საკითხისათვის საშუალო მნიშვნელობა გამოითვალა კურსდამთავრებულთა სიის საშუალო რეიტინგის და დამსაქმებლების სიის საშუალო რეიტინგის გამოყენებით. ამ პროცედურით შეიქმნა თვრამეტდონიანი რანჟირება, სადაც ზოგიერთი საკითხები გაერთიანდა, რაც უფრო ადეკვატურია საბოლოო შედეგების წარმოსაჩენად მსგავსი ჯგუფების შედარების დროს.

ცხრილი 4.

კომბინირებული რანჟირება. კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები

მნიშვნ.	ზოგადი კომპეტენციები	კომბინირებული რანჟირება
მნიშვნ.1	ანალიზისა და სინთეზის უნარი	1
მნიშვნ.10	სწავლის უნარი	
მნიშვნ.15	პრობლემის გადაჭრის უნარი	
მნიშვნ.2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	2
მნიშვნ.13	ახალ გარემოში ადაპტირების უნარი	3
მნიშვნ.29	ხარისხზე ზრუნვა	
მნიშვნ.11	ინფორმაციის მართვის უნარი	4
მნიშვნ.25	დამოუკიდებელი მუშაობის უნარი	
მნიშვნ.17	ჯგუფში მუშაობა	5
მნიშვნ.3	ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი	6
მნიშვნ.6	მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი	
მნიშვნ.18	ინტერპერსონალური უნარები	
მნიშვნ.30	სწრაფვა წარმატებისაკენ	7
მნიშვნ.14	ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)	
მნიშვნ.8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები	8
მნიშვნ.16	გადაწყვეტილების მიღება	9
მნიშვნ.12	კრიტიკული და თვით-კრიტიკული უნარები	10
მნიშვნ.20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი	11

მნიშვნ.27	ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი	
მნიშვნ.4	საბაზო ზოგადი ცოდნა	12
მნიშვნ.5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა	
მნიშვნ.21	არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი	
მნიშვნ.28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება	13
მნიშვნ.7	მეორე ენის ცოდნა	14
მნიშვნ.26	პროექტის შემუშავება და მართვა	
მნიშვნ.9	კვლევის უნარი	15
მნიშვნ.19	ლიდერობა	
მნიშვნ.23	ინტერნაციონალურ კონტექსტში მუშაობის უნარი	16
მნიშვნ.22	მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა	17
მნიშვნ. 24	სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა	18

აკადემიური პერსონალი

აკადემიურ პერსონალს ეთხოვა განეხორციელებინათ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სიის 30 კომპეტენციიდან შერჩეული 17 კომპეტენციის შეფასება. ზოგიერთი რესპოდენტების განცხადებით, რთული იყო გარკვეული კომპეტენციების შეფასება, ვინაიდან ისინი თანაბარმნიშვნელოვანნი იყვნენ. ეს სირთულე კარგადაა იყო გაცნობიერებული, ვინაიდან ამ კონტექსტში კომპეტენციის რანჟირების ადეკვატურობა მისი წონის განსაზღვრის საპირისპიროდ საკამათო საკითხია. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დიდი რაოდენობის საკითხების რანჟირება უნდა მოხდეს. ნათელია, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს ქონდა ეს სირთულე და შედეგად რანჟირებაში ზოგიერთი პოზიცია გარკვეულწილად შემთხვევით იყო მინიჭებული. აგრეგირებულმა შედეგებმა უნდა აჩვენოს იგივე მიახლოებული პოზიციები საბოლოო რანჟირებაში.

თითოეული კომპეტენციისათვის შემუშავდა რიცხვითი ცვლადები. თუ კომპეტენციას ენიჭებოდა პირველი ადგილი მას ეძლეოდა 17 ქულა, 16 განკუთვნილი იყო მეორე ადგილისთვის და ა. შ. ამ ცვლადების საშუალო რიცხვი თითოეული კომპეტენციისათვის კვლავ შეფასდა მრავალდონიანი მოდელირების მემეოზით (იხ. ცხრილი 5). ცხრილი გვიჩვენებს კომპეტენციებს კლებადობის რიგის მიხედვით და შესაბამისად ისევ ახდენს კომპეტენციების რანჟირებას. ვინაიდან, რიგი ჩამოყალიბდა შეფასებების მიერ, გაანალიზდა საშუალო განსხვავებები კომპეტენციებს შორის, რათა გაგვეჩვენოთ იყო თუ არა ეს სხვაობა არსებითი. ამგვარად ჩამოყალიბდა კომპეტენციების 8 განსხვავებული ჯგუფი და ჯგუფში საშუალო მნიშვნელობების ნებისმიერი შესაძლო წყვილი არსებით განსხვავებას არ იძლევა. თითოეულ ჯგუფში კომპეტენციების რანჟირება განიხილება გარკვეული ზომით ურთიერთჩანაცვლებადად.

ცხრილი 5.

აკადემიური პერსონალი

	ზოგადი კომპეტენციები	საშუალო მნიშვნელობა	სტანდარტული შეცდომა	კომპეტენციის ჯგუფი
მნიშვნ.4	საბაზო ზოგადი ცოდნა	12,87	0,1906	1
მნიშვნ.1	ანალიზისა და სინთეზის უნარი	12,70	0,3168	
მნიშვნ.10	სწავლის უნარი	12,23	0,2313	2
მნიშვნ.14	ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)	11,47	0,1907	3
მნიშვნ.2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	11,00	0,3266	

მნიშვნ.12	კრიტიკული და თვით-კრიტიკული უნარები	10,14	0,3035	4
მნიშვნ.13	ახალ გარემოში ადაპტირების უნარი	9,88	0,2894	
მნიშვნ.5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა	9,01	0,3685	
მნიშვნ.6	მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი	8,81	0,2821	5
მნიშვნ.20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი	8,51	0,1829	
მნიშვნ.9	კვლევის უნარი	7,67	0,3107	6
მნიშვნ.16	გადაწყვეტილების მიღება	7,25	0,2389	7
მნიშვნ.28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება	7,01	0,2844	
მნიშვნ.18	ინტერპერსონალური უნარები	7,00	0,3124	
მნიშვნ.7	მეორე ენის ცოდნა	6,90	0,3239	
მნიშვნ.8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები	5,64	0,1816	8
მნიშვნ.22	მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა	5,30	0,2681	

წინა რანჟირებებთან აკადემიური პერსონალის მიერ რანჟირებული კომპეტენციების შედარების მიზნით, 13 კომპეტენცია, რომელიც არ შევიდა აკადემიური პერსონალის კითხვარში, ასევე ამოღებულ იქნა კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და დამსაქმებელ-კურსდამთავრებულების გაერთიანებული რანჟირებებიდან. შესაბამისად, განხორციელდა ამ რანჟირებების რეკონსტრუქცია ჩვიდმეტი პოზიციის გათვალისწინებით. შედეგები მოცემულია მეექვსე ცხრილში.

**ცხრილი 6.
რანჟირებები**

	ზოგადი კომპეტენციები	აკადემიური პერსონალი	კურსდამთავრებულები	დამსაქმებლები	კურსდამთ. და დამსაქმებ.
მნიშვნ.1	ანალიზისა და სინთეზის უნარი	2	1	3	1
მნიშვნ.2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	5	3	2	3
მნიშვნ.4	საბაზო ზოგადი ცოდნა	1	12	12	12
მნიშვნ.5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა	8	11	14	13
მნიშვნ.6	მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი	9	7	7	5
მნიშვნ.7	მეორე ენის ცოდნა	15	14	15	15
მნიშვნ.8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები	16	4	10	8
მნიშვნ.9	კვლევის უნარი	11	15	17	16
მნიშვნ.10	სწავლის უნარი	3	2	1	2
მნიშვნ.12	კრიტიკული და თვით-კრიტიკული უნარები	6	10	9	10
მნიშვნ.13	ახალ გარემოში ადაპტირების უნარი	7	5	4	4
მნიშვნ.14	ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)	4	9	6	7
მნიშვნ.16	გადაწყვეტილების მიღება	12	8	8	9
მნიშვნ.18	ადაპტირება შორის ურთიერთობის უნარები	14	6	5	6
მნიშვნ.20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი	10	13	11	11
მნიშვნ.22	მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა	17	17	16	17
მნიშვნ.28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება	13	16	13	14

ყველაზე გასაოცარი განსხვავება იყო აკადემიური პერსონალის მიერ საბაზო ზოგადი ცოდნისთვის პირველი ადგილის მინიჭება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე პოზიციაზე დასახელებულ ანალიზისა და სინთეზის უნართან დაკავშირებით არსებითი განსხვავებები არ შეინიშნება), მაშინ როდესაც კურსდამთავრებულებმაც და დამსაქმებლებმაც ის მეთორმეტე პოზიციაზე განათავსეს.

მეშვიდე ცხრილში მოცემულია სპირმანის კორელაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ განხორციელებული რანჟირება უფრო მსგავსი იყო, აკადემიური პერსონალთან შედარებით. კურსდამთავრებულებთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო: კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები (მეოთხე პოზიცია კურსდამთავრებულებისათვის და მეთექვსმეტე აკადემიური პერსონალისათვის) და ინტერპერსონალური კომპეტენციები (მეექვსე კურსდამთავრებულებისათვის და მეთოთხმეტე აკადემიური პერსონალისათვის). დამსაქმებლებთან შედარებით, ყველაზე რელევანტური განსხვავება იყო ისევ ინტერპერსონალური კომპეტენციები (მეხუთე დამსაქმებულისათვის და მეთოთხმეტე აკადემიური პერსონალისათვის).

ცხრილი 7.

სპირმანის კორელაცია

აკადემიური პერსონალი	1			
კურსდამთავრებულები	0.45588	1		
დამსაქმებლები	0.54902	0.89951	1	
დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები	0.55147	0.95098	0.97304	1

ქვეყნის ეფექტი

მრავალდონიანი მოდელირება საშუალებას იძლევა შევავსოთ ის, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის ეფექტი. ეს არის მთლიანად რესპოდენტებზე ქვეყნის ეფექტის საზომი. ეს ეფექტი გაიზომა კურსდამთავრებულების მიერ რანჟირებულ ოცდაათ მნიშვნელოვან საკითხზე. ქვეყნის ეფექტის კლასიფიცირება განხორციელდა სამ ჯგუფად: ძლიერი ეფექტი (სერიოზული განსხვავება ქვეყნებს შორის), სუსტი ეფექტი (განსხვავება სუსტია) და ეფექტის გარეშე (ყველა ქვეყანა ერთნაირია). ეს კლასიფიკაცია ნაჩვენებია ქვემოთმოყვანილ ცხრილში

ცხრილი 8.

ქვეყნის ეფექტი

	ზოგადი კომპეტენციები	
მნიშვნ.7	მეორე ენის ცოდნა	ძლიერი
მნიშვნ.25	დამოუკიდებელი მუშაობის უნარი	
მნიშვნ.30	სწრაფვა წარმატებისაკენ	
მნიშვნ.2	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
მნიშვნ.29	ხარისხზე ზრუნვა	
მნიშვნ.27	ინიციატივა და საქმიანი წამოწყების უნარი	
მნიშვნ.20	ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი	
მნიშვნ.9	კვლევის უნარი	სუსტი
მნიშვნ. 4	საბაზო ზოგადი ცოდნა	
მნიშვნ.14	ახალი იდეების გენერირების უნარი(შემოქმედებითობა)	
მნიშვნ.28	ეთიკის დაცვის ვალდებულების შეგნება	
მნიშვნ.26	პროექტის შემუშავებ და მართვა	
მნიშვნ.22	მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა	
მნიშვნ.13	ახალ გარემოში ადაპტირების უნარი	
მნიშვნ.12	კრიტიკული და თვითკრიტიკული უნარები	
მნიშვნ.5	პროფესიის საფუძვლების ცოდნა	
მნიშვნ.19	ლიდერობა	
მნიშვნ.17	ჯგუფში მუშაობა	ეფექტის გარეშე
მნიშვნ.16	გადაწყვეტილების მიღება	
მნიშვნ.18	ინტერპერსონალური უნარები	
მნიშვნ.21	არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი	

მნიშვნ.15	პრობლემის გადაჭრის უნარი	
მნიშვნ.10	სწავლის უნარი	
მნიშვნ.1	ანალიზისა და სინთეზის უნარი	
მნიშვნ.6	მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი	
მნიშვნ.11	ინფორმაციის მართვის უნარი	
მნიშვნ.23	საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი	
მნიშვნ.3	ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი	
მნიშვნ.8	კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარები	
მნიშვნ.24	სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა	

ზოგიერთი დასკვნები და ღია კითხვები

თუნინგის პროექტის ერთ-ერთ ამოცანა *ევროპულ დონეზე უნივერსიტეტების თვალსაზრისიდან და დარგობრივი სფეროების მიდგომებიდან* გამომდინარე კომპეტენციებთან დაკავშირებული განხილვებისა და დებატების ხელშეწყობა და განვითარების გზების შეთავაზებაა. ევროპაში საუნივერსიტეტო კურიკულუმების განვითარება და მათში ამ კომპეტენციების ასახვისა და განვითარების დონე განსხვავდება ტრადიციებისა და საგანმანათლებლო სისტემების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თუნინგის მიხედვით კომპეტენციები ყოველთვის დაკავშირებულია ცოდნასთან, ვინაიდან მათი განვითარება შეუძლებელია ამა თუ იმ სფეროს ან დისციპლინის სწავლის გარეშე. ამ კონტექსტში და თუნინგის წევრების მიერ გაწეული სამუშაოსა და დებატებზე დაყრდნობით შესაძლებელია მთელი რიგი დასკვნების ჩამოყალიბება, ამასთან, მნიშვნელოვანი კითხვები ღიადაა დარჩენილი და პასუხი მომავალი საქმიანობით უნდა გაეცეს.

1. კომპეტენციების გამოყენების რელევანტურობასთან დაკავშირებით:

- კომპეტენციების განვითარება უპირველეს ყოვლისა სტუდენტზე ორიენტირებულ განათლების პარადიგმას შეესაბამება. ის ხაზს უსმევს, რომ სტუდენტი, მოსწავლე არის ცენტრში და ამდენად, იწყებს დისკუსიას მასწავლებლის როლის ცვლილებაზე. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც უფრო თანმხლებლის როლი, რომელიც სტუდენტს აძლევს მიმართულებას კარგად განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ეს შესაბამისად გავლენას ახდენს საგანმანათლებლო საქმიანობის მიდგომებსა და სწავლების ორგანიზებაზე, რომელიც ასევე იცვლება და ორიენტირებულია სტუდენტის საჭიროებების მიღწევაზე. ეს გავლენას ვრცელდება ასევე შეფასებაზეც, ხდება რესურსებიდან შედეგზე, პროცესსა და კონტექსტზე გადანაცვლება. მიუხედავად ამისა კომპეტენციები შემუშავება, განხორციელება და შეფასება და ამ ცვლილებების გავლენა, როგორც ინდივიდუალურ ასევე ევროპის უნივერსიტეტების სტრუქტურის დონეზე, კვლავ მოითხოვს შემდგომ გააზრებასა და დებატებს.
- ხარისხების აკადემიური და პროფესიული პროფილების განხილვა მჭიდროდაა დაკავშირებული კურიკულუმით მისაღწევი კომპეტენციების იდენტიფიცირებასა და განვითარებასთან. ამ მიზნის მისაღწევად ცალკეული აკადემიური პერსონალის იზოლირებული მუშაობა არასაკმარისია. ეს საჭიროებს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ერთობლივად მომზადებას.
- აკადემიური და პროფესიული პროფილების *გამჭვირვალობა და ხარისხი* ძირითადი აქტივია დასაქმებადობასა და მოქალაქეობასთან მიმართებაში და ამდენად, ხარისხის ამაღლება ევროპული ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევის პრიორიტეტი უნდა გახდეს. აკადემიური და პროფესიული პროფილების განსაზღვრა და შესაბამისი

- კომპეტენციების განვითარება ხელს უწყობს განათლების ხარისხის ამაღლებას მიზნების, პროცესებსა და შედეგების გამჭვირვალობას. ამ კონტექსტში კომპეტენციების ლექსიკის გამოყენება დიპლომის დანართში წინ გადაგმული ნაბიჯია.
- კომპეტენციების გამოყენება (მათ შორის ცოდნა) და შედეგზე *ორიენტირება* სხვა მნიშვნელოვან განზომილებას იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის მნიშვნელობის დასაბალანსებლად. ეს განსაკუთრებით რელევანტურია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის.
 - *უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის* შექმნასთან დაკავშირებით, ერთობლივ განხილვებს, დებატებსა და მცდელობებს დარგობრივი სფეროების კომპეტენციების, როგორც დინამიური ათვლის წერტილების განსაზღვრას აქვს დიდი მნიშვნელობა იოლად გასაგები და შესადარებელი ხარისხების განვითარებისა და მოხილობის ამაღლებისათვის, არა მარტო სტუდენტების, არამედ განსაკუთრებით კურსდამთავრებულებისა და პროფესიონალებისათვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა თუ გადამუშავების *წინ სოციალურ ჯგუფებთან კონსულტაციების* პრაქტიკასთან დაკავშირებით, ევროპის უნივერსიტეტებს შორის თუნინგის წევრებმა განსხვავებული პრაქტიკა შეამჩნიეს. მათ ასევე შენიშნეს კონსულტაციების პროცესში გამოყენებული მეთოდებს შორის არსებითი განსხვავება. ამასთან დაკავშირებით, თუნინგის წევრები შეთანხმდნენ, რომ შესაბამის სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებთან კონსულტაციების პრაქტიკა მნიშვნელოვანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარი უნდა დაეჭიროს შესაბამისი ფორმების გამოყენებას.

- თუნინგის შემთხვევაში კონსულტაციები განხორციელდა შემდეგ ჯგუფებთან: კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და აკადემიური პერსონალი. ცხადია შესაძლებელი იყო კონსულტაციების გამართვა სხვა ჯგუფებთანაც;
- თუნინგის წევრები ასევე შეთანხმდნენ, რომ განახლებულ მონაცემებზე დაფუძნებული უნივერსიტეტების ერთობლივი მოსაზრება მნიშვნელოვანია ადეკვატური საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის. ისინი აცნობიერებენ, რომ სტუდენტებს სჭირდებათ და ითხოვენ ისეთ კვალიფიკაციებს, რომელთა ეფექტური გამოყენებაც შეეძლება მთელს ევროპაში, როგორც სწავლის ასევე დასაქმების მიზნებისთვისაც. ეს მოთხოვნა ასახავს არა მხოლოდ ადგილობრივი სოციალური და პროფესიული ჯგუფების ღირებულებებსა და მოთხოვნას, არამედ ევროპულ დონეზე მიმდინარე უფრო ფართო ტენდენციებს.

3. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ დარგთან დაკავშირებული კომპეტენციები უმნიშვნელოვანესია აკადემიური და პროფესიული ხარისხის იდენტიფიცირების, შესადარობისა და პირველი, მეორე და მესამე საფეხურის პროგრამების განსაზღვრისათვის. კომპეტენციების ანალიზი განხორციელდა ინდივიდუალურად დარგობრივი ჯგუფების მიხედვით. პირველ და მეორე საფეხურისათვის დარგთან დაკავშირებული კომპეტენციების ნაკრების იდენტიფიცირება და დისკუსია შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროექტის ძირითადი წვლილი ევროპის დონეზე ათვლის წერტილების შესაქმნელად.

4. რაც შეეხება ზოგად კომპეტენციების როლს ცვალებად საზოგადოებაში, სადაც პროფესიული პროფილი მკაფიოდაა განსაზღვრული და მზადაა ცვლილებებისა და ადაპტაციისათვის, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები:

- სხვადასხვა კომპეტენციის *მნიშვნელობის* განსაზღვრასთან დაკავშირებით კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები უარესად რელევანტურები იყვნენ:

- სხვადასხვა კომპეტენციის მნიშვნელობასა და მათ რანჟირებასთან დაკავშირებით კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შეხედულებების კორელაციის ძალიან მაღალი ხარისხი კითხვარის ერთ-ერთ ყველაზე გასაოცარი შედეგია. ამ ორი ჯგუფის აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციებია: ანალიზისა და სინთეზის უნარი, სწავლის უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ახალ აგარემოსთან ადაპტირების უნარი, ხარისხზე ზრუნვის უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, დამოუკიდებლად მუშაობისა და ჯგუფში მუშაობის უნარები.
- კომპეტენციების მნიშვნელობის სკალის მეორე ბოლოში (ნაკლებად მნიშვნელოვანი უნარები) აღმოჩნდა ისეთი უნარები როგორცაა: სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა, მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის პატივისცემა, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი, ლიდერობა, კვლევის უნარი, პროექტის შემუშავება და მართვა, მეორე ენის ცოდნა. *მნიშვნელობის* სკალის ბოლოში „საერთაშორისო“ კომპეტენციების კონცენტრაცია ერთ-ერთი გასაოცარ ასპექტია. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ახლად წამოჭრილ საკითხთან, რომელის მნიშვნელობის აღიარებაც მომავლის საქმეა.
- კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რანჟირება დაემთხვა აკადემიური პერსონალის მიერ რანჟირებულ კომპეტენციებს მცირეოდენი გამონაკლისით.
- პირველი გამონაკლისია *საბაზო ზოგადი ცოდნის* ადგილი კომპეტენციებს შორის. კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა მას 18 -დან მე-12-ე ადგილი მიაკუთვნეს, მაშინ როდესაც აკადემიურ პერსონალთან ეს კომპეტენცია პირველ ადგილზეა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხი სიტყვა „საბაზო“ შემცველ კითხვებზე დამოკიდებულია ამ სიტყვის ინტერპრეტაციაზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მოწინავე ცოდნასთან დაკავშირებულ კითხვებში.
- განსხვავების გამომწვევი მეორე საკითხია ელემენტარული კომპიუტერული უნარები. ეს საკითხი იცვლება ჯგუფებთან მიმართებაში. კურსდამთავრებულები მას მნიშვნელოვნად თვლიან, დამსაქმებლები უფრო ნაკლებად მნიშვნელოვნად და აკადემიური პერსონალი კი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მას.
- მესამე გამონაკლისია ადამიანებს შორის (ინტერპერსონალური) ურთიერთობები. მას მაღალი მნიშვნელობა მიანიჭეს კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა (6), მაშინ როდესაც აკადემიურ პერსონალთან ეს კომპეტენცია საკმაოდ ქვედა რიგებში აღმოჩნდა. საზოგადოდ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ყველა უნარი, რომელიც შეეხება ადამიანებს შორის ურთიერთობებს (ინტერპერსონალური უნარები) აკადემიური პერსონალის მიერ უფრო ნაკლები შეფასება ეძლეოდა, ვიდრე კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ. როგორც მნიშვნელობის, ასევე მიღწევის დონის მხრივ სკალის სათავეში აღმოჩენილი კომპეტენციების უმეტესობა ინსტრუმენტულ და სტისტიკურ კომპეტენციებს განეკუთვნება.

- უნივერსიტეტში კომპეტენციის *გამომუშავების დონესთან* დაკავშირებითაც ადგილი ქონდა მაღალი დონის კორელაციას კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებებს შორის. თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში გათვალისწინებულია მხოლოდ კურსდამთავრებულთა შეხედულებები, ვინაიდან მიჩნეულია, რომ მათი შეხედულება კომპეტენციის გამომუშავების დონეზე უფრო ზუსტია.

- კურსდამთავრებულთა მოსაზრებების მიხედვით სკალის სათავეში აღმოჩნდა შემდეგი კომპეტენციები: სწავლის უნარი, საბაზო ზოგადი ცოდნა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, კვლევის უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, ხარისხზე ზრუნვა და სწრაფვა წარმატებისაკენ. მოცემული საკითხებიდან ექვსი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ განხილულია როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და სკალის სათავეშია. დანარჩენები ასახავენ იმ

საკითხებს, რომლებსაც უნივერსიტეტები ტრადიციულად საუკუნეების განმავლობაში ასწავლიდნენ.

- სკალის ბოლოში მოხდნენ ისეთი კომპეტენციები როგორცაა: ლიდერობა, სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა, მეორე ენის ცოდნა, არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი. აღსანიშნავია, რომ ეს კომპეტენციები გვხვდება მნიშვნელობის სკალის ქვედა საფეხურებზეც.

და ბოლოს, რანჟირებასა და ქვეყნების გავლენის ვარიაციასთან დაკავშირებით გამოიკვეთა 13 საკითხი, სადაც გადახრას საერთოდ არ ქონია ადგილი. მათ შორის იყო სამი კომპეტენცია, რომელიც აღმოჩნდა სკალის სათავეში და ორი კი სკალის ბოლოში. შვიდმა კომპეტენციამ აჩვენა სერიოზული „ქვეყნის ეფექტი“. ისინი, როგორც ჩანს დაკავშირებულია საგანმანათლებლო ტრადიციებთან და კულტურულ ღირებულებებთან.

მიუხედავად ამისა, ზოგად უნარებთან მიმართებაში რამდენიმე კითხვა ისევ ღიადაა დარჩენილი. კერძოდ, არსებობს თუ არა ზოგადი უნარების ბირთვი, რომელიც იდენტიფიცირებულია როგორც არსებითი თითოეული დონისათვის? რამდენის გამომუშავებაა შესაძლებელი საგანმანათლებლო პროგრამის მიერ? კომპეტენციების შერჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა აკადემიურ/პროფესიულ ხარისხზე თუ ისინი განისაზღვრება ინსტიტუტის არჩევანის ან ინსტიტუტის სიძლიერის მიხედვით? ვინ არის მათზე პასუხისმგებელი? კურიკულუმის ფარგლებში რა არის მათი გამომუშავების ყველაზე ადეკვატური მეთოდი? ხუთწლიან პერიოდში პირველ და ბოლო კურსდამთავრებულების კომპეტენციებს შორის ცვლილება რა ზომითაა მოსალოდნელი? არსებობს ისეთი ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია ახლადწარმოქმნილ საჭიროებებთან და აჩვენებს მომავალისკენ ხედვის მნიშვნელობასა და ცდილობს განვითარების პროგნოზირებას და ა. შ.

შემდგომი შესწავლისა და რეფლექციის საგანია სხვა, უფრო ზოგადი ღია კითხვები დაკავშირებული კურსდამთავრებულის დასაქმების პოტენციალთან, კომპეტენციის მნიშვნელობასა და მისი გამომუშავების დონეს შორის სხვაობასთან, საზოგადოების ახლადწარმოქმნილ საჭიროებებთან და მომავლის მოთხოვნებთან, ასევე სწავლის ცვალებად ბუნებასთან, რაც განპირობებულია მის მრავალფეროვან კონტექსტში განხორციელებასთან.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ჩამოყალიბებასა და მთლიანად უმაღლესი განათლების გაუმჯობესებაში კომპეტენციების პოტენციალთან დაკავშირებით ევროპულ დონეზე არსებული მოსაზრებების მხოლოდ რამოდენიმე დასკვნას.

მომზადებულია აურელიო ვილას, ხულია გონზალესის, ელენა აუზმენდის, ხოზე ბეზანილასა და ჯონ პოლ ლაკას მიერ.

4. ECTS, სტუდენტის დატვირთვა და სწავლის შედეგები

4.0 შესავალი

დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემაში კრედიტები და კომპეტენციების ფორმით გამოხატული სწავლის შედეგები ერთმანეთისაგან განუყოფელია, წარმოადგენენ რა ერთი მედლის ორ მხარეს. მაშინ როდესაც კრედიტები სწავლის მოცულობას გამოხატავს, შედეგები სწავლის შინაარსს აღწერს. კრედიტის მინიჭება ხდება, მხოლოდ მაშინ, თუ სწავლის შედეგები მიღწეულია სტუდენტის მიერ. მიუხედავად ამისა, არ არსებობს პირდაპირი კორელაცია კრედიტებსა და სწავლის შედეგებს შორის. დრო, რომელიც სჭირდება საშუალო ან ტიპურ სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევისათვის, განისაზღვრება არა მარტო შესასწავლი ცოდნისა და უნარების მოცულობით, არამედ სასწავლო გარემოს კონტექსტითაც. ქვეყანაში არსებული სწავლის კულტურა, ინსტიტუციები, სწავლის, სწავლებისა და შეფასების ორგანიზება, ისევე როგორც სტუდენტების თვისებები და დონე მნიშვნელოვანწილად ახდენენ გავლენას, თუ რა დრო დასჭირდება საშუალო სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მოცემულ კონტექსტში სტუდენტის დრო, გამოხატული სასწავლო დატვირთვის ფორმატით, განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას. იმავდროულად ის უჩვენებს, რომ სწავლის შედეგები პრაქტიკაში შეზღუდულია კრედიტების გარკვეული რაოდენობით, როგორც აკადემიური პროგრამის შემადგენელი ნაწილი. სხვა სიტყვებით: სწავლის შედეგები და კრედიტები ერთმანეთს აბალანსებს. აქედან გამომდინარე, კრედიტების სწორ გათვლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუნიჩგი გთავაზობთ შესაბამის მიდგომას და პრაქტიკაში ამ გათვლების განხორციელების მაგალითებს.

სწავლის შედეგებსა და კრედიტებს შორის კომპლექსური დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი დოკუმენტიდან “ენების საერთო ევროპული ჩარჩო” (“Common European Framework of References for Languages”). ამ დოკუმენტში მოცემულია უცხო ენის ცოდნის სხვადასხვა დონე დაწყებული A1-ით (საფუძვლები) და დამთავრებული C2-ით (მშობლიურთან მიახლოებული). ენის ცოდნის დონეები აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებიც კომპეტენციების ფორმითაა მოცემული. თუნიჩგს მიაჩნია, რომ კომპეტენციის ერთსა და იმავე დონის მისაღწევად საჭირო სასწავლო დატვირთვა, და შესაბამისად კრედიტების რაოდენობა, სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფისათვის განსხვავებული იქნება. ასე მაგალითად, საშუალო ფრანგ სტუდენტს შეიძლება 30 ECTS-კრედიტი დასჭირდეს ესპანურ ენაში C1 კომპეტენციის დონის მისაღწევად, მაშინ როდესაც ჰოლანდიელი სტუდენტი იგივე დონის მიღწევას 60 ECTS-კრედიტს მოანდომებს. ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ ამ ორი სტუდენტის სასტარტო მდგომარეობა განსხვავებულია: ჰოლანდიელისათვის უფრო მარტივი იქნება გერმანული ჯგუფის სხვა ენის შესწავლა, ხოლო ფრანგისათვის რომანული ჯგუფის ენის შესწავლა. როგორც აქამდე აღინიშნა, სწავლისა და სწავლების ეფექტურობა გავლენას ახდენს სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო კრედიტების რაოდენობაზე. სხვა სიტყვებით, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ C1 დონის მიღწევა უდრის კრედიტების x რაოდენობას ყველა სტუდენტისათვის საგანმანათლებლო კონტექსტის მიუხედავად. ეს x განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში და შესაძლებელია სხვადასხვა ინსტიტუტშიც კი და დამოკიდებულია სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე.

თუნიჩგი განასხვავებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, რათა აჩვენოს მასწავლებლებისა და სტუდენტების განსხვავებული როლები. სწავლის შედეგები განისაზღვრება აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსის დონეზე. კომპეტენციები მიიღწევა სტუდენტის მიერ. სტუდენტის მიერ კომპეტენციის მიღწეული დონე შეიძლება უფო მაღალი ან დაბალი იყოს, ვიდრე ეს სწავლის შედეგებითაა განსაზღვრული. კომპეტენციის მიღწევის დონე ფასდება ნიშნით. კომპეტენციები

არაა დაკავშირებული ცალკეულ კურსთან, არამედ სრული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების პროცესში ვითარდება.

პრაქტიკაში იყენებენ სწავლის შედეგების ორ ტიპს: ე. წ. ზღვრული სწავლის შედეგები, რომელიც მინიმალურ დონეს განსაზღვრავს, და ე.წ. სასურველი სწავლის შედეგები. ეს უკანასკნელი გამოხატავს, თუ რას ელის აკადემიური პერსონალი საშუალო სტუდენტისაგან კომპეტენციებთან მიმართებაში. თუნინგი უპირატესობას სასურველ სწავლის შედეგებს ანიჭებს, რადგანაც ის უკეთ ესადაგება ევროპის ქვეყანების დიდ უმრავლესობაში დამკვიდრებულ სწავლებისა და სწავლის კულტურას.

4.1 საგანმანათლებლო სტრუქტურა, სწავლის შედეგები, სტუდენტის დატვირთვა და ECTS-ის კრედიტების გამოთვლა

შესავალი

დოკუმენტი მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სტრუქტურის, სტუდენტის დატვირთვის, კრედიტებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობის უფრო ღრმა აღწერას. დასაწყისისათვის უნდა გავაცნობიეროთ, რომ საზოგადოდ აღიარებული კვალიფიკაციით ან ხარისხის მინიჭებით დამთავრებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება დაფუძნებულია ელემენტების გარკვეულ რაოდენობაზე, რომელთაგან ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგს:

- ა) მოსალოდნელი სწავლის შედეგების ნაკრები;
- ბ) მოთხოვნილი კრედიტების რაოდენობა და მათი განაწილება სხვადასხვა აქტივობას (როგორცაა სწავლება/სწავლის ერთეულები, თეზისი, გამოცდები და ა. შ.) შორის, რომელიც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად;
- გ) ფაქტიური აკადემიური კონტექსტი, რომელიც მიეწოდება სტუდენტს;
- დ) სწავლება/სწავლის მეთოდოლოგია და კონკრეტული უნივერსიტეტის შესაბამისი ტრადიცია.

დოკუმენტი ორიენტირებულია კრედიტების კონცეფციასა და როლზე, ცდილობს ხაზი გაუსვას მათ კავშირს სწავლის შედეგებთან და ზემოხსენებულ ფაქტორებთან. ცხადია თუნინგის პროცესი კრედიტებთან, სწავლის მიზნებთან/ამოცანებთან და შედეგებთან დაკავშირებული კონცეფციების მკაფიო დეფინიციას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მეტი სიცხადისა მიღწევა შემდეგ საკითხებზე:

1. კრედიტების როლი
2. კრედიტების განაწილება კურსებზე
3. კურიკულუმის დიზაინი
4. კრედიტი და დონე
5. კრედიტების გამოთვლა სტუდენტის დატვირთვის ფორმატით
6. აკადემიური წლის ხანგრძლივობის შედარება ევროპაში
7. სტუდენტის დატვირთვას, სწავლის მეთოდებს და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთკავშირი

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ხსენებული საკითხი ურთიერთდაკავშირებულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლება არსებითად შეიცვალა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ჰუმბოლტის მიდგომა თანდათან შეცვალა უფრო სოციალურად ორიენტირებულმა მიდგომამ. რაოდენობრივად შეზღუდული ელიტური განათლებისათვის შემუშავებული სწავლების ფორმები განვითარდა და გარდაიქმნა მასობრივი განათლების სისტემისათვის. ამავდროულად, ტრადიციული და აუცილებელი კავშირები საუნივერსიტეტო განათლებასა და კვლევას შორის ზეწოლის ქვეშ მოქცეა. ბოლო დეკადების განმავლობაში, განათლება გაყვა ინტერნაციონალიზაციის ზოგად ტენდენციას. უფრო მეტად ვიდრე როდესმე სტუდენტები დარწმუნებულნი არიან, რომ საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის ნაწილის გატარებაც კი მათ ინტერესებშია. სამუშაო ძალის საერთაშორისო მოზილობა რეალობა გახდა. ცხადია, რომ როცა უნივერსიტეტის კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და როცა დასაქმებისა და კარიერის ფორმები უფრო მოქნილი ხდება, აკადემიური სწავლისა და სამუშაოს შესაძლებლობების გაფართოვების მიმდინარე ტენდენცია უფრო გამძლიერდება. უფრო მეტიც, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ხაზგასმა, მოიცავს რა უნივერსიტეტების ყველა ნაწილს და ვირტუალურად ყველა დარგობრივ სფეროს, სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

საგანმანათლებლო ბაზრის მუდმივგვალეზადი მოთხოვნები გვაფიქრებინებს განვიხილოთ უწყვეტი პროფესიული განათლების (მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის გათვალისწინებით) ჩართვის საკითხი კვალიფიკაციების ჩარჩოში. ასეთი სწავლისა და მიღწევებისათვის არსებითია კრედიტების სისტემა, რომელიც შეიძლება ფართოდ აღიარებულ იქნეს მობილური სამუშაო ძალისა და კვალიფიკაციების ცნობისათვის. ECTS-ი არის ინსტრუმენტი, რომელიც უკვე ფართოდაა გაგებული და მიღებული და რომელიც ასევე ადაპტირებულია ახალ საჭიროებებთან.

ECTS : კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

1. კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა

კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS) შემუშავდა ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში ევროპის უმაღლესი განათლებაში დღეს ყველაზე ფართოდაა გავრცელებული სტუდენტის დატვირთვის გასაზომად. სხვა ნაკლებად გავრცელებული საკრედიტო სისტემები დაფუძნებულია მრავალფეროვან კრიტერიუმებზე, როგორცაა საგნის მნიშვნელობა ან საკონტაქტო საათების რაოდენობა. ECTS-ის კრედიტები აღწერს მხოლოდ სტუდენტის დატვირთვას კურსის ერთეულის დასრულებისათვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით. იგი გამოხატავს ევროპული სწავლისა და სწავლების მიდგომას, რომელიც სტუდენტს საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში აყენებს.

ECTS-ი თავდაპირველად შემუშავდა და დაინერგა, როგორც ტრანსფერის სისტემა, რათა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებისათვის საშუალება მიეცა აღეწერათ კურსის ერთეულის დასრულებისათვის აუცილებელი აკადემიური სამუშაო და ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ სტუდენტის მიერ განხორციელებული სამუშაოს აღიარებისათვის. ურთიერთგაგებისათვის საერთო ბაზისის შექმნის მიზნით, დასაწყისში (1988) გამოითქვა შეხედულება, რომ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტის მუშაობის სრული წელი, დეფინიციის თანახმად, შეესაბამება 60 ECTS-ის კრედიტს. გამჭვირვალობის მიზნით კრედიტები ენიჭებოდა შეფასებას დაქვემდებარებულ (ე. ი. ნიშანი) ნებისმიერ აქტივობას წლიურ დატვირთვაში თავისი წილის შესაბამისად. ამდენად, კრედიტები განაწილებული იყო ფარდობითობის პრინციპით.

ECTS-ი არ იყო მარტო კრედიტი. მისი მიზანი იყო შეექმნა უმაღლეს სასწავლებლებს, ფაკულტეტებს, დეპარტამენტებს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის მარტივი, მაგრამ გასაგები საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა ურთიერთგაგებასა და ნდობას. შეიქმნა სტანდარტული ფორმები: ECTS-ის განაცხადის ფორმა, სასწავლო ხელშეკრულება და ნიშნების ფურცელი. მათ შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.europa.int.eu/comm/education/socrates/ects.

2. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

ზოგიერთ ქვეყანაში ECTS-ი ან მისი ანალოგი გამოიყენება როგორც დაგროვების სისტემა. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც მივეყვართ აღიარებულ კვალიფიკაციამდე აღწერილია ECTS-ის კრედიტებით. კრედიტების განაწილების საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა. მაგალითად, მთლიანი სამუშაო დატვირთვა, რომელიც აუცილებელია პირველი საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად, გრძელდება ან ოთხ წელს და შეესაბამება 180 ან 240 კრედიტს. ნებისმიერი კურსის ერთეული, რომელიც აუცილებელია კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღებად, უნდა აღიწეროს სამუშაო დატვირთვის ტერმინებით და მასასადამე კრედიტებით. კრედიტების მიღება ხდება მაშინ, როდესაც კურსის ერთეული ან სხვა აქტივობა წარმატებით დასრულებული და შეფასებულია (ნიშანი).

როდესაც ECTS-ი გამოიყენება, როგორც დაგროვების სისტემა, საჭირო ხდება გარკვეული წესების

შემოდება. კრედიტი ზომავს მხოლოდ სასწავლო დატვირთვას. ის არ ზომავს სტუდენტის მოსწრებას, შინაარსს ან დონეს. ეს ელემენტები სხვაგვარად აღიწერება. დასრულებული ოფიციალური სასწავლო აქტივობისათვის აუცილებელი დატვირთვა უნდა აღიწეროს კრედიტებით და მიეთითოს სტუდენტის ნიშნების ფურცელში. ამასთან, კრედიტების მინიჭება ხდება მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც მივეყვართ აღიარებული კვალიფიკაციასთან.

როცა ECTS ან ანალოგიური კრედიტების სისტემა ოფიციალურ სახეს იღებს, კრედიტი იძენს აბსოლუტურ და არა შეფარდებით მნიშვნელობას. ეს ნიშნავს, რომ კრედიტების გათვლა ხდება არა პროპორციის, არამედ ოფიციალურად აღიარებული კრიტერიუმების საფუძველზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ECTS-ის პრინციპებზე დაფუძნებული კრედიტების დაგროვების ნაციონალური სისტემები სტუდენტის სასწავლო დატვირთვის არა მარტო ქვეყნის შიგნით ტრანსფერის, შეფასებისა ცნობის, არამედ საერთაშორისო დონეზე ტრანსფერის საშუალებასაც იძლევა. ტრანსფერი ყოველთვის გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით ხორციელდება, რაც ECTS-ის საფუძველს წარმოადგენს.

უფრო მეტიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო და უფრო მეტი ქვეყანა ღებულობს ბოლონიის დეკლარაციასთან/პრადის კომუნიკსთან თავსებად სისტემებს, მეტი დაახლოვება და კონსენსუსი შეინიშნება ECTS-ის კრედიტების, როგორც სტუდენტის სამუშაო დროის საერთო საზომის გარშემო. პრაქტიკაში 1 ECTS კრედიტი სტუდენტის სამუშაო დატვირთვის 25-30 საათს უტოლდება.

3. ECTS-ი დღეს

ცამეტი წლის განმავლობაში ECTS-ი ძალიან განსხვავებულ ევროპულ სისტემებსა და სტრუქტურებს შორის კომუნიკაციის ნოვატორული სისტემიდან გადაიქცა მაკონსოლიდირებელ ოფიციალურ სისტემად, რომელიც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. იგი თავიდანვე ხელს უწყობდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას და შესაძლებელი გახადა დასწრებული სწავლების სტუდენტებისათვის შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ორმხრივი ცოდნის ზრდა.

ECTS -ი, საერთო ევროპულ დაგროვების სისტემად განვითარების კვალდაკვალ, ასევე გახდება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სხვა, უფრო მოქნილი უმაღლესი განათლების ფორმებისათვისაც: დაუსწრებელი სწავლება, განმეორებადი სასწავლო პერიოდები და ზოგადად რასაც დღეს ვეძახით სწავლას მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამდენად, ECTS-ი არის იმ მრავალი სასწავლო საქმიანობის გაზომვისა და აღწერის აუცილებელი ინსტრუმენტი, რომელშიც ევროპის მოქალაქეები იქნებიან ჩართულნი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში.

ECTS-ის კრედიტები სადრეისოდ სულ უფრო და უფრო მეტად გამოიყენება კურიკულუმის შემუშავებისათვის. ECTS-ის კრედიტები, აღწერს რა დროში გამოხატულ სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, საშუალებას აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას პროგრამის დროითი ჩარჩოს გათვალისწინებით დაგეგმოს ეფექტური გზები სასურველი შედეგების მისაღწევად. ECTS-ის კრედიტები გვაწვდის ასევე საჭირო მეთოდს შედეგების მონიტორინგისა და სწავლება/სწავლის გაუმჯობესებისათვის. ECTS-ი ასევე ხელს უწყობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას, უზრუნველყოფს რა „საერთო ვალუტას“, კურსის ერთეულების შინაარსის გამჭვირვალობასა და ინფორმაციას შეფასების მეთოდების შესახებ.

კრედიტების როლი

ECTS

1989-1995 წლებში 145 უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობით ევროკომისიამ შეიმუშავა კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS). ამ სისტემის განზრახვა იყო შეექმნა ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტში აკადემიური სწავლის პერიოდების შედარება. ითვლებოდა, რომ ასეთი ინსტრუმენტი აუცილებელია საზღვარგარეთ მიღებული განათლების ცნობისათვის. ECTS-ი ჩაფიქრებული იყო, როგორც ტრანსფერის სისტემა ევროპული ქვეყნების უმაღლესი განათლების სხვადასხვა სისტემისა და სტრუქტურის დასაკავშირებლად. ის კარგად მუშაობდა. როგორც სასწავლო დატვირთვაზე, ინფორმაციაზე, ურთიერთდობისა და პატივისცემის ფილოსოფიაზე დაფუძნებული ტრანსფერის სისტემა.

მართლაც, მისი ძლიერი და მიმზიდველი მხარე იყო და არის:

- სიმარტივე;
- საერთო უნარი, დააკავშიროს საგანმანათლებლო სისტემები ნაციონალურ და ასევე საერთაშორისო დონეზე.

თავიდანვე შეთანხმებული იყო, რომ სხვა უნივერსიტეტში გატარებული სასწავლო პერიოდის წარმატებით დასრულების ცნობა მოხდებოდა მხოლოდ კურსის ერთეულის დონის, შინაარსისა და სამუშაო დატვირთვის შესახებ აკადემიურ პერსონალს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

კრედიტების შეფარდებითი და აბსოლუტური მნიშვნელობა

ECTS-ის საინფორმაციო მასალებში ნათქვამია, რომ კურსებზე გადანაწილებული კრედიტები არის შეფარდებითი მნიშვნელობა და ასახავს *კონკრეტულ სასწავლებელში ამა თუ იმ კურსისათვის საჭირო სამუშაოს რაოდენობას სრულ აკადემიური სასწავლო წლის მთლიან სამუშაოს რაოდენობასთან მიმართებაში*. აღნიშნული საკითხი გამარტივებულია. განსაკუთრებით ეს ეხება „შეფარდებითი მნიშვნელობის“ საკითხს, რომელიც უკავშირდება „სრულ აკადემიურ სასწავლო წელს“, რომელიც დიდ ყურადღებას მოითხოვს. კრედიტების სისტემის განვითარების პერიოდში ყველა უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხერხდა ცალსახად კრედიტების ფარდობითი მნიშვნელობის განსაზღვრა ყველა სიტუაციისათვის. ეს გარკვეულწილად დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ყველა ქვეყანა კარგად არ იცნობდა კრედიტების სისტემას. იმ პერიოდისათვის კრედიტების სისტემის გამოყენებაში ყველაზე მეტი სირთულეები ჰქონდა იტალიასა და გერმანიას. გერმანიას იმიტომ, რომ ბევრ დისციპლინისათვის საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული და იტალიას კი იმიტომ რომ არ არსებობდა რეალური კავშირი სასწავლო პროგრამის ოფიციალურ და ფაქტიურ ხანგრძლივობას შორის. შესაბამისად „ფარდობითი მნიშვნელობის“ ტერმინს განსხვავებული გაგებით ხმარობდნენ სხვადასხვა ქვეყანასა და ვითარებაში. ხანდახან კრედიტების განაწილება ეფუძნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ოფიციალურ, ხან კი არაოფიციალურ ხანგრძლივობას, ანუ დროის საშუალო რაოდენობას, რომელიც პრაქტიკაში აუცილებელია პროგრამის წარმატებით დასამთავრებლად. ქვეყნებში სადაც სასწავლო დატვირთვის იდეაზე დაფუძნებული კრედიტების სისტემა არსებობს კრედიტების განაწილების ათვლის წერტილად აღებულ იქნა სწავლის ოფიციალური ხანგრძლივობა. ასეთ ვითარებაში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „შეფარდებითი მნიშვნელობა“ გახდა „აბსოლუტური“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ევროპული ქვეყნებისა და უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა შემოიღებს ECTS-ის მსგავს, სტუდენტის სასწავლო დატვირთვის იდეაზე დაფუძნებულ კრედიტების სისტემას. ამასთან, ამ ქვეყნებშიც კრედიტებს მიეცემათ „აბსოლუტური მნიშვნელობა“. ეს არ ნიშნავს, რომ კრედიტის სასწავლო დატვირთვის საათების

რაოდენობა ზუსტად ერთი და იგივე იქნება ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე. აკადემიური წლის განმავლობაში ფაქტიური სასწავლო პერიოდი განსხვავდება როგორც სასწავლებლებს ასევე ქვეყნებს შორისაც. ეს არ ქმნის პრობლემებს, ვინაიდან განსხვავება გარკვეულ ფარგლებში არსებობს. ამ საკითხს ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით.

პროგრამების ტიპები

ხანდახან განასხვავებენ ე. წ. ჩვეულებრივ და გართულებულ პროგრამებს. ეს უკანასკნელი განკუთვნილია განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტებისათვის³. ორივე შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ეფუძნებოდეს იმ წინაპირობას, რომ აკადემიური წელი 60 კრედიტია. ეს ცხადყოფს, რომ მიუხედავად ყველაფრისა კრედიტი ასახავს სასწავლო დატვირთვას და მისი მიღება ხდება მხოლოდ დადებითი შეფასების შემდეგ ე. ი. სტუდენტის მიერ გამომუშავებული კომპეტენცია მათი მიღწევის თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ არსებობს არა მარტო განათლების სხვადასხვა ტიპი (ე.ი. სწავლებისა და სწავლის მეთოდები/ტრადიციები), არამედ ასევე სხვადასხვა სასწავლო მიღწევები/მოსწრება განათლების ერთსა და იმავე ტიპს შიგნით. სხვა სიტყვებით, აღიარებული კვალიფიკაცია განსაზღვრავს თუ მთლიანად რამდენი კრედიტი და მოდულების მიხედვით კრედიტების რა ნაწილი მიიღო სტუდენტმა. კრედიტს აქვს ერთი განზომილება - სასწავლო დატვირთვა, მაგრამ დიპლომის დანართსა და ნიშნების ფურცელში თან ახლავს ისეთი ინფორმაცია, როგორცაა კვალიფიკაციის გამცემი სასწავლებელი, დონე, შინაარსი, მოსწრების ხარისხი (რანჟირება) და სხვა. მეტი სიცხადისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტი შეეხება ტიპურ სტუდენტს, რომელიც სწავლობს ჩვეულებრივ პროგრამაზე.

ECTS-ი, როგორც დაგროვების სისტემა

კრედიტი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სიდიდეს, ის ყოველთვის აღწერს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც კურიკულუმის ნაწილს წარმოადგენს. თუ ჩვენ ვახსენებთ კრედიტების დაგროვების სისტემას, ჩვენ ვგულისხმობთ სისტემას, სადაც კრედიტები დაგროვებულია ერთიან საგანმანათლებლო პროგრამაში. ამ მიმართებით კრედიტი არის *ერთეული*, რომელიც ასახავს გარკვეული სამუშაოს წარმატებით დასრულებას გარკვეულ დონეზე აღიარებული კვალიფიკაციის მისაღებად. ამდენად, ერთი კონტექსტიდან მეორეში კრედიტების ავტომატური ურთიერთჩანაცვლება არ ხდება. უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი განყოფილების სპეციალისტებმა *ყოველთვის* უნდა შეაფასონ სხვა სასწავლებლებში შესრულებული სამუშაო (მიღებული კრედიტები), სანამ მიიღებენ სტუდენტის პროგრამაზე დაშვების გადაწყვეტილებას. ECTS-ი, როგორც დაგროვების სისტემა ხელს უწყობს ამ კრედიტების ცნობას. შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მთლიან გაწეული სამუშაოს და არა კურსების სათითაოდ შედარებას. ნებისმიერ სასწავლებელში განხორციელებული სამუშაოს აკადემიური ცნობის მეთოდი ბოლო

³ „გართულებულ“ პროგრამას შეიძლება სამი განსხვავებული მნიშვნელობა მიეცეთ:

- 1) ჩვეულებრივი, ნორმალური პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება შემცირდეს განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტის მიერ, რომელსაც შეუძლია ერთ აკადემიურ წელს 60 კრედიტზე მეტის მიღება;
- 2) ზოგიერთ სასწავლებლებში, მაგალითად, ოქსფორდი, კემბრიჯი, Ecole Normale in Paris, Scuola Normale in Pisa, სტუდენტს შეუძლია კურიკულუმს ზევით დამატებით ლექციებზე დასწრება და სხვა სასწავლო აქტივობის განხორციელება;
- 3) სტუდენტს თავის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაში შეუძლია შეცვალოს მოდულები. ე.ი. ჩაანაცვლოს ერთი მოდული, მეორე უფრო რთული მოდულით, თუმცა კრედიტების რაოდენობა არ იცვლება. ამდენად, დროის იმავე პერიოდში, იგივე რაოდენობის კრედიტებით სტუდენტს შეუძლია მიაღწიოს უფრო მაღალ დონეს (პროგრამით სადაც გამოტოვებულია დეტალები, რომელიც გვხვდება ჩვეულებრივ პროგრამებში). დონე არ განისაზღვრება კრედიტებით.

დეკადაში ჩამოყალიბდა, როგორც ძირითადი წესი ECTS-ის ფარგლებში. ECTS-ი გამოსადეგია როგორც დაგროვების სისტემაც, ვინაიდან ეფუძნება შინაარსთან დაკავშირებულ კრედიტებს და ცნობას იმ უმაღლესი სასწავლებლის მიერ, რომელიც საბოლოო ჯამში გასცემს კვალიფიკაციას.

როგორც უკვე აღინიშნა ბოლო დრომდე ECTS-ის ძირითად ასპექტს მისი ტრანსფერი წარმოადგენდა, მაგრამ უახლოეს მომავალში ფოკუსი გადაინაცვლებს კრედიტების დაგროვების ასპექტზე. იგი ქმნის აუცილებელ მექანიზმს, რომელიც პასუხს გასცემს უმაღლეს სასწავლებლებსა და შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს.

ამასთან დაკავშირებით უმაღლესი განათლების სექტორის ინტერესის სფეროშია აკადემიური სწავლისათვის ECTS-ის დაგროვების სანდო სისტემად გარდაქმნა. ECTS-ის განვითარების პირველ დეკადაში არ არსებობდა შესაბამისი პირობები ამგვარი ნაბიჯისათვის. ბოლო სამი წლის განმავლობაში ცვლილებები განხორციელდა ევროპის უმაღლესი განათლების პოლიტიკაში რომელმაც შექმნა შესაძლებლობა და ხაზი გაუსვა კრედიტების დაგროვების სისტემის აუცილებლობას. აღნიშნულის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ერთი მხრივ სორბონის დეკლარაცია (1998), ბოლონიის დეკლარაცია (1999) და პრადის კომუნიკე (2001) და მეორე მხრივ მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები. ისინი მისდევენ ღია ბაზრის ევროპული ჩარჩოს, ინდივიდებისა და საქონლის თავისუფალი გაცვლისა და ერთი ეკონომიკური სივრცის იდეას. შესაბამისად დაგროვების სისტემა განიხილება, როგორც ევროპაში უმაღლესი განათლების სისტემების ურთიერთშეწყობის ერთ ერთი წინაპირობა.

რეალობაში კრედიტების ტრანსფერი და კრედიტების დაგროვება ერთი მედლის ორი მხარეა. ბოლო წლების განმავლობაში ხშირად გვთავაზობდნენ ECTS -ის აბრევიატურის შეცვლას და მასში დაგროვების ასპექტის გათვალისწინებასაც, მაგრამ გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით გადაწყდა ძველი აბრევიატურის უცვლელად შენარჩუნება. ბოლო დეკადის განმავლობაში ECTS გახდა კარგად ნაცნობი „სავაჭრო მარკა“, რომელიც აკადემიური ცნობის უნიკალურ მეთოდოლოგიას ასახავს. ამასთან, ECTS-ის მოთხოვნების შესაბამისად კრედიტები შეეხება ყველა პროგრამის ყველა კურსს. ECTS-ის ძირითადი იდეაა რომ ცნობა გაგებულია არა როგორც კურსების ერთმანეთთან შედარება, არამედ სწავლის პერიოდების აღიარება შესაძარბელი დონისა და შინაარსის მიხედვით, რომელიც უფრო მოქნილ გზას წარმოადგენს.

კრედიტები და საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა

სორბონის დეკლარაციისა (1998) და ბოლონიის დეკლარაციის (1999) შემდეგ კრედიტების შესახებ დისკუსიამ ახალი იმპულსი შეიძინა. არა მარტო გაიზარდა ქვეყანების რაოდენობა რომლებმაც შემოიღეს ECTS-თან შესაბამისობაში მყოფი კრედიტების ეროვნული სისტემა, არამედ ასევე დაიწყო დისკუსია უმაღლესი განათლების საფეხურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობის შესახებ. შედეგად, ევროპის დონეზე მოხდა შეთანხმება შემდეგი ზოგადი სტრუქტურის შესახებ:

- პირველი საფეხური ან დიპლომამდელი განათლება 180-240 კრედიტი (იხილეთ ჰელსინკის კონფერენციის (2001) დასკვნა, სადაც მიიღწა შეთანხმება ხანგრძლივობაზე, რომელიც მოგვიანებით დაადასტურა სალამანკის კონვენციამ)
- მეორე საფეხური ან დიპლომის შემდგომი (ხანგრძლივობა ისევ დისკუსიის საგანია)
- მესამე საფეხური ან სადოქტორო (3 ან 4 წელი; 180-240 კრედიტი)

კრედიტების განაწილება კურსებზე

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

ECTS - შემუშავდა, როგორც სტუდენტის დატვირთვაზე დაფუძნებული სისტემა და კარგად ეხამებოდა 80-იან წლებში ევროკავშირის ქვეყნებში (სკანდინავია, ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთში) მიმდინარე პროცესებს. ამ ქვეყნებში კრედიტების ეროვნული სისტემები დაინერგა როგორც დაგროვების სისტემები. ამდენად, ECTS-ის შემოღება სირთულეს არ წარმოადგენდა. სხვა ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა ეფუძნებოდა საკონტაქტო ანუ სასწავლო საათებს ECTS-ის შემოღება ბევრად გართულდა. ამ ქვეყნებში თავდაპირველად გამოიყენეს შემდეგი მიდგომა: კრედიტების განაწილება კურსებზე დაეფუძნა თითოეული კურსის სასწავლო საათებს. ეს მიდგომა დაეფუძნა დაშვებას, რომ საკონტაქტო საათების რაოდენობა მეტ-ნაკლებად ასახავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, მაგრამ პრაქტიკაში ეს ყოველთვის ასე არაა. იტალიისა და ესპანეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბოლოო ჯამში ეს მიდგომა არადაძველებელია. იგივე საკონტაქტო საათი შეიძლება სხვა სასწავლო დატვირთვას შეესაბამებოდეს. რიგ ქვეყნებში სიტუაცია გაართულა იმ ფაქტმა, რომ კურიკულუმის შინაარსი ცენტრალური ხელისუფლების მიერ განისაზღვრება. ე.ი. არსებობს ფიქსირებული საგნების სია, რომელიც უნდა ისწავლებოდეს. ასეთ მიდგომა აყალიბებს კურიკულუმის მოუქნელ სტრუქტურასა და კრედიტების სამართლიანი განაწილება პრობლემატური ხდება.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც კრედიტების განაწილებას საფუძველად დაედო სტუდენტის დატვირთვა და არა საკონტაქტო საათი, სხვა ტიპის სირთულეებს ჰქონდა ადგილი. გარკვეულმა გაუგებრობამ იჩინა თავი დისციპლინის მნიშვნელობასთან კრედიტების რაოდენობის დაკავშირების მცდელობისას. რთულად გასაგები აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ კურსის სირთულე ან მნიშვნელობა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს საფუძველს კრედიტების გასანაწილებლად. კრედიტი დამოკიდებულია მხოლოდ დროის იმ რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია საკითხის შესასწავლად და კურსის წარმატებით დასასრულებლად.

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები მასწავლებელზე ორიენტირებული პროგრამის საპირისპიროდ

ამ ტიპის დისკუსია ასახავს სწავლებისა და სწავლის განსხვავებულ მნიშვნელობას. საგანმანათლებლო სისტემები შეიძლება აღვწეროთ, როგორც უფრო მეტად მასწავლებელზე ორიენტირებული ან სტუდენტზე ორიენტირებული. მასწავლებელზე ორიენტირებული სისტემა ზოგადად დროზე არაა დამოკიდებული, ვინაიდან ეფუძნება დაშვებას, რომ პროფესორმა იცის თუ რა უნდა ისწავლოს სტუდენტმა მისი კურსის ფარგლებში. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა მეტ ყურადღებას აქცევს კურიკულუმის დაგეგმვას და ფოკუსირებულია სასწავლო პროგრამის ვარგისიანობაზე საზოგადოებაში სტუდენტის შემდგომი როლიდან გამომდინარე. ამ მიდგომაში კრედიტების სწორი განაწილება და შესაბამისი სწავლის შედეგების განსაზღვრა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ბოლო პერიოდამდე სისტემების უმეტესობა იყო მასწავლებელზე ორიენტირებული. ამჟამად გამოიკვეთა ტენდენცია მეტი ყურადღება მიაქციონ დაზრკოლებებს, რომელსაც აწყდება ტიპური სტუდენტი სწავლის ვადებში დამთავრებისათვის. სტუდენტის დატვირთვა განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი და პედაგოგებმა აღიარეს, რომ არსებობს გარკვეული

წინააღმდეგობა იმასთან დაკავშირებით თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა და რისი სწავლის შესაძლებლობა აქვს მას გარკვეულ პერიოდში. სწავლის შედეგების გარკვეული ნაკრებისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მივაქციოთ უნივერსიტეტში სწავლამდე შეძენილ სხვადასხვა ცოდნასა და უნარს. აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში, საშუალო სკოლის სტრუქტურულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის დაშვება გამოიყენება.

კურიკულუმის დაგეგმვა სასურველი სწავლის შედეგების როლი

კრედიტების გამოყენების პირობებში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სასურველის სწავლის შედეგების საფუძველზე.

სწავლის შედეგები არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ.⁴ ამ მიმართულებით გამოცდილება დააგროვა ინგლისის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტომ(QAA). ეს მეთოდი ცნობილია, თუმცა ჯერ ნაკლებად გამოიყენება სხვა ევროპული ქვეყნების მიერ.

ამ გზით პროგრამის შემუშავებისას მიიღწევა გამჭვირვალობა და პროგრამის მთლიანობა. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევიმუშავოთ კუმულატიური პროგრამები შესაბამის საფეხურზე, დონესა თუ კურსის ერთეულზე სპეციფიკური დაშვების პირობებით.

პირველი და მეორე საფეხურისათვის გათვალისწინებული სწავლის შედეგები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. საბოლოო შედეგი და გამომუშავებული კომპეტენციები დისციპლინასთან/დარგთან დაკავშირებული უნდა იყოს, თუმცა ზოგადი ამოცანებიც უნდა იქნეს ფორმულირებული. პრაქტიკაში განასხვავებენ ორი ტიპის სწავლის შედეგებს:

- ზოგადი კომპეტენციები (ტრანსფერული უნარები)
- დარგის სპეციფიკური კომპეტენციები (თეორიული, პრაქტიკული და/ან ექსპერიმენტული ცოდნა და დარგთან დაკავშირებული უნარები)

ორივეს უნდა გააჩნდეს თავისი აღიარებული ადგილი სილაბუსში და იყოს შემოწმებადი.

ზოგადი და დარგის სპეციფიკური კომპეტენციები (უნარები და ცოდნა)

როდესაც ვსაუბრობთ ზოგად კომპეტენციებზე ვგულისხმობთ ისეთ კომპეტენციებს როგორცაა ანალიზისა და სინთეზის უნარი, ზოგადი ცოდნა, ევროპული და საერთაშორისო განზომილების ცოდნა, დამოუკიდებლად სწავლის უნარი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარი, ლიდერობა, ორგანიზაციული უნარები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ჩვენ ვსაუბრობთ თვისებებზე, რომლებიც მრავალ სიტუაციაში გამოიყენება და არა მარტო რომელიმე კონკრეტულ დარგში. ამასთან, მათი უმეტესობის განვითარება, მხარდაჭერა ან შეფერხება შესაძლებელია შესაბამისი ან არაადეკვატური სწავლა/სწავლების მეთოდებითა და ფორმატით.

ზოგადი კომპეტენციების გარდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა *დარგის სპეციფიკური კომპეტენციების* (უნარები და ცოდნა) განვითარებას ემსახურება. დარგთან დაკავშირებული

⁴ Credit and HE Qualifications. Credit Guidelines for HE Qualifications in England, Wales and Northern Ireland, published in November 2001 by CQFW, NICATS, NUCCAT and SEEC.

უნარები ესაა დისციპლინის სფეროში გამოყენებული მეთოდები და პრაქტიკული მიდგომები. მაგალითად, უძველესი ხელნაწერების ანალიზი, ქიმიური ანალიზი, შერჩევის მეთოდები და ა. შ.

დარგთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული და/ან ექსპერიმენტული ცოდნა მოიცავს სპეციფიკური ფაქტებზე დაფუძნებულ ცოდნას, პრობლემების გადაჭრის გზებს, დარგის ისტორიას და უახლეს განვითარებას. დამაკმაყოფილებელი კურიკულუმის შესამუშავებლად აუცილებელია სერიოზული ანალიზი პრიორიტეტების ჩამოსაყალიბებლად და დარგის სპეციფიკური ცოდნის დონის განსაზღვრისათვის.

ერთიდაიგივე სწავლის შედეგების/კომპეტენციების მიღწევა შესაძლებელია სწავლებისა და სწავლის განსხვავებული მეთოდების, ტექნიკისა და ფორმატის გამოყენების მეშვეობით. მაგალითად, ლექციაზე დასწრება, სპეციფიკური დავალების შესრულება⁵, პრაქტიკა, მზარდი სირთულის ესეების მომზადება, ნაშრომების წაკითხვა, სხვის ნაშრომის კონსტრუქციული კრიტიკა, შეხვედრების (მაგალითად, სემინარი) ხელმძღვანელობა, ნაშრომის ერთობლივი მომზადება, პრეზენტირება, ლაბორატორიული და პრაქტიკული სავარჯიშოები, ველზე მუშაობა.

ერთი შეხედვით გასაგებია, რომ უფრო ზოგადი სწავლის შედეგები პირველ საფეხურზე უნდა მიიღწოდეს. თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „ზოგადი“ სწავლის შედეგები გარკვეული ზომით დარგზეცაა დამოკიდებული. პირველი საფეხურის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- მისი ძირითადი დისციპლინის საფუძვლებისა და ისტორიის ცოდნის დემონსტრირება;
- ცოდნის ლოგიკური თანამიმდევრობით გადმოცემა;
- ახალი ინფორმაციის განსაზღვრა და მისი ინტერპრეტირება;
- დისციპლინის საერთო სტრუქტურისა და მის ქვედარგებს შორის კავშირების გაცნობიერება;
- კრიტიკული ანალიზისა და თეორიების განვითარების გაცნობიერებისა და გამოყენების დემონსტრირება;
- დისციპლინასთან დაკავშირებული მეთოდებისა და მეთოდების სწორი გამოყენება;
- დისციპლინასთან დაკავშირებული კვლევების ხარისხის გაცნობიერება;
- სამეცნიერო თეორიებზე დაკვირვებისა და ექსპერიმენტების შედეგების გაცნობიერება.

პირველი საფეხურის დამთავრება წარმოადგენს მოთხოვნას მეორე საფეხურზე დასაშვებად. ჩვეულებრივად, მეორე საფეხური სპეციალიზაციის ფაზაა. თუმცა, ეს ერთ-ერთი შესაძლო მოდელია. მეორე საფეხურის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს განახორციელოს დამოუკიდებელი (გამოყენებითი) კვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე საფეხურის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- მოცემული დარგის სპეციალიზებული სფეროს სრულად ფლობა(ღრმა და სისტემური ცოდნა). ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკაში ფლობს უახლეს თეორიებს, ინტერპრეტაციებს, მეთოდებსა და შესაბამის ტექნიკებს;
- თეორიასა და პრაქტიკაში მიმდინარე უახლესი ცვლილებების კრიტიკული გააზრება და ინტერპრეტაცია;
- დამოუკიდებელი კვლევის მეთოდების გამოყენება და შედეგების ინტერპრეტაცია ე. წ. მოწინავე დონეზე;
- ორიგინალური, თუმცა გარკვეულწილად შეზღუდული, წვლილის შეტანა დისციპლინის კანონებში (საბოლოო თეზისი);
- დარგთან მიმართებაში ორიგინალურობისა და შემოქმედობითობის დემონსტრირება;

⁵ ე. ი. სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშის ან ესეს მომზადება.

- კომპეტენციების პროფესიონალურ დონეზე განვითარება.

ზემოაღნიშნული ყველა სწავლის შედეგი ერთნაირად რელევანტური არაა ყველა დარგისათვის.

მოდულარული და არამოდულარული სისტემები

ზოგიერთისათვის კრედიტების სისტემის შემოტანა ავტომატურად იწვევს მოდულარული სისტემის შემოღებას. ეს არის კურსის ერთეული ან მოდული, რომელსაც მიკუთვნებული აქვს კრედიტების „შეზღუდული / გონივრული რაოდენობა“ სტანდარტული ჯერადით. პრაქტიკაში მრავალი ალტერნატივა მოიძებნება და „ჯერადს“ ხშირად ყურადღებას არ აქცევენ. მოდულარულ სისტემას აქვს აშკარა უპირატესობა, ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანაში იგი იცავს პროგრამას სერიოზული ფრაგმენტაციისაგან და შესაბამისად ძალიან ბევრი გამოცდისაგან. მისი მეშვეობით ადვილდება კრედიტების ტრანსფერი. მოდულარული სისტემა არაკურთკულუმის შემუშავების წინაპირობა, თუმცა პრაქტიკაში ხელს უწყობს ამ პროცესს. სწავლების თავისუფლების შემცირება (საკონტაქტო საათების რაოდენობის მოდულის შიგნით შეზღუდვიდან გამომდინარე) მოდულარული სისტემის ნეგატიური ასპექტია, მაგრამ პოზიტიური ასპექტია საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის ამღობა, რაც საშუალებას იძლევა შემუშავდეს საერთო შეხების წერტილების მქონე სხვადასხვა კურიკულუმი. არამოდულარულ სისტემაში (ე. ი. როდესაც დიდი რაოდენობის კრედიტი ეძლევა საგანს, რომელსაც ერთი პროფესორი ასწავლის) პრიორიტეტი ეძლევა მასალის არჩევას, მოდულარულში კი კურიკულუმის საერთო სტრუქტურას, რომელიც წინასწარი განხილვების შედეგია.

ნებისმიერ სისტემაში (მოდულარული ან არამოდულარული) კრედიტები შეიძლება განაწილდეს ორი მიმართულებით: ზევიდან-ქვევით ან ქვევიდან-ზევით. ქვევიდან-ზევით მიდგომის დროს ყურადღების ცენტშია კურსის ერთეული. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული კურსის ერთეულის ადგილი საერთო კურიკულუმში გაურკვეველია. პედაგოგების მიერ კურსის ერთეულის როლის გადამეტება ან დაკნინება ამ მიდგომის თანმდევი რისკია და სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს მოცულობაზე აისახება. სტუდენტისათვის ეს შეიძლება ნიშნავდეს გადამეტებული (ან მცირე) დატვირთვის გამო. დროის ეფექტიანად გამოყენების შეუძლებლობას.

ზევიდან-ქვევით მიდგომის გამოყენებისას პროცესის საწყის წერტილს წარმოადგენს 4 დონეზე მოსალოდნელი სწავლის შედეგები:

- მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები (მაგისტრი);
- პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები (ბაკალავრი)
- საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი წლის/დონის პროგრამები;⁶
- თითოეული კურსის ერთეული (მოდული ან სხვა სასწავლო აქტივობა).

კრედიტების განაწილება

როდესაც ვსაუბრობთ სასურველ სწავლის შედეგებზე ან კომპეტენციებზე, ჩვენ ვგულისხმობთ ფაქტიურ ცოდნას, ანალიტიკურ უნარებს, პრაქტიკულ უნარებს და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შეუსაბამო სწავლის შედეგების (მაგალითად, საკითხის ზედმეტად დეტალიზება) თავიდან აცილების საკითხს. სასურველი სწავლის შედეგების ჩამოყალიბების შემდეგ აუცილებელია ამ სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო სამუშაო დროის რაოდენობის განსაზღვრა. გათვლები ეფუძნება ტიპური სტუდენტის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში გაწეული სამუშაოს მოცულობის შეფასებას. სინამდვილეში ეს გათვლები და განსაზღვრული

⁶ რიგ ქვეყნებში, მაგალითად ინგლისი, სწავლის შედეგების განსაზღვრა ხორციელდება ასევე სწავლის წლების მიხედვით (მთარგმნელის შენიშვნა)

შედეგების მისაღწევად განკუთვნილი დრო შეიძლება ერთმანეთს არც კი დაემთხვეს. ეს არის კომპრომისებზე წასვლის მომენტი ცოდნისა და უნარების დონესა და მის გამომუშავებასთან დაკავშირებულ დროსთან მიმართებაში. ეს შეიძლება ნიშნავდეს სწავლის შედეგების შემდგომ დაზუსტებას. თუ ეს პროცესი სწორად განხორციელდა, მაშინ მოგვეცემს კურიკულუმში სწავლება/სწავლის თითოეული აქტივობისათვის (ე.ი. სწავლების ბლოკის ან მოდულის ან კურსის ერთეულის, სავლე მუშაობის პრაქტიკის გამოცდების და ა. შ) განკუთვნილ დროის რაოდენობას. კრედიტი საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ საჭირო სასწავლო დატვირთვა და დავაწესოთ რეალისტური ლიმიტები იმისათვის თუ რა უნდა ჩაიდოს კურსის ერთეულში.

საგანმანათლებლო პროგრამის დასამთავრებლად ან ერთი აკადემიური წლის დასრულებისათვის აუცილებელი კრედიტების საერთო რაოდენობის დაყოფა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, რაც აადვილებს კურსის ერთეულების განსაზღვრასა და უზრუნველყოფს მოქნილობას. მაგალითად, კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი კრედიტები შეიძლება დავყოთ სხვადასხვა კატეგორიად: კრედიტები განკუთვნილი სავალდებულო, „ძირითადი“ კურსებისათვის ან დამატებითი კურსებისათვის და ა. შ.

კურსის კატეგორიებზე კრედიტების ასეთი განაწილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ინსტიტუტებს შორის. ცხადია სასწავლებლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ადამიანური რესურსებით, ასევე სტუდენტების მომზადების დონით და შედეგად კრედიტები უნდა განაწილდეს ისე, რომ მოხდეს რესურსების ოპტიმალური გამოყენება და სწავლება-სწავლის აქტივობების ეფექტიანობის ამაღლება.

კრედიტები და დონეები

მაშინ როდესაც ECTS-ის კრედიტი არ ზომავს დონეს, დაგროვების სისტემის ფარგლებში კრედიტის გამოყენებით ცხადი ხდება, რომ კვალიფიკაციის მინიჭების წესი ზოგადად განსაზღვრავს არა მარტო კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღები კრედიტების რაოდენობას, არამედ აწესებს პირობებს იმ დონესთან/საფეხურთან მიმართებაშიც, რომელ დონეზეც შესაძლებელია კრედიტების, ისევე როგორც შესაბამისი ტიპის კურსის აღება.

თუნინგის პროექტს არ უცდია დონეების საკითხის აბსტრაქტული გზით გადაჭრა. პირიქით ეს საკითხი კრედიტებთან და აღიარებასთან მიმართებაში გამოიკვლია დარგობრივი სფეროს დონეზე. ცხადია, რომ სასწავლებლებმა, რომლებიც იყენებენ კრედიტების დაგროვების სისტემას, პასუხი უნდა გასცენ ამ საკითხს და თუ კრედიტები ტრანსფერულია სასწავლებლებსა და ქვეყნებს შორის, საკითხს პასუხი უნდა გაეცეს ევროპული პერსპექტივის გათვალისწინებით. ამაჟამად, აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ხდება ცალკეული შემთხვევების მიხედვით და ძირითადად NARIC-ის ქსელის გამოყენებით. ECTS-ის უფრო ფართო და წარმატებული გამოყენების მიზნით საჭიროა საერთოევროპული გააზრება ან დონეების ინდიკატორების ევროპული სისტემაც კი. კრედიტებთან კავშირში ამ ინდიკატორების შემუშავება მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ადრე მიღებული განათლების ან გამოცდილების აღიარების სისტემაში. ასეთი ინდიკატორის არსებობა უფრო მნიშვნელოვანია ტრადიციული უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ, ვინაიდან ის ყველასთვის გასაგებს ხდის იმ დონეს, რომელზედაც ხდება კრედიტის მინიჭება. ასევე, უწყვეტი პროფესიული განათლების ტემპების დაჩქარების კვალდაკვალ აუცილებელი გახდება იმ დონეების განსაზღვრა და აღწერა რომლისთვისაც კრედიტები იქნება მინიჭებული.

ერთ-ერთ შესაძლო განვითარებას წარმოადგენს დამატებითი დესკრიპტორების შემოღება, რომელიც გამოყენებული იქნება ECTS-თან ერთად. ასეთი ევროპული სისტემის წინაპირობაა მისი

გამჭვირვალობა, იოლად გაგება და განხორციელება. შედეგად მოხდება კრედიტების გადანაწილება დონეებისა და კურსის ერთეულების მიხედვით.

ECTS- ის, როგორც დაგროვების სისტემის, შემოღებამდეც არსებობდა დონეების ცნება. თითქმის ყველა შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამები დაფუძნებულია გარკვეულ თანამიმდევრობასა თუ სქემაზე, რომელიც თანამიმდევრული განვითარების იდეას ასახავს. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურების დასაცავად სხვადასხვა მოდელი გამოიყენება. უფრო ტრადიციულ და მკაცრად ჩამოყალიბებულ პროგრამებში სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები, რათა დაამთავროს ერთი აკადემიური წელი და გადავიდეს შემდეგზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტების აღიარება ხდება ფიქსირებულ კონტექსტში, სადაც „დონეები“ და „წლები“ თანხვედრაშია. სხვა შემთხვევებში გამოიყენება წინაპირობების სისტემა პროგრესის კონტროლისათვის. სტუდენტმა უნდა აირჩიოს კურსის ერთეულების გარკვეული რაოდენობა ან ნაკრები, რათა მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს შემდეგი კურსის ერთეული/მოდული ან მათი ნაკრები. ასეთი თანამიმდევრული განვითარების გზები წინასწარ მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამასა და გამოცდების რეგულაციებში. ეს წესები გადამწყვეტია კურსის ერთეულის, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილის, ცნობის დროს.

სულ ახლახან დამკვიდრდა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის იდეა. სწავლისა და სწავლების გარემოს ეს ახალი და ფართო ხედვა მეტ მოქნილობას მოითხოვს ადრე მიღებული განათლებისა და გამომუშავებული კომპეტენციების (დონის) აღიარებასთან მიმართებაში. საზოგადოების საჭიროებებიც ასევე მოითხოვს უფრო დიფერენცირებულ და შესაბამისად მეტად მოქნილ საგანმანათლებლო პროგრამებს. მომავალი პროგრამები სავარაუდოდ მეტწილად პერსონალიზებული იქნება და სტუდენტის პირად ინტერესებსა და ნიჭს გაითვალისწინებს. ასეთი პერსონალიზებული პროგრამებისათვის თანამიმდევრული განვითარების კონსოლიდირებული სისტემა აღარ იქნება დამაკმაყოფილებელი. სამსაფეხურიანი სისტემის შემოღება და საფეხურების დონის დესკრიპტორებთან დაკავშირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზემოაღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად.

პრაქტიკაში ჩვენ ვსაუბრობთ პირველ საფეხურზე ან ბაკალავრის ECTS-ის კრედიტებზე, მეორე საფეხურზე ან მაგისტრის ECTS-ის კრედიტებზე და მესამე საფეხურზე ან სადოქტორო დონის ECTS-ის კრედიტებზე. ბევრ ქვეყანაში არ ხდება კრედიტების ჩართვა პროგრამაში, თუ ეს კრედიტები არაა ერთი და იმავე დონის. მაგალითად პირველი საფეხურის კრედიტების აღიარება არ მოხდება მეორე საფეხურის პროგრამის ფარგლებში. პროგრამებში, სადაც უფრო დაბალი დონის კრედიტების შეზღუდული რაოდენობით აღიარებაა შესაძლებელი მხოლოდ სამი საფეხურის გამოყოფა არადამაკმაყოფილებელია. ამ და შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც უნდა არსებობდეს ეგრეთ წოდებული შუალედური დონე, რომელიც ასევე დაეფუძნება დესკრიპტორებს.

შუალედური დონეების განსაზღვრის შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- საბაზო დონის კურსები (იგულისხმება დარგის შესავალი);
- შუალედური დონის კურსები (საბაზო ცოდნისა და უნარების გასაღრმავებლად);
- მოწინავე დონის კურსები (კომპეტენციების შემდგომი გაძლიერებისათვის);
- სპეციალიზირებული დონის კურსები (დარგის სპეციალიზირებულ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების ჩამოყალიბება).

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ პირველი საფეხურის პროგრამა ეფუძნება სტრუქტურას, რომელიც იყენებს საბაზო, შუალედური და მოწინავე დონის კურსებს, ხოლო მეორე საფეხურის პროგრამაში (განსაკუთრებით 120 კრედიტისანი) სასარგებლო იქნება თუ განვასხვავებთ მოწინავე და სპეციალიზირებულ კურსებს.

კრედიტების გამოთვლა სასწავლო დატვირთვის საფუძველზე

კრედიტების დეფინიცია

კრედიტების რეალური გამოთვლა სასწავლო დატვირთვის საფუძველზე რთული საკითხია. უპირველეს ყოვლისა ცხადი უნდა იყოს თუ რა იგულისხმება კრედიტში. სამუშაო დეფინიციად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი:

კრედიტი არის სტუდენტის სასწავლო დატვირთვის საზომი, რომელიც დაფუძნებულია მოცემული სასწავლო ერთეულის შესასწავლად აუცილებელი დროის რაოდენობაზე.

ECTS -ის ტერმინებით:

60 ECTS-ის კრედიტით იზომება აკადემიური წლის განმავლობაში ტიპური სტუდენტის სასწავლო დატვირთვა.

სტუდენტის სამუშაო (ტიპური სტუდენტისათვის) საათების რაოდენობა, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების (მოცემულ დონეზე) მოცემული ნაკრების მისაღწევად, დამოკიდებულია სტუდენტის შესაძლებლობებზე, სწვლებისა და სწვლის მეთოდებზე, სასწავლო რესურსებზე, კურიკულუმის დიზაინზე. ზემოაღნიშნული განსხვავდება როგორც ქვეყნებს, ასევე უნივერსიტეტებს შორის.

ვინაიდან კრედიტი, შეფარდებითია თუ აბსოლუტური, ზომავს დატვირთვას მხოლოდ კურიკულუმის ფარგლებში, მისი, როგორც დაგეგმვისა და მონიტორინგის ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც კურიკულუმი განსაზღვრულია. იმისათვის, რომ შევქმნათ, შევცვალოთ ან შევაფასოთ კურიკულუმი, შეთანხმება უნდა იქნეს მიღწეული ზოგად და სპეციფიკურ სწავლის შედეგებზე.

საშუალო დატვირთვისა და მიღწევების შეფასება

ხშირად ამტკიცებენ, რომ ტიპური სტუდენტი არ არსებობს. როგორ განვსაზღვროთ შესაძლებლობების საშუალო სტანდარტი? თუმცა არავინ არ კამათობს იმაზე, რომ ნებისმიერი ცოდნისა და უნარების შესაძენად აუცილებელია დრო და მომზადების გარკვეული დონე. ამდენად, დრო და გარკვეული ცოდნა/მომზადება ის ორი ელემენტია, რომლებიც შეიძლება განვსაზღვროთ როგორც კონკრეტული კურსის ან საგანმანათლებლო პროგრამის ცვლადები. ამ კონტექსტში კვალიფიკაციაზე დაშვებისათვის აუცილებელი ცოდნა არის საბაზო ელემენტი და მისმა ფაქტიურმა დონემ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს სტუდენტის დატვირთვაზე საგანმანათლებლო პროგრამის განმავლობაში. აკადემიურ პერსონალს აქვს მიახლოებითი წარმოდგენა თუ რისი გაკეთება შეიძლება მოსთხოვოს სტუდენტს დროის გარკვეულ მონაკვეთში. გარდა ამისა, პედაგოგებს მკაფიო წარმოდგენა აქვთ ხარისხის სტანდარტზე. თუმცა, საზოგადოდ მიღებულია, რომ თუ ტიპური სტუდენტი მეტ ძალისხმევას მოახმარს გამოცდის მომზადებას ის მაღალ ნიშანს მიიღებს. შესაბამისად, თუ კარგი სტუდენტი დახარჯავს საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილ დროს გამოცდის მოსამზადებლად ის მაღალი ნიშნით დაჯილდოვდება. თუ ნაკლებ დროს დახარჯავს დაბალ ნიშანს მიიღებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს კავშირი სტუდენტის ძალისხმევასა და შედეგებს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტიური დრო, რომელიც ნებისმიერ სტუდენტს სჭირდება სწავლის შედეგების მისაღწევად იცვლება ინდივიდუალური სტუდენტის შესაძლებლობების შესაბამისად და მასზე ასევე გავლენას ახდენს სტუდენტის წინა მომზადების დონე და სწავლის ფორმა შეიძლება ეგრეთ წოდებული პირობითი სასწავლო დროის დეფინიციის შემოღება. პირობითი სასწავლო დრო არის საათების რაოდენობა,

რომელიც საშუალოდ სჭირდება სტუდენტს (გარკვეულ დონეზე) რათა მიაღწიოს ამ დონისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს⁷.

სასწავლო დატვირთვის გაანგარიშების მეთოდები

სტუდენტის დატვირთვის გაანგარიშებისათვის პრაქტიკაში სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. მათ შორის განსხვავების მიუხედავად შესაძლებელია საერთო მნიშვნელის მოძებნაც. სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებისას შემდეგი ელემენტებია მნიშვნელოვანი:

- კურსის ერთეულისათვის განსაზღვრული საკონტაქტო საათების საერთო რაოდენობა (კვირაში საათების რაოდენობა \times კვირების რაოდენობა)
- ლექციების/სემინარებისათვის მომზადება და მათზე დასწრების შემდეგ ჩანაწერების დარულება;
- კურსის ერთეულის წარმატებით დასასრულებისათვის აუცილებელი შემდგომი დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა.

ბოლო ელემენტი ყველაზე რთული გასაანგარიშებელია და დიდ წილად დამოკიდებულია დისციპლინასა და საკითხის სირთულეზე. დამოუკიდებელი მუშაობა შეიძლება შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდეს:

- შესაბამისი მასალის შერჩევა და შეგროვება;
- ამ მასალის წაკითხვა და შესწავლა;
- ზეპირი და წერიტი გამოცდისათვის მომზადება;
- დისერტაციის ან და შრომის დაწერა;
- ლაბორატორიაში დამოუკიდებელი მუშაობა.

ცხადია, რომ სტუდენტის დატვირთვის კრედიტებში გაანგარიშება არაა ავტომატური პროცესი. პროფესორმა უნდა განსაზღვროს შესასწავლი მასალის სირთულე. ცხადია, რომ აკადემიური პერსონალის გამოცდილება დიდ როლს თამაშობს. კრედიტების განაწილების პროცესი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს უფრო კარგად გაიაზროს კურიკულუმის დიზაინი და სწვლების მეთოდები.

ძალიან მნიშვნელოვანია კითხვარების გამოყენება იმის შესამოწმებლად, შეუძლია თუ არა სტუდენტს განსაზღვრულ დროში, დადგენილი სამუშაოს მოცულობის შესრულება. ამ კითხვარებით სტუდენტებს სთხოვენ უპასუხოთ არა მარტო რამდენად რეალურია სამუშაო დატვირთვა, არამედ ასევე მათ მოტივაციას და დროს რომელიც გამოყოფილი აქვთ ამ კონკრეტული კურსისათვის.

აკადემიური წლის ხანგრძლივობა ევროპაში

თუნინგის კვლევების შედეგები

აკადემიური წლის განმავლობაში ფაქტიური სასწავლო პერიოდის ხანგრძლივობის მრავალფეროვნების საკითხთან გამკლავება ისევე რთულია, როგორც ტიპური სტუდენტის განსაზღვრა. როგორც აღინიშნა აკადემიური წლის ხანგრძლივობა ანუ აკადემიური წლის განმავლობაში სამუშაო საათების რაოდენობა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია იმისა თუ

⁷ კრედიტი და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები. Credit Guidelines for HE Qualifications in England, Wales and Northern Ireland, p.4

რამდენ სამუშაო საათს მოიცავს ECTS-ის კრედიტი. ევროპაში აკადემიური წლის ხანგრძლივობა განსხვავდება როგორც ქვეყნებს შორის, ხანდახან ქვეყნის შიგნით უნივერსიტეტებს შორისაც კი. ამასთან, დრო თავისთავად არასაკმარისი საზომი ერთეულია. თუნიგის პროექტმა განახორციელა არსებული მდგომარეობის შესახებ კვლევა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგადი დასკვნების ჩამოყალიბება. უპირველს ყოვლისა ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სწავლების კვირების ფაქტიური რაოდენობა, სასწავლო (დამოუკიდებელი) კვირების რაოდენობა და სავსე მუშაობა, გამოცდებისათვის მომზადების დრო და საგამოცდო კვირების რაოდენობა. ამ კვირების საერთო ჯამი გვამდევს სწავლის პროცესის ფაქტიურ ხანგრძლივობას და გვთავაზობს შესადარებელ ინფორმაციას დისციპლინის, უნივერსიტეტისა და/ან ქვეყნის მიხედვით. მეორე დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამების გაანალიზების შემდეგ განსხვავება ხანგრძლივობაში უფრო მცირეა, ვიდრე ეს ერთი შეხედვითაა მოსალოდნელი.

ეს უკანასკნელი დასკვნა შესაბამისობაშია აკადემიური წლის ოფიციალური ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციასთან, მაგალითად, აკადემიური წლის დასაწყისთან და დასასრულთან. ამ გამოთვლებისას ითვალისწინებენ ასევე არდადეგებს, რომლის დროსაც სტუდენტი, როგორც მოსალოდნელია, აგრძელებს მუშაობას, ამზადებს პროექტს, სხვა დავალებას ან თეზისს. ასეთ შემთხვევაში ყველა ქვეყანაში წელიწადში 34 - 40 კვირას მუშაობენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ კვირაში 40 ან 42 სამუშაო საათია, მაშინ „ოფიციალური საათების“ ფაქტიური რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც სტუდენტმა უნდა იმუშაოს 1400-დან 1680 საათამდე მერყეობს (1800⁸). იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ფორმალურად განსაზღვრული საათების რაოდენობა მცირეა, ცხადია, რომ პრაქტიკაში, არდადეგების დროს განხორციელებული სამუშაოს ხარჯზე, საათების ფაქტიური რაოდენობა შეესაბამება ზოგად დატვირთვას. საშუალო წლიური 1520 საათს შეადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური წელი 60 კრედიტის ტოლია, ერთი კრედიტი შეადგენს დაახლოებით 25-დან 30 - საათამდე. საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 25 -26 საათს ერთ კრედიტზე.

რამდენიმე კერძო შემთხვევა

თუ ჩვეულებრივი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 34-დან 40 კვირამდეა, მაშინ მეტი კრედიტის მისაღებად კიდევ რჩება დროის შეზღუდული რაოდენობა. დავუშვათ, რომ ნორმალური საგანმანათლებლო პროგრამა 36-40 კვირას მოიცავს წელიწადში, შესაბამისად კიდევ რჩება 10-12 კვირა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია დამატებითი სამუშაოს შესრულება. ეს დაკვირვება მართებულია მეორე საფეხურისათვის, რომელიც ეფუძნება მთელ კალენდარულ წელს 9 თვიანი აკადემიური წლის ნაცვლად. ასეთი პროგრამები ხორციელდება დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. თუ პროგრამა 12 თვე გრძელდება (საშუალოდ 46-50 კვირა), მასზე შეიძლება განაწილდეს 75 ECTS-ის კრედიტი. მეტი რაოდენობის კრედიტების განაწილება არასასურველია. შეჯამების სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი:

- ჩვეულებრივი საგანმანათლებლო პროგრამის დატვირთვა 60 ECTS-ის კრედიტია აკადემიური წლის განმავლობაში;
- მეორე საფეხურის პროგრამების ანუ სრული კალენდარული წლის პროგრამების (ე.ი. 12 თვიანი) მაქსიმალური სასწავლო დატვირთვა შეიძლება იყოს 75 ECTS-ის კრედიტი (ეს შეესაბამება 46-50 კვირას);
- 90 ECTS-ის კრედიტის მქონე მეორე საფეხურის პროგრამა ან სამაგისტრო პროგრამა დაფუძნებულია 14-15 სასწავლო თვეზე (რაც 54-60 კვირის ეკვივალენტურია).

ყველა პროგრამა, რომელიც 1500/1800 საათზე მეტს მოითხოვს წელიწადში რათა მიანიჭოს 60 კრედიტზე მეტი, საჭიროებს სასწავლო დატვირთვასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

⁸ ზოგიერთ ქვეყანაში სტუდენტის დატვირთვა, 1500 – 1800 საათი წელიწადში, განსაზღვრულია კანონით.

ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ბევრი სტუდენტი სწავლობს არასრული დატვირთვის ფორმატით (დაუსწრებელი). თუ მაგალითად ამ ფორმატით განხორციელებული პროგრამით წელიწადში შესაძლებელია 45 ECTS-ის კრედიტის მიღება, მაშინ ამ ფორმატის 4 წელი უტოლდება დასწრებულ სწავლების 3 წელს.

სტუდენტის დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები

სასწავლო დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, სხვა რელევანტური ელემენტებიც არსებობს. სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების დიდი რაოდენობა თამაშობს როლს. იგი არაა შეზღუდული სამუშაო საათების რაოდენობით, დატვირთვით და სტუდენტის შესაძლებლობებით. სწავლებისა და სწავლის მეთოდების გათვალისწინებაც საჭიროა. სასწავლო პროცესის დიდ და მცირე ჯგუფებში ორგანიზება სერიოზულ განსხვავებას იძლევა. სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში ზეგავლენას ახდენს სწავლების პროცესზე, ისევე როგორც „ტუტორის“ სისტემა. თავის როლს თამაშობს შეფასების ტიპებიც, ასევე კურიკულუმის დიზაინი (ფოკუსირებულია თანამიმდევრულ განვითარებაზე თუ გარკვეულ ფაზაზე აყენებს გადამეტებულ ან შემცირებულ მოთხოვნებს) და ორგანიზების ხარისხი. მაგალითად, კომპიუტერების გამოყენება სასწავლო პროცესში. ამასთან, ასევე ყურადსაღებია ეროვნული და რეგიონული ტრადიციებიც. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სტუდენტები ცხოვრობენ სახლში და სჭირდებათ დრო მგზავრობისათვის, მაშინ როდესაც სხვა სტუდენტები ცხოვრობენ დამოუკიდებლად და საკუთარ თავს უვლიან. ყველა ეს ფაქტორი, გარკვეული ზომით, გავლენას ახდენს დროში გაზომილ (კრედიტები) სწავლება/სწავლაზე და მიღწევებზე (წარმატების დონე). იდეალურ სიტუაციაში დადგენილი მიზნები და ამოცანები სრულად იქნებოდა მიღწეული პირობით სასწავლო დროში. როგორც ზემოთაა აღნიშნული, პირობითი სასწავლო დრო არაა ფაქტიური დრო, რომელიც სჭირდება კონკრეტულ სტუდენტს შედეგების მისაღწევად. ფაქტიური დრო სხვადასხვაა სხვადასხვა სტუდენტისთვის.

შეჯამების სახით, შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი რელევანტური ელემენტები:

- ტრადიციების მრავალფეროვნება
- კურიკულუმის დიზაინი და კონტექსტი
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები
- შეფასების მეთოდები და მოსწრება
- სწავლების ორგანიზება
- სტუდენტის შესაძლებლობა და შრომისმოყვარეობა
- ფინანსური მხარდაჭერა

ზემოაღნიშნული ფაქტორები ცხადყოფს, რომ არა მარტო შეუძლებელია, არამედ არასასურველიცაა სწავლის შედეგების მისაღწევად ერთადერთი გზის განსაზღვრა. არსებული შიდა და გარე ვითარებისა და პირობების გათვალისწინებით ყველა სასწავლო პროგრამისათვის შესაბამისი ბალანსი უნდა მოიძებნოს ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა შორის არის ასევე დრო. ეს ნაკრები ცხადია განსხვავდება სხვადასხვა ინსტიტუტსა თუ ქვეყანას შორის. ამდენად, ცხადი ხდება, რომ სხვადასხვა გზით შეიძლება მივაღწიოთ ურთიერთშესადარებელ სწავლის შედეგებს. ამგვარად შესაძლებელია ევროპაში არსებული მრავალფეროვნების შენარჩუნება.

საგანმანათლებლო პროგრამა უწყვეტ მონიტორინგს, შესწორებასა და შეფასებას მოითხოვს. ეს იძლევა გარანტიას, რომ ერთი ან რამდენიმე ზემოხსენებული ფაქტორის ცვლილება გავლენას არ მოახდენს სწავლის შედეგების მიღწევაზე. მონიტორინგი, შესწორება და შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი შიდა პროცესია, რომელზეც აკადემიური პერსონალი და სტუდენტები თანაბრად არიან პასუხისმგებელნი.

გამოყენებული ფაქტორების შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი გარეშე გზა რეგულარული ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაციაა. ჩვენ ვვლავ დავუბრუნდებით ამ საკითხს. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ხარისხის შეფასების სქემების განვითარება აუცილებელია რათა შემოწმდეს ფაქტიური სწავლის შედეგების შესაბამისობა დადგენილ დონესთან და საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან. ამჟამად ეს ძირითადად ხორციელდება ეროვნულ დონეზე, მაგრამ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია ინტერნაციონალიზებული იქნება.

დასკვნა

ეს ნაშრომი ცხადყოფს, რომ სწავლება-სწავლის პროცესში მრავალი ფაქტორი თამაშობს როლს. ის ასევე გვიჩვენებს, რომ კრედიტები, როგორც ასეთი არასაკმარისია სასწავლო მიღწევების (დონის) საჩვენებლად. ერთადერთი სანდო გზა საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი ნაწილის შედარებისათვის არის სწავლის შედეგების/კომპეტენციების ანალიზი.

მართებული სწავლის შედეგების განსაზღვრით შესაძლებელია შესაბამისი დონეზე დარგის სტანდარტების ჩამოყალიბება, რომელიც დაკავშირებული იქნება თეორიულ და /ან ექსპერიმენტულ ცოდნასა და შინაარსთან, დარგობრივ და ზოგად/ტრანსფერულ უნარებთან. ამ უკანასკნელის (ზოგადი/ტრანსფერული უნარები) გარდა სხვა კომპეტენციები ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება სხვადასხვა დარგისათვის. ევროპის დონეზე პროგრამების მეტი გამჭვირვალობისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა კვალიფიკაციისათვის სწავლის შედეგების/კომპეტენციების შემუშავება. კონკრეტული კვალიფიკაციებისათვის განკუთვნილ პროგრამებში მოცემული სწავლის შედეგები უნდა იყოს ამოცნობადი და შეფასებადი. სწავლის შედეგები განისაზღვრება არა მარტო საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე, არამედ მოდულის/კურსის ერთეულის დონეზეც. პროგრამისა და მისი შემადგენელი ნაწილების დონეზე შედეგების განსაზღვრა ხელს უწყობს პროგრამის თანამიმდევრულობასა და ერთიანობას. სწავლის შედეგები ზუსტად განსაზღვრავს თუ რა უნდა ისწავლოს სტუდენტმა. ცხადია, რომ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები ხელს უწყობს კრედიტების დაგროვებასა და ტრანსფერს, ასევე აჩვენებს მიღწევის დონეს, რომლისთვისაც მიენიჭა კრედიტი.

სწავლის შედეგების/კომპეტენციების განსაზღვრაზე პასუხისმგებელია აკადემიური პერსონალი. მხოლოდ დარგის სპეციალისტს შეუძლია დარგისთვის საჭირო სწავლის შედეგების ფორმულირება. თუმცა, სასარგებლოა კონსულტაციების გამართვა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. უმაღლესი განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაცია და ინსტიტუტებსა და დარგებს შორის გლობალურ დონეზე კონკურენცია დღის წესრიგში აყენებს თითოეული დარგისათვის უფრო ზოგადი სწავლის შედეგების საერთაშორისო დონეზე განსაზღვრის აუცილებლობას. ამ გზით, სწავლის შედეგების განსაზღვრით, ჩამოყალიბდება უნივერსალური სტანდარტები, რომელიც იქნება საფუძველი შიდა, ეროვნული და საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასებისათვის. პროექტის, „უმაღლესი განათლების სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში“, ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სწავლის შედეგების/კომპეტენციების განსაზღვრისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება. ეს მეთოდოლოგია იძლევა იმ მექანიზმებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პასუხი გაეცეს ისეთ უახლეს

გამოწვევებს, როგორცაა განათლებისა და შრომის ბაზრის ინტერნაციონალიზაცია, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის დანერგვა და აკადემიური განათლების ორ (სამ) საფეხურიან სისტემად გარდაქმნა. წინამდებარე დოკუმენტით ჩვენ შევეცადეთ მეტი სიღრმადე შეგვეტანა კრედიტის დეფინიციის, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ეფექტური გამოყენება სწავლის შედეგების მისაღწევად შემუშავებული მოდულის/კურსის დაგეგმვის პროცესში.

დოკუმენტის მიზანია ბოლონის პროცესის კონტექსტში აჩვენოს საგანმანათლებლო სტრუქტურებს, სწავლის შედეგებს, სასწავლო დატვირთვისა და კრედიტების გაანგარიშებას შორის ურთიერთკავშირი. ეს ურთიერთკავშირი შესაბამისობაშია დღევანდელ მსოფლიოსთან, სადაც ტრადიციული სისტემები ნაწილობრივ შეიცვალა ახალი ტიპის სწავლებითა და სწავლით, სადაც ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლები უფრო მეტ და მეტ კონკურენციას განიცდიან, როგორც სხვა ტრადიციული ასევე არატრადიციული უმაღლესი სასწავლებლების მხრიდანაც სთავაზობენ რა სწავლის მსურველებს ახალ და მიმზიდველ შესაძლებლობებს. მთელი საზოგადოების ინტერესებშია, რომ სწავლის ყველა მსურველმა იპოვოს თავისი გზა განათლების გლობალურ ბაზარზე. გამჭვირვალობა მთავარი სიტყვაა არა მარტო ამ ბაზრისათვის, არამედ ასევე საგანმანათლებლო პროგრამისათვისაც. ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია კი ამ სურათის ინტეგრალური ნაწილებია. კონკურენცია მოითხოვს სწავლის შედეგების/ კომპეტენციების გამჭვირვალობასა და ისეთ საკრედიტო სისტემას, რომელიც შედარების საშუალებას იძლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე ECTS-ის მეთოდოლოგია და მობილური, ასევე არამობილური სტუდენტისათვის რელევანტური ინსტრუმენტები (სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელი და სამომავლოდ დონეებისა და კურსების დესკრიპტორები) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. იგივე მართებულია დიპლომის დანართთან დაკავშირებით. დასაქმება, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, მნიშვნელოვანია დღევანდელი სტუდენტებისათვის. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტი შეეცდება იპოვოს მისი შესაძლებლობების შესაფერისი საგანმანათლებლო პროგრამა. შედარებითობა მოითხოვს არა მარტო უმაღლესი განათლების შესადარებელ სისტემებს ევროპის დონეზე, არამედ შესადარებელ სტრუქტურებსა და სწავლების კონტექსტს. სწავლის შედეგების/კომპეტენციების განსაზღვრა და ECTS-ის, როგორც დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის გამოყენება შეძლებს უპასუხოს ამ მიზნებს.

მომზადებულია რობერტ ვაგენარის მიერ.

4.2 სტუდენტის დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები: თუნინგის მიდგომა

საჭიროება

მაშინ როდესაც ევროპის ბევრი ქვეყანა ემზადება ბოლონიის პროცესით განსაზღვრული ორსაფეხურიანი სისტემის დანერგვისათვის, მზარდ მნიშვნელობას იძენს სტუდენტთა დატვირთვის შესახებ საერთო მიდგომის არსებობა. დატვირთვა დაკავშირებულია კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემასთან (ECTS). ECTS-ი ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში შესადარობისა და თავსებადობის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია. მკაფიოდ განსაზღვრული და შეთანხმებული მიდგომების საჭიროება, ასევე განპირობებულია გამჭვირვალობისა და სტუდენტთა⁹ მიმართ ღია დამოკიდებულების აუცილებლობით.

ECTS-ის პრინციპები

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება პროგრამის ამოცანების მიღწევისათვის საჭირო სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, პროგრამის ამოცანები სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ფორმატითაა გამოსახული. ECTS-ი რამდენიმე პრინციპს ემყარება¹⁰:

- 60 კრედიტით იზომება სტუდენტის სრული სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ევროპაში წლის განმავლობაში 1500-1800 საათს შორის მერყეობს, შესაბამისად ერთი კრედიტი 25-30 საათის ტოლია¹¹;
- ECTS კრედიტის მიღებისათვის აუცილებელია სავალდებულო სამუშაოს შესრულება და მიღწეული სწავლის შედეგების სათანადო შეფასება. სწავლის შედეგები კომპეტენციების ერთობლიობაა, რომლებიც გამოხატავს, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ;
- ECTS-ში სტუდენტის დატვირთვა მოიცავს დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობის შესრულებისათვის საჭირო დროს, კერძოდ, ლექციებსა და სემინარებზე დასწრებას, სამინაო დავალებების შესრულებას, პრაქტიკას, პროექტების მომზადებას, და ა.შ.;
- კრედიტები გადანაწილებულია აკადემიური პროგრამის ყველა კომპონენტზე (მოდულებზე, კურსებზე, პრაქტიკაზე, დისერტაციასა და ა.შ.) და ასახავს სამუშაოს მოცულობას, რომელიც ყოველი კომპონენტის ფარგლებში აუცილებელია დასახული შედეგის მიღწევისათვის და ჯამში ქმნის წლის განმავლობაში სასწავლო დატვირთვას.

თუნინგის პროექტმა, რომელიც ფოკუსირებულია სწავლის შედეგებსა და ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე, გვაჩვენა, რომ სწავლის, სწავლებისა და შეფასების მიდგომები გავლენას ახდენს სასწავლო დატვირთვასა და შესაბამისად კრედიტების განაწილებაზე. სასწავლო დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მათ გარდა სხვა მნიშვნელოვანი ელემენტებიც არსებობს. სწავლის სასურველი შედეგების მიღწევაზე სხვა ბევრი ფაქტორიც ზემოქმედებს. ანგარიში უნდა

⁹ ტერმინი „სტუდენტი“ იხმარება ტექსტში ნებისმიერი ტიპის მოსწავლის აღსანიშნავად.

¹⁰ ECTS-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტში „ECTS-ის სახელმძღვანელო“ ევროკომისიის ვებგვერდზე: http://europa.eu.int/comm/education/programmes/socrates/ects/index_en.html

¹¹ მეორე საფეხურის დასწრებულ პროგრამებზე შეიძლება განვასხვავოთ ორი ტიპი: ჩვეულებრივი პროგრამა წლიური 60 კრედიტის დატვირთვით და ე.წ. ინტენსიური პროგრამა, რომელიც სრული კალენდარული წლის განმავლობაში ხორციელდება (ანუ 12 თვე ნაცვლად ტრადიციული 9-10 თვიანი პროგრამებისა) და მაქსიმუმ 75 კრედიტს მოიცავს (რაც 46-50 კვირიან დატვირთვას შეესაბამება).


გაეწიოს ტრადიციათა განსხვავებულობას, ისევე როგორც კურიკულუმის დიზაინსა და კონტექსტს, კურიკულუმს, სწავლის ორგანიზაციასა და სტუდენტის სწავლის უნარს შორის კავშირს. სხვა სიტყვებით, დრო, რომელიც ერთი და იგივე სწავლის შედეგების მიღწევისთვისაა საჭირო, შეიძლება განსხვავდებოდეს კონტექსტის მიხედვით.

უმაღლესი განათლების პროგრამებში სტუდენტის დატვირთვის განსაზღვრა

სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტები:

- სტუდენტს აქვს დროის გარკვეული რაოდენობა, რაც | დამოკიდებული.
- პასუხისმგებლობა პროგრამის დიზაინსა და კურსების კრედიტებზე აკისრია ოფიციალურ ორგანოს, მაგალითად, ფაკულტეტის საბჭოს, და ა.შ.
- საბოლოო პასუხისმგებლობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების ფორმებზე და დროში მათ განაწილებაზე დელეგირებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობიდან მასწავლებელსა და პერსონალის სხვა პასუხისმგებელ წევრებზე.
- აუცილებელია, რომ მასწავლებელს გაცნობიერებული ჰქონდეს, თუ რა სპეციფიკური სწავლის შედეგები და კომპეტენციები უნდა იქნეს გამოიმუშავებული კურსის/პროგრამის ფარგლებში.
- მასწავლებელს უნდა ესმოდეს კონკრეტული მოდულის/კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რომელი საგანმანათლებლო აქტივობაა უფრო შესაბამისი და მნიშვნელოვანი.
- მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს მოდულის/ კურსისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობის დროს.
- სტუდენტს გადამწყვეტი როლი აკისრია მონიტორინგის პროცესში, რათა შეფასდეს, რამდენად რეალურია განსაზღვრული სასწავლო დატვირთვა, თუმცა მონიტორინგი ასევე აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს.

მიდგომა



ოთხი ნაბიჯი

სტუდენტთა დატვირთვის მართლაც რეალისტური და სანდო გაანგარიშებისათვის აუცილებელია სპეციალური მიდგომის შემუშავება, რისთვისაც რეკომენდირებულია ქვემოთ მოყვანილი ოთხი ნაბიჯი.

1. მოდულების/კურსების შეთავაზება

უნდა გაკეთდეს არჩევანი მოდულარიზებულ ან არამოდულარიზებულ სისტემებს შორის. პროგრამაში მოდულების გარეშე თითოეული კურსი ფასდება კრედიტების გარკვეული რაოდენობით და მათი ჯამი აკადემიური წლის განმავლობაში 60 შეადგენს. მოდულების გამოყენების შემთხვევაში კურსს/მოდულს აქვს კრედიტების ფიქსირებული რაოდენობა, მაგალითად, 5 ან მისი ჯერადი კრედიტი. მოდულების გამოყენება უნივერსიტეტში ხელს უწყობს სხვადასხვა პროგრამის სტუდენტების მიერ ერთსა და იმავე მოდულების გამოყენებას.

2. სტუდენტის დატვირთვის განსაზღვრა

მოდულის/კურსის ერთეულის დატვირთვა ემყარება სტუდენტის სასწავლო აქტივობებს, რის მეშვეობითაც სტუდენტმა სწავლის დასახულ შედეგებს უნდა მიაღწიოს. დატვირთვა იზომება დროის ერთეულებში (სამუშაო საათებში); მაგალითად, 5 კრედიტიანი მოდული საშუალო სტუდენტის შემთხვევაში ნიშნავს 125-150 საათიან მუშაობას.

საგანმანათლებლო აქტივობები შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით შეიძლება განისაზღვროს:

- *ინსტრუქციის მეთოდი* (სწავლისა და სწავლების ტიპები): ლექცია, სემინარი, კვლევითი სემინარი, სავარჯიშოების კურსი, პრაქტიკუმი, ლაბორატორიული სამუშაო, ტუტორიალი, ინდივიდუალური მეცადინეობა, ინტერნშიპი, საველე სამუშაო, პრაქტიკა, პროექტი და ა.შ.;

- *სასწავლო აქტივობის ტიპები*: ლექციებზე დასწრება, სპეციფიკური დავალებების შესრულება, ტექნიკური და ლაბორატორიული უნარების გამომუშავება, ნაშრომის წერა, ინდივიდუალური სწავლა, სტატიებისა და წიგნების კითხვა, სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა, შეხვედრების გაძღობა და ა.შ.;

- *შეფასების ტიპები*: ზეპირი გამოცდა, წერითი გამოცდა, პრეზენტაცია, ტესტი, სტატია/ესე, პორტფოლიო, ანგარიში (საველე სამუშაოს, პრაქტიკის), უწყვეტი შეფასება, (საბოლოო) თეზისი/დისერტაცია და ა.შ.

მასწავლებელმა უნდა შეაფასოს სასწავლო აქტივობის შესრულებისათვის საჭირო დრო.

დროში გამოსახული დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტების რაოდენობას.

მასწავლებლებმა უნდა შეიმუშავონ დროის ეფექტური დაგეგმვისა და გამოყენების სტრატეგია.

3. განსაზღვრული დატვირთვის შემოწმება სტუდენტის მიერ განხორციელებული შეფასების მიხედვით

არსებობს სტუდენტთა დატვირთვის კორექტულობის შემოწმების სხვადასხვა მეთოდი.

ყველაზე უფრო გავრცელებულია კითხვარების გამოყენება, რომლებსაც სტუდენტები ან სწავლის პროცესში, ან კურსის დასრულების შემდეგ ავსებენ.

4. დატვირთვის მისადაგება და/ან საგანმანათლებლო აქტივობა

მონიტორინგის პროცესმა ან კურსის შინაარსის შეცვლამ შესაძლოა გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს და საჭირო გახდეს დატვირთვისა და/ან სასწავლო აქტივობის მისადაგება ახალი პირობებისადმი. მოდულების გამოყენების შემთხვევაში საჭირო იქნება სასწავლო მასალის მოცულობის და/ან სწავლების, სწავლისა და შეფასების ტიპის შეცვლა, რადგანაც კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია (მაგალითად, 5 ან მისი ჯერადი). თუ პროგრამაში მოდულები არ გამოიყენება, მაშინ შესაძლოა კურსების მიხედვით თავად კრედიტების რაოდენობა შეიცვალოს, მაგრამ ეს, ცხადია, გავლენას იქონიებს სხვა კურსებზეც, რადგანაც კრედიტების

საერთო რაოდენობა აკადემიური პროგრამის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია (მაგალითად, 30 კრედიტი სემესტრში, 60 კრედიტი წელიწადში და ა.შ.). დატვირთვის და/ან

საგანმანათლებლო აქტივობის მისადაგება აუცილებელია, თუ მონიტორინგი უჩვენებს, რომ სტუდენტთა გათვლილი სასწავლო დატვირთვა რეალობას არ შეესაბამება.

პრაქტიკაში თუნინგის მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების ახსნა
თუნინგის მიდგომა ეფუძნება კორელაციას რამდენიმე გადამწყვეტ ელემენტს შორის:

- აკადემიური ხარისხის პროფილი, რომელიც მიუთითებს მოდულის ადგილზე პროგრამის ფარგლებში, ისევე როგორც მოდულით გათვალისწინებულ კომპეტენციებზე;
- სამიზნე ჯგუფი, მოდულის დონე და ნებისმიერი წინაპირობა;
- მოდულის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს;
- შეფასების ფორმები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება სწავლის შედეგებს;
- სტუდენტთა დატვირთვაზე დაფუძნებული საშუალო დრო (საათებში), რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობების შესრულებისათვის.

თუნინგი გთავაზობთ *ორ ფორმას*, რომელიც დაგეხმარებათ სტუდენტთა დატვირთვის შეფასებასა და მისადაგებაში. პირველი ფორმა შემუშავებულია მასწავლებლისათვის და ემსახურება საგანმანათლებლო მოდულის დაგეგმვასა და სტუდენტთა დატვირთვის განსაზღვრას. მეორე განკუთვნილია სტუდენტებისათვის და მოიცავს მოდულზე დახარჯულ რეალურ დროს და დატვირთვის კორექტულობის შემოწმების საშუალებას იძლევა. სტუდენტებს ურიგდებათ მასწავლებლის მიერ შევსებული ფორმა, რომელშიც მხოლოდ დატვირთვის გრაფაა ცარიელი. ამ ფორმების გამოყენებით მასწავლებლები და სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ სწავლის შედეგებს, მათ დამოკიდებულებას კომპეტენციებთან და დატვირთვისასთან.

მომზადებულია ხულია გონზალესისა და რობერ ვაგენარის მიერ



მოდულის დაგეგმვის ფორმა
(უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის/კურსის დასახელება:

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი):

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD):

წინაპირობები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსავითარებელი კომპეტენციები:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება



მოდულის დატვირთვის შემოწმების ფორმა
(უნდა შეივსოს სტუდენტის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის/კურსის დასახელება:

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი)

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD):

წინაპირობები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსავითარებელი კომპეტენციები:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება

5. სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები კომპეტენციებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროგრამებში

წინასწარი ინფორმაცია

თუნინგის პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში დარგობრივ სფეროებზე მომუშავე ჯგუფებში მიმდინარეობდა მსჯელობა სწავლების, სწავლისა და შეფასების საუკეთესო გამოცდილებაზე, კერძოდ, როგორ შეიძლება სწავლის, სწავლებისა და შეფასების უკეთესი ორგანიზება, რათა სტუდენტებს გაუადვილდეს სწავლის დასახული შედეგების მიღწევა. ბიგსი (2002) აღწერს ამას, როგორც დასახულ სწავლის შედეგებთან სწავლების, სწავლისა და შეფასების „შეთანაწყობას“. დარგობრივ ჯგუფებში განიხილეს სხვადასხვა მიდგომა, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოიყენებულ იქნეს სხვადასხვა სფეროში და მოემსახუროს დარგობრივი სფეროს პანევროპულ სტრუქტურირებას, სადაც მოხდება არსებული გამოცდილების გაზიარება და ახალი მიდგომების შემუშავება.

შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია დებატები ტრადიციული აკადემიური და პროფესიული განათლების ღირსებებისა და მოთხოვნების შესახებ. დებატები უმთავრესად უნივერსიტეტებში მიმდინარეობდა, კერძოდ კი, „ცოდნის საზოგადოების“ ახალ კონტექსტში. ბევრი პროფესიისათვის, რომელიც ადრე საუნივერსიტეტო განათლების გარეშე ხორციელდებოდა, ახლა ამის საჭიროება დადგა. ამის ერთ-ერთი შედეგია ზოგ ქვეყანაში უნივერსიტეტების მიერ მეტი პროფესიული კურსის შეთავაზება, და ბინარული სისტემის ქვეყნებში საუნივერსიტეტო კურსების გამოყენებითი ასპექტების აქცენტირება. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში აკადემიურ პერსონალს მოუწია საგანმანათლებლო განზომილებებისა და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ამ პროცესის თანამდევი სირთულეების გადალახვა.

ცალკე წამოიჭრა პიროვნების უფლებებისადმი ახალი მიდგომის საკითხი ნაწილობრივ გამომდინარე ევროკავშირის სამართლიდან, რომელიც შეეხებოდა ადამიანის უფლებებს, ინფორმაციის თავისუფლებას, მონაცემთა დაცვას და ა. შ. ღიაობის ახალ კონტექსტში სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ შემოთავაზებებსა და საკუთარ უფლებებს. სტუდენტთა გაზრდილმა თვითშეგნებამ თან მოიტანა იმის აღქმაც, რომ უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის ქონა არ ნიშნავს ავტომატურად დასაქმებას – ყოველ შემთხვევაში მთელი ცხოვრების განმავლობაში – სწრაფად ცვალებად ევროპაში. ზოგ ქვეყანაში დამსაქმებლებმა დაიწყეს უნივერსიტეტებისადმი გაზრდილი მოთხოვნების წაყენება და მოითხოვეს არა მარტო იმის უკეთ აღწერა თუ რა იცის, არამედ რისი გაკეთება შეეძლება რეალურად სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

ამ ცვლილებებზე ერთ-ერთი პასუხი იყო საუნივერსიტეტო განათლებასა და ძირითად ტრანსფერულ უნარებს შორის გამჭვირვალობის გაზრდა. ყველაზე აშკარა რეაქცია იყო „სწავლის შედეგების“ მიდგომის გამოყენება ანუ კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება უნივერსიტეტებში. არსებობს ორი ძირითადი მიმართულება, რომელიც ამ ტენდენციებს ასახავს: ერთის მიხედვით უმაღლესი განათლება „საჯარო სიკეთეა“, მაშინ როდესაც მეორეს მიხედვით მეტი აქცენტი უმაღლესი განათლების პროფესიონალიზაციაზე კეთდება. წინააღმდეგობა ამ ორ მიდგომას შორის (საჯარო სიკეთე და პროფესიულობა) აღინიშნება არა მარტო ევროპაში, არამედ შეერთებულ შტატებშიც. ერთ-ერთი უპირველესი განმანათლებელი აშშ-ში მსჯელობს, რომ „სწავლის შედეგების არსებობა, რომელიც განათლების რეფორმის ბაზრის მიდგომას ასახავს, ამართლებს იმ აზრს, რომ განათლება „კერძო სიკეთეა“ და ასუსტებს აზრს, რომ საჯარო განათლება საჯარო სიკეთეა

დემოკრატიულ საზოგადოებაში”. (Cochran-Smith, 2001, გვ.50). თუნინგის პროექტი არ ეძებს ამ დებატებზე პასუხს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი მოვალეობაა ამ საკითხის აღნიშვნა.

ევროპაში საუნივერსიტეტო განათლების ცვლილებების ვრცელი და კომპლექსური ისტორიის აღწერა, კერძოდ, იმ საკითხებისა, რამაც კურიკულუმის ცვლილებები გამოიწვია, ასევე არ არის ჩვენი ამოცანა.

ევროპა თავისი მოქალაქეებისაგან მოითხოვს იყვნენ კულტურულად და ინტელექტუალურად მომზადებული, როგორც აწმყოს ასევე მომავალის შესაბამისად. მხოლოდ ასე შეძლებენ ისინი სრულყოფილ და აზრიან ცხოვრებას, როგორც კერძო, ისე კოლექტიურ დონეზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს საკვანძო როლი აქვთ შესაბამისი სტრატეგიული მიდგომების განვითარებაში. მათი პასუხისმგებლობაა სტუდენტების მომზადება მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების პერსპექტივით, პროდუქტიული კარიერისა და მოქალაქეობისათვის. უნივერსიტეტებმა და სხვა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მეტად უნდა გააცნობიერონ მათი მიზნები და ცოდნის შექმნისა და გადაცემის საკითხში საკუთარი ლიდერობა, ასევე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე მათი გავლენა. უნივერსიტეტები სულ უფრო ხშირად და რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან. განათლება საზოგადოების პროგრესის საწინდარია, მაგრამ იმავდროულად ის უნდა პასუხობდეს საზოგადოების ინტერესებს, და ამზადებდეს სამომავლო საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატურ სტრატეგიებს.

თუნინგის პროექტის მიდგომა, განავითაროს კურიკულუმები და უზრუნველყოს მათი ხარისხი, შემუშავებისა და განხორციელების სტადიაზე ორივე ასპექტს მოიცავს. თუნინგის პირველ ფაზაში აქცენტი გაკეთდა პროცესში მონაწილე “აქტორებთან” და “დაინტერესებულ მხარეებთან” კონსულტაციაზე, აკადემიური და პროფესიული პროფილების განსაზღვრასა და მათ სწავლის შედეგებში გადატანაზე. თუნინგის პროექტმა განსაზღვრა ზოგადი კომპეტენციები ანუ ტრანსფერული უნარები და შედეგ ცხრა დარგობრივი სფეროსათვის აღწერა დარგობრივი კომპეტენციები ცოდნის, უნარებისა და გაცნობიერების ტერმინებით. თუნინგი II-ის ფარგლებში გადაიდგა ნაბიჯები კომპეტენციების განხორციელების იმ გზების საძიებლად, რომლებიც საზოგადოების სოციალურ განვითარებას ასახავს, სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონტექსტში.

თუნინგის მიდგომები

თუნინგის პროექტის ფარგლებში გადაწყდა ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებსა და დარგობრივ კომპეტენციებს შორის განსხვავების ჩვენება, თუმცა მიღებულია, რომ საუნივერსიტეტო პროგრამების ძირითადი შედეგი სწორედ დარგობრივი კომპეტენციები უნდა იყოს. თუნინგის პირველმა ფაზამ უჩვენა, რომ დამსაქმებელების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი თანხმდება კითხვარით შეთავაზებული ზოგადი კომპეტენციების თაობაზე, თუმცა გამოკითხულთა სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული პრიორიტეტები ჰქონდა.

ზოგადი კომპეტენციების მნიშვნელობა სადღეისოდ კარგადაა გააზრებული, მაგრამ ამ საკითხის მხოლოდ გაცნობიერება საკმარისი არ არის. ჭეშმარიტად მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლების რომელი შესაბამისი მოდელი, რომელი სასწავლო აქტივობა უზრუნველყოფს ამ კომპეტენციების მიღწევას ცოდნის, უნარებისა და გაცნობიერების ფორმით, და როგორ უნდა შეფასდეს ეს კომპეტენციები.

დეფინიციები

თუნინგის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ის, რომ სწავლის, სწავლებისა და შეფასების საკითხებს ევროპის ყველა ქვეყანაში და ყველა ინსტიტუტში საკუთარი მიდგომა ახასიათებს, რომელიც ნაციონალურ და რეგიონულ კულტურას ასახავს. ყველგან არსებობს ოფიციალური თუ დაუწერელი წესები სტუდენტების განათლების შესახებ. სხვადასხვა ნაციონალურ სისტემაში თუ უნივერსიტეტში არსებული მიდგომების შედარებითი შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ თითოეულს შემუშავებული აქვს ტექნიკისა და სასწავლო გარემოს გარკვეული და კარგად დასაბუთებული მოდელი, რომელიც ურთიერთგაგებას საჭიროებს. ხშირად ერთი და იმავე ტერმინით სწავლების სხვადასხვა მეთოდი აღინიშნება (მაგალითად,, სემინარი, ლექცია და ა.შ.), ან სხვადასხვა სახელით ერთი და იგივე აქტივობა აღიწერება. თუნინგის პროექტს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნია დეფინიციების მკაფიო და გასაგები მოხმარების საკითხზე შეთანხმება. ტერმინების ლექსიკონი და ყველა ევროპულ ენაზე მათი თარგმანი 2005 წლის ბოლოს თუნინგის ვებგვერდზე განთავსდება.

უნივერსიტეტები სწავლების მრავალ ტექნიკას იყენებენ. სწავლების მეთოდების შერჩევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია განათლების ფორმაზე (დასწრებული სწავლება, დისტანციური სწავლება და ა.შ.). კონსულტაციების შედეგად შედგა შემდეგი ჩამონათვალი (რომელიც ცხადია სრულყოფილი არ არის):

- სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში);
- კონსულტაცია (ტუტორიალი);
- კვლევითი სემინარი;
- სავრჯიშობის (პრაქტიკული) კურსი;
- კლასში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა (ვორკშოპი);
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სხდომები;
- ლაბორატორიული მეცადინეობა;
- სადემონსტრაციო კლასები;
- პრაქტიკა (ინტერნშიპი);
- სამუშაო პრაქტიკა;
- საველე პრაქტიკა / ველზე მუშაობა
- დისტანციური სწავლება, რომელიც შეიძლება სახელმძღვანელობის ან მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე მიმდინარეობდეს.

ასეთი ჩამონათვალი მხოლოდ ინდიკაციური ხასიათისაა და სინამდვილეში სწავლების კატეგორიების სიას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც მათი გამოყენების ხარისხი და ხასიათი იცვლება არა მარტო სხვადასხვა მასწავლებლის, არამედ დღის განმავლობაში ერთი მასწავლებლის პირობებშიც, რაც დამოკიდებულია სწავლების აქცენტებსა და სასურველ სწავლის შედეგებზე. თავად ლექცია შეიძლება ფორმატისა და ფუნქციის მიხედვით სრულიად განსხვავებული იყოს. ერთი უკიდურესობაა, როდესაც ლექტორი შემოიფარგლება მასალის წაკითხვით, ხოლო სტუდენტები კი ცდილობენ ჩაიწერონ ინფორმაცია (ლექციის წაკითხვის ე.წ. “დახრილი თავების” მიდგომა – ასე ეწოდება, რადგანაც როგორც მასწავლებელი, ისევე სტუდენტები თავდახრილი წერენ და კითხულობენ სალექციო მასალას). მეორე უკიდურესობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სტუდენტებმა წინასწარ უნდა წაიკითხონ უნივერსიტეტის შიდა ქსელით (ინტრანეტით) მოწოდებული მასალა და მიიღონ მონაწილეობა პრეზენტაციაში, რომელიც როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტების მიერ მოყვანილი მაგალითებით მდიდრდება. ლექციის დანიშნულება და ფუნქცია შეიძლება ასევე განსხვავებული იყოს. ლექცია, რომელიც ახალ საკითხს გაცნობთ, გთავაზობთ მიმოხილვას ისე, რომ სტუდენტმა სწრაფად გაიგოს და გააცნობიეროს ამ საკითხის საკვანძო ასპექტები, მათი განვითარების სირთულეები და მიმდინარე პრობლემატიკა. მაგრამ ყველა ლექცია არ გულისხმობს ზოგადი საკითხების გაცნობას: შესაძლოა, მაგალითად, ლექციის გამოყენება

ზოგიერთი საკვანძო რთული კონცეფციის დეტალების ასახსნელად, რაც სტუდენტთა მცირე ჯგუფების ჩართვას გულისხმობს. იგივე მართებულია სწავლების ყველა სხვა მეთოდისათვის. სწავლების მეთოდის დასახელება ყოველთვის ზუსტად არ ასახავს, თუ რას აკეთებს მასწავლებელი.

სწავლების ტექნიკაში უკეთ გარკვევის ერთ-ერთი საშუალება იმის გაგებაა, თუ რა სასწავლო აქტივობების გამოყენება მოეთხოვებათ სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში. ისევე როგორც სწავლების შემთხვევაში, ერთი სახელით აღნიშნული სასწავლო აქტივობა შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. ლექციებზე დასწრების (მონაწილეობის) და სახელმძღვანელობისა და სამეცნიერო პიუბლიკაციების კითხვის გარდა, ქვემოთ მოყვანილი (ცხადია არასრული) ჩამონათვალი შეგვიქმნის წარმოდგენას, თუ რამდენად მდიდარია სწავლისა და სწავლების შესაძლებლობები.

- რელევანტური მასალი მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- მიმდინარე საჭიროებისათვის ყველაზე უფრო რელევანტური წასაკითხი მასალის შეჯამება;
- პრობლემების განსაზღვრა და ასევე მათი გადაჭრა;
- მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება;
- ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
- პროფესიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება (მაგალითად, საექთნო საქმეში, მედიცინაში, პედაგოგიაში);
- კვლევა და სტატიების, ანგარიშების, დისერტაციების წერა მზარდი სირთულით (მასალის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად);
- სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა პრობლემის გადაჭრისა და ამის შესახებ ანგარიშის მომზადების მიზნით;
- ზეპირი პრეზენტაციების მომზადება და ჩატარება ინდივიდუალურად და ჯგუფურად;
- სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება;
- შეხვედრებში (ან სემინარებში) მონაწილეობა და მათი გაძღოლა;
- ჯგუფის გაძღოლა ან მისი ეფექტური წევრობა;
- მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით სხვებთან მონაცემების შესახებ კომუნიკაცია;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება.

სწავლის საფეხურის დასრულებისათვის აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება შეფასების ფორმებს. შეფასება არ არის მხოლოდ სწავლებისა და სწავლის პერიოდის ლოგიკური ბოლო ეტაპი, არამედ ფართო გაგებით ამ პროცესების ცენტრალური ელემენტია და პირდაპირ უკავშირდება სწავლის შედეგებს. იყო დრო, როდესაც ბევრ ქვეყანაში ზეპირი გამოცდა შეფასების ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ფორმას წარმოადგენდა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ეს წერიტი თხზულება/ესე იყო. დღესაც ზოგ ქვეყანაში ესე კვლავინდებურად შეფასების ტიპური ფორმაა. თავისთავად ესე გამოყენება ცუდი არაა, თუ ის ადეკვატურია სწავლების მოცემული პროგრამისათვის და სწავლის შედეგებისათვის. გარდა ამისა, ლექტორს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეს ყველა ესე წაკითხვის, შეფასებისა და წერილობითი ფორმით სტუდენტებისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებისათვის. მიუხედავად ამისა, ვრცელი წერიტი ნაშრომი მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია, რომელსაც ლექტორი იყენებს იმისათვის, რომ შეაფასოს სტუდენტის მიერ წარმოებული კვლევა და შესაბამის ჟანრში სტატიის წერის უნარი.

თუნინგის პროექტში აღწერილი პროგრამების უმეტესობა იყენებს შეფასების ფორმების ფართო სპექტრს პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე. საკურსო დავალების შეფასება (ნიშნით ან მის გარეშე), აფასებს სტუდენტის წარმატებას პროგრამის ნაწილის ან დასრულების დონეზე. შეფასება შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ფორმებს, მაგ. ცხადია, ეს ისევე არასრული ჩამონათვალია.

- ტესტი (ცონდის ან უნარის შესაფასებლად);
- ზეპირი პრეზენტაცია;
- ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში;
- ტექსტის/მონაცემების ანალიზი;
- სამუშაო პრაქტიკის, ლაბორატორიული მუშაობის დროს დაკვირვება;
- სამუშაო პრაქტიკის ანგარიში ან დღიური;
- პროფესიული პორტფოლიო;
- სავლელ სამუშაოს ანგარიშები;
- წერილობითი ესე ან ანგარიში, ან მათი ნაწილი მაგალითად, რელევანტური ლიტერატურის წერილობითი მიმოხილვა, განსხვავებული კვლევითი სტატიის კრიტიკა.

შეფასების ყველა ამ მეთოდისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტს მიეწოდოს ინფორმაცია შეფასების შესახებ. ამ ტიპის შეფასებას ეწოდება მაფორმირებელი (formative), რადგანაც სტუდენტი სწავლობს როგორც სამუშაოს შესრულების დროს, ასევე ლექტორის კომენტარებიდანაც, რომელიც მიუთითებს თუ რამდენად კარგად შეასრულა მან ეს სამუშაო და როგორ უნდა გამოასწოროს შეცდომები. სტუდენტებს წარმატების მისაღწევად ეძლევა დამატებით შესაძლებლობა, როდესაც მათ წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმების შესახებ, ეს უკვე საკმაოდ გავრცელებული მეთოდია - ესაა დეტალური აღწერა იმისა, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს დავალების წარმატებული შესრულებისათვის.

ცხადია, ყველა საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ნაწილებისათვის საჭიროა შემაჯამებელი შეფასება. ხანდახან კურსის/მოდულის ფარგლებში განხორციელებულ დავალებებს, როგორც მაფორმირებელი, ასევე შემაჯამებელი ფუნქცია აქვს. ასეთ შემთხვევაში სტუდენტისათვის მიცემული ნიშანი წარმოადგენს სტუდენტის მიღწევის შემაჯამებელ ელემენტს, ხოლო ლექტორის – და ხშირად კოლეგების – მხრიდან მიღებული უკუგება კი მაფორმირებელ ელემენტს.

ტრადიციულად და კვლავინდებურად სხვადასხვა მიზეზის გამო, არსებობს შეფასების ზოგი ფორმა, რომელიც მხოლოდ შემაჯამებელია: ფასდება სტუდენტის წარმატება პროგრამის, მისი შემადგენელი ნაწილის ბოლოს, ის იღებს ნიშანს (რომელსაც თავისთავად ინფორმაციული დატვირთვა აქვს), მაგრამ არა აქვს უკუგება ლექტორის მხრიდან. თუ ამ ტიპის შეფასებას თან შედეგების განხილვა ან კონსულტაცია სდევს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შეფასებას მაფორმირებელი ფუნქცია აქვს.

შემაჯამებელი შეფასების ჩვეულ ფორმას წარმოადგენს გამოცდა. ის შეიძლება იყოს როგორც წერილი, ასევე ზეპირი. წერილი გამოცდები უფრო იაფი და სანდოა; შესაძლოა ერთდროულად სტუდენტთა დიდი რაოდენობის გამოცდა, მაშინ როდესაც ზეპირი გამოცდა საშუალებას გვაძლევს გამოვცადოთ სტუდენტი ისე, რის საშუალებასაც წერილი გამოცდა არ იძლევა.

წერილი გამოცდა სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს, მათ შორის:

- ესე;
- კითხვები მრავალჯერადი არჩევანით;

- პრობლემის გადაჭრა (მაგალითად, მათემატიკა, ფიზიკა, ლინგვისტიკა);
- სიტუაციური/ტექსტის/მონაცემების ანალიზი;
- ლიტერატურის მიმოხილვა. ე. ი. დაფუძნებული მეხსიერებაზე ან ე. წ. „ღია წიგნზე“.

ზეპირი გამოცდა ასევე სხვადასხვა ფორმისაა და შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს.

- ზეპირი გამოკითხვა (ჩვეულებრივად) ერთზე მეტი ლექტორის მიერ;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.

ცხადია, შეფასების ყველა ფორმას დიაგნოსტიკური დანიშნულება აქვს როგორც ლექტორისათვის, ასევე სტუდენტისათვის. იმის გააზრების შედეგად, თუ რა არ იქნა მიღწეული/ნასწავლი, რა იქნა მიღწეული ნაკლები ძალისხმევით, რა იყო ბრწყინვალედ გაკეთებული და ა.შ. როგორც სტუდენტმა, ასევე მასწავლებელმა იცის, რას საჭიროდება მეტი ძალისხმევა.

აქამდე არ გვიხსენებია დისერტაცია ან თეზისი. ეს კომპლექსური შეფასების მაგალითებია, და ევროპაში ფართოდ გამოიყენება ყველა დარგში და სირთულის შესაბამისად სწავლის სხვადასხვა საფეხურზე. თეზისი არის პროგრამის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის შემაჯამებელი შეფასება, რომელიც გულისხმობს კომპეტენციების ფართო სპექტრის დემონსტრირებას. თეზისის მაფორმირებელი ფუნქციაც კარგად აქვს გამოხატული. იგი, როგორც წესი, მზადდება ლექტორის ზედამხედველობით და სტუდენტი სამუშაოს სხვადასხვა ეტაპზე ღებულობს უკუგებას მისგან. შემაჯამებელი გამოცდა შეიძლება იყოს წერითი ან ზეპირი. დოქტორანტურის დონეზე თეზისის საბოლოო გამოცდა ყოველთვის ზეპირი ფორმით მიმდინარეობს – დისერტაციის დაცვა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ეს ფორმატიც შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ქვედა ორ საფეხურზე პროექტებისა და დისერტაციების შეფასება მხოლოდ სტუდენტის მიერ შესრულებულ წერით ნამუშევარს ეყრდნობა.

ბევრ ინსტიტუტში შემუშავდა ინსტრუქციები და მოთხოვნები სხვადასხვა საფეხურზე სტუდენტთა ცოდნის შეფასებისათვის, ისევე როგორც საბოლოო თეზისის მომზადებისათვის. კერძოდ, ნორმად იქცა შეფასების უნივერსალური კრიტერიუმების გამოქვეყნება. თუნინგის პროექტის ბევრი წევრი გვაცნობებდა, რომ მათ დეპარტამენტებში შემუშავებული იყო სამართლიანი შეფასების პროცედურები. შემუშავდა ასევე ევროპული ინსტრუქცია¹², სადაც, მაგალითად, აღნიშნულია, რომ “სტუდენტის შეფასების პროცედურები უნდა:

- შეიქმნას სწავლის სასურველი შედეგებისა და პროგრამის სხვა ამოცანების მიღწევის ხარისხის გაზომვისათვის;
- შეესაბამებოდეს საკუთარ დანიშნულებას, იქნება ეს დიაგნოსტიკა, ფორმირება თუ შეჯამება;
- ჰქონდეს ნიშნის დაწერის მკაფიო კრიტერიუმები;
- უნდა წარმოებდეს იმ ადამიანების მიერ, ვისაც ესმის შეფასების არსი, ვინც იცის სასურველი კვალიფიკაციისათვის სტუდენტებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები;
- სადაც შესაძლებელია, არ ეყრდნობოდეს ერთი გამომცდელის აზრს.”

და ბოლოს, როდესაც განვიხილავთ სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში შეფასების საკითხს, მნიშვნელოვანია შევამოწმოთ, თუ რისი გათვალისწინება ხდება შეფასებისას. მაგალითად, ზოგი სისტემა მეტად აფასებს მძიმე მუშაობას, სხვებისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევები, კიდევ სხვაგან – მაღალი პოტენციალი. ეს საბაზისო ღირებულებები შესაძლოა

¹² Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area §1.3. www.bologna-bergen2005.no/Docs/00-Main_doc/050221-ENQA_report.pdf

დავივიწყოთ შეფასების სისტემების მკაცრი განსაზღვრისას, მაგრამ “მობილური ევროპაში” ეს უნდა გავითვალისწინოთ.

თუნინგ 2-ის კონსულტაცია

სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების მიმოხილვისათვის თუნინგ II-ის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვრცელი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. პროექტის ყველა მონაწილეს ეთხოვა გამოეთქვა საკუთარი აზრი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესახებ და შემოეთავაზებინა იდეები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ამ კომპეტენციების განვითარებისათვის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ფორმატი. მონაწილეებს უნდა ეპასუხათ ხუთ შეკითხვაზე:

1. რას ნიშნავს ეს კომპეტენცია თქვენი სტუდენტებისათვის?
2. როგორ ეხმარებით სტუდენტებს სწავლების თქვენი მეთოდების გამოყენებით ამ კომპეტენციების მიღწევაში?
3. სწავლის რა ფორმებს იყენებენ თქვენი სტუდენტები ამ კომპეტენციების მიღწევისათვის?
4. როგორ აფასებთ, მიაღწიეს თუ არა, და რამდენად სტუდენტებმა დასახულ კომპეტენციებს?
5. როგორ იგებენ თქვენი სტუდენტები, მიაღწიეს თუ არა მათ დასახულ კომპეტენციებს?

თუნინგის პროექტის წევრები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებდნენ სანდო პასუხების მისაღებად, საკუთარ უნივერსიტეტებში კოლეგებთან საუბარის ჩათვლით. ბევრ დარგობრივ ჯგუფში შესაძლო სტრატეგიები იდეებზე ან რეალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა. ზოგი არსებულ პრაქტიკას აღწერდა, მაშინ როდესაც სხვები აღწერდნენ, როგორ შეიძლება არსებული კარგი გამოცდილების შესაბამისობა და გამოყენება კომპეტენციების ახალი კონცეფციის კონტექსტში, და ამგვარად გთავაზობდნენ უფრო მეტად სამომავლო შესაძლებლობებს, ვიდრე არსებულ რეალობას.

ევროპაში არსებობს სწავლების და შესაბამისად ზოგადი კომპეტენციების განვითარების ორი ძირითადი გზა. პირველი არის აკადემიური პროგრამის ფარგლებში ცალკეული კურსების/მოდულების შეთავაზება, რომელთა ფარგლებშიც ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება ხდება. მაგალითად, აკადემიური წერისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) კურსები. მეორე მიდგომის მიხედვით ზოგადი კომპეტენციები ინტეგრირებულია დარგობრივ საგნებსა და მოდულებში. კონსულტაციების შედეგად ნათელი გახდა, რომ აბსოლუტურად შესაძლებელია ზოგადი კომპეტენციების სწავლება დარგობრივი საგნების ფარგლებში, თუ პედაგოგს გაცნობიერებული აქვს ამის საჭიროება და სწავლების ისეთ სტრატეგიას იყენებს, რომელიც ზოგად კომპეტენციებს ითვალისწინებს. საზოგადოდ, რადგანაც სწავლის, სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა ფორმა სხვადასხვა ზოგადი კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს, თუნინგის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თითოეულმა სტუდენტმა სწავლების განსხვავებული მეთოდები უნდა გამოსცადოს.

კონსულტაცია ზოგად კომპეტენციებზე

თუნინგის პროექტის ფარგლებში სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფის მიერ მომზადებული მასალის საფუძველზე გთავაზობთ ზოგადი კომპეტენციების მიმოხილვას, კერძოდ მათი სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ ხდება ამ ახალი მიდგომების აღქმა სტუდენტების მიერ (ან რამდენად მნიშვნელოვანია ეს სტუდენტებისათვის) და იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში და

უნივერსიტეტებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გავრცელება, ფართო საზოგადოების დაინტერესება და კომპეტენციებზე დაფუძნებული ახალი კურიკულუმის შექმნის წახალისება.

საინტერესოა დაკვირვება, თუ რამდენად განსხვავებულად ხდება სხვადასხვა ზოგადი კომპეტენციის გაგება სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფში. ხანდახან მნიშვნელოვანი განსხვავებები გვხვდება სხვადასხვა ეროვნული ტრადიციის კონტექსტში ერთი და იმავე დარგობრივი ჯგუფის ფარგლებში. თუმცა, უფრო ხშირია განსხვავება სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფს შორის.

შეგროვილი პასუხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგადი კომპეტენციების ინტერპრეტირება ყოველთვის ხდება დარგობრივ სფეროსთან მიმართებაში. მაშინაც კი, როდესაც კურსდამთავრებულები არ მუშაობენ იმ დარგობრივ სფეროში, რომელშიც აკადემიური ხარისხი მიიღეს, მათ მიერ ზოგადი კომპეტენციების აღქმა მაინც ძლიერ არის დაკავშირებული დარგობრივ სპეციფიკასთან.

ამ დაკვირვების პირველი შედეგია ის, რომ პრაქტიკაში შეუძლებელია ზოგადი კომპეტენციების მკაფიოდ განცალკევება დარგობრივი კომპეტენციებისაგან. უფრო ხშირად ისინი განიხილება, როგორც დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების გარკვეული ვარიაცია. დამატებითი შედეგია ისც, რომ ყოველი ზოგადი კომპეტენციისათვის უნდა განისაზღვროს ის დისციპლინები, რომლის ფარგლებშიც ის მნიშვნელოვანია, ასევე პრიორიტეტი დისციპლინისათვის და ის დისციპლინები, რომლებთანაც მოცემული ზოგადი კომპეტენციის კავშირი ძალიან სუსტია.

კონსულტაციის დროს აქცენტი გაკეთდა თუნინგის პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ ოცდაათ ზოგად კომპეტენციაზე. ამათგან რვა შეირჩა უფრო დეტალური განხილვისათვის.

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი;
2. პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი;
3. დარგობრივი სფეროს საბაზისო ზოგადი ცოდნა;
4. ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი;
5. ინტერპერსონალური უნარები;
6. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
7. ელემენტარული კომპიუტერული უნარები;
8. კვლევის უნარი.

ანალიზისა და სინთეზის უნარი

არ არსებობს ამ უნარის მკაფიო დეფინიცია, მაგრამ ცხადია, რომ დარგობრივი ჯგუფების მიერ ანალიზი და სინთეზი ფართო მნიშვნელობით იქნა გაგებული. ბიზნესის ადმინისტრირებაზე მომუშავე ჯგუფმა ისეთი ელემენტებიც მოიხსენია, როგორცაა კვლევის საკითხისა თუ პრობლემის სწორი განსაზღვრა, რეკომენდაციების, როგორც ინდიკატორების აღწერისა და ფორმულირების უნარი. განათლების დარგობრივი ჯგუფი ითვალისწინებდა სტუდენტების რეფლექციის უნარს, როგორც ანალიზისა და სინთეზის უნარის გამოხატულებას.

მათემატიკოსებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტმა მისი ანალიტიკური კომპეტენცია უნდა გამოიყენოს პრობლემასთან კონფრონტაციის დროს და იმავდროულად უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება ეს მანამდე მისთვის ცნობილ პრობლემებს. თუ ეს ასეა, მათ “უნდა ნახონ, ხსნიან თუ არა ამ პრობლემას იგივე ჰიპოთეზა”, ისე რომ ადრე მიღწეული შედეგების გამოყენება აზრს იძენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა განსაზღვროს, წარსული გამოცდილებიდან რისი გამოყენება შეუძლია და მოცემული პრობლემის გადასაჭრელად

ახალი მიდგომების შემუშავება დაიწყო. ამ კონტექსტში სტუდენტი აფართოებს სინთეზის კომპეტენციას, რასაც შედეგად მკაფიო და სრულყოფილ ფორმაში წარმოადგენს.

სხვა დარგობრივ ჯგუფებში ანალიზის განმარტებისას ყველა ზემოთ აღნიშნული ასპექტი იქნა გათვალისწინებული – ანუ ეს ზოგადი კომპეტენცია სტუდენტს აძლევს საშუალებას, გაიგოს და გააცნობიეროს, გაზომოს და შეაფასოს მოსაპოვებელი ინფორმაცია, რათა მისი ინტერპრეტაცია და მთავარი მომენტები განსაზღვროს. ეს უნარი ლოგიკურ აზროვნებას ითხოვს, რელევანტური დარგობრივი სფეროდან ძირითადი დაშვებების გამოყენებით და ამ სფეროს შემდგომ განვითარებასაც კვლევის მეშვეობით. არც ერთ ჯგუფში ამ უნარის გამოიმუშავება არ განხილვოდა როგორც ცალკე საგნის ამოცანა, ანუ ეს ზოგადი კომპეტენცია ყველა დარგის განუყოფელი ნაწილია და მის ნებისმიერ საგანსა თუ მოდულში არის ჩართული. ამ მიდგომას ამყარებს სტუდენტების აღქმაც. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ისინი ამ კომპეტენციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგანაც ეს მათ თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების საშუალებას აძლევს, ასწავლის მონაცემთა ლოგიკურ შეფასებას და ალტერნატიული გზების განსაზღვრის ინსტრუმენტების გამოყენებას. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ეს უნარი განმსაზღვრელია მათი მომავალი კარიერისათვის.

კომპეტენციის აღწერისათვის გამოყენებულ იქნა მრავალი სხვადასხვა გამოთქმა: ინტერპრეტაცია, მთავარი პუნქტების განსაზღვრა, გაგება, შეფასება, ინფორმაციასთან მუშაობა, გაცნობიერება, კრიტიკული შეფასება, თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება, კონტექსტში სწორი მოთავსება, ობიექტური განვითარება, კომბინირება, კვლევა, ფორმულირება, არა მხოლოდ რეპროდუცირება, გამოყენება, აღწერა, დასკვნის გაკეთება, ფიქრი, შედარება, სელექტირება, განსხვავება, კონტრასტი, დაყოფა, შეჯამება, არგუმენტირება, შეფარდება, განზოგადება, ლოგიკური აზროვნება, რაციონალური აზროვნება, დაფასება, გათვალისწინება, წინასწარ განჭვრეტა, უზრუნველყოფა, პრობლემის გადაჭრა. დეფინიციების ეს ჩამონათვალი მნიშვნელოვანია, რადგანაც პირდაპირა დაკავშირებული სწავლისა და სწავლების ფორმებთან, რომლის მეშვეობითაც სტუდენტმა ეს კომპეტენცია უნდა გამოიმუშავოს. აღსანიშნავია, რომ ეს კომპეტენცია პირდაპირ უკავშირდება პრობლემის გადაჭრის უნარს, სხვა ასევე მაღალი შეფასების მქონე ზოგად კომპეტენციას. ანგარიშში მითითებულია, რომ ანალიზისა და სინთეზის უნარს სტუდენტები შემდეგი მეთოდებით გამოიმუშავებენ:

- კონცეფციის იდეების ფორმულირება კითხვის, კვლევის, დისკუსიისა და ფიქრის შედეგად აკადემიური ან პროფესიული სამუშაოს ფარგლებში;
- ობიექტურად აღწერა, კატეგორიზაცია, კატეგორიების შეფარდება;
- დამოუკიდებელი ინტერპრეტაციის, შეფასების და დისკუსიის უნარი, რომელიც დებატების ფარგლებში მუშავდება;
- საკუთარი და სხვების ნააზრევის კრიტიკული შეფასება;
- თანამედროვე კონცეფციებს შორის კავშირების მონახვა;
- ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი;
- რელევანტური თეორიების მისადაგება ამოსავალი მასალისათვის;
- არსებულ ცონდაში ახალი დასკვნების ინკორპორაცია;
- სპეციფიკური მოვლენების ან პრობლემების განხილვა ფართო კონტექსტში;
- მტკიცებულებების და ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

სტუდენტების მიერ მიღწეული კომპეტენციების მიღწევის შეფასება დამოკიდებულია იმ მეთოდზე, რომლის მეშვეობითაც მოხდა მისი გამოიმუშავება. ზოგ დარგობრივ ჯგუფში შეფასების მეთოდების განხილვა ჯგუფურ შეხვედრებზე მიმდინარეობდა. შეფასება შეიძლება დაეფუძნოს იმას, თუ როგორ აანალიზებენ სტუდენტები ინფორმაციას ან მასალას. განათლების ჯგუფში შეფასების სხვადასხვა ფორმა განისაზღვრა: დისკუსია, გამოკითხვა,

დაკვირვება, პირადი თუ ჯგუფური ჩართულობის დადასტურება,, ანგარიშების ზედამხედველობა, პრაქტიკაში აქტიური მონაწილეობა, ესეები, პროექტები, თეზისები.

სტუდენტებს შეუძლიათ “თვითშეფასების” მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ საკუთარ შეფასების პროცესში სემესტრის ბოლოს. ლექტორის მხრიდან უკუგება ხორციელდება სტუდენტთა მოსწრების შესახებ ჯგუფური დისკუსიის ორგანიზებით, ან წერილობითი ან პირდაპირი ურთიერთობის მეთოდით.

დარგობრივ ჯგუფებში ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტებმა თავად განსაზღვრეს ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ისინი ანალიზისა და სინთეზის უნარს ინვითარებენ:

- აზრის დარწმუნებით გამოთქმის უნარი;
- კვლევის შედეგების შესაბამისა თეორიასა და/ან საკუთარ მონაცემებთან;
- ესეების უპრობლემო წერა და წაკითხული მასალის მიმოხილვა;
- პრეზენტაციების, ანგარიშებისა და ა.შ. კრიტიკული შეფასება;
- კრიტიკის მიღების უნარი.

პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი

რიგ შემთხვევებში ეს კომპეტენცია ისეთი ზოგადი ფრაზებით აღიწერება, როგორცაა “კონკრეტული პრობლემების გადაჭრა საბაზისო კონცეფციებზე/ცნებებზე დაყრდნობით”. უფრო ხშირად კი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი განისაზღვრება, როგორც სპეციფიკური აკადემიური ამოცანების გადაჭრის უნარი – დარგობრივი სფეროს მიხედვით. პედაგოგთა განათლების საწყის ფაზაში მკაფიო აქცენტი კეთდება მასწავლებლის მომავალ პროფესიაზე. მეორე საფეხურზე ეს კომპეტენცია ხშირად უფრო პროფესიული ტერმინოლოგიით აღიწერება, და უკავშირდება სამუშაო ადგილზე განსახორციელებელ ქმედებებს, როგორცაა ინფორმაციის მოგროვება სხვადასხვა წყაროდან, და/ან რთული საკითხის შესახებ ანგარიშის დაწერა.

სწავლების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც ეხმარება სტუდენტს ამ კომპეტენციის განვითარებაში, ასახავს პრაქტიკისადმი სხვადასხვა მიდგომას. შესაბამისად, ინსტიტუციის შიგნით და გარეთ პრაქტიკის შესაძლებლობები სხვადასხვა დისციპლინაში განსხვავებულად აღიწერება. მაგალითად, სავარჯიშოები, ლაბორატორიული სამუშაო, სამრეწველო პრაქტიკა, ლექციები, სემინარები, სავლე პრაქტიკა, სასწავლო ვიზიტები, ექსკურსიები, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკა. ზოგ დარგობრივ სფეროში ეს კომპეტენცია საუკეთესოდ გამოუმუშავდება პროექტისა თუ თეზისის შესრულებისას. სხვაგან, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირება, ქიმია, მათემატიკა და განათლება, აღინიშნა, რომ აუცილებელია აქცენტირება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებაზე. განათლების დარგობრივი ჯგუფი აღნიშნავს შესრულებული სამუშაოს განხილვის მნიშვნელობას. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ კომპეტენციის განვითარებას ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება დარგობრივი ცოდნის განვითარებისათვის.

ზოგჯერ სასწავლო აქტივობა, მიმართული ამ კომპეტენციის განვითარებაზე, რეალურ სამუშაოს შესრულებასთანაა დაკავშირებული. ბიზნესის ადმინისტრირებაში, კურსებთან დაკავშირებული სამუშაო უნდა შესრულდეს მენტორი/სპონსორი კომპანიების ზედამხედველობით იმ თემებზე, რომელსაც ეს კომპანია საჭიროდ მიიჩნევს. ფიზიკაში, ქიმიაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, სწავლების ბოლო წელი სასურველია სამუშაო გარემოში შესრულდეს, ხოლო საექთნო საქმესა და განათლებაში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო აქტივობა შეიძლება ასევე აკადემიურ სასწავლო გარემოში მიმდინარეობდეს და ხორციელდებოდეს მთელი ჯგუფის, მცირე ჯგუფებისა თუ ინდივიდუალურ დონეზე.

ტრადიციულად დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში სტუდენტები გადიან კარტოგრაფიის ექსპერიმენტულ პრაქტიკას სავსე სამუშაოების ფორმატში დამოუკიდებლად ან მცირე ჯგუფებში, როგორც წესი, შეზღუდული ზედამხედველობის პირობებში. ამ დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს ანგარიში საბოლოო გამოცდის მნიშვნელოვანი კომპონენტია და დამკვირვებლების მიერ განიხილება, როგორც განმსაზღვრელი ასპექტი.

სტუდენტთა წარმატების უწყვეტი შეფასება მიმდინარეობს სემინარების, სავარჯიშოების, ლაბორატორიული სამუშაოს, მასწავლებელთან რეგულარული შეხვედრების ფორმატში. ზოგი კურსისათვის ნაშრომი საბოლოო შეფასების მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. ზოგან ის მთლიანად ანაცვლებს ტრადიციულ გამოცდას. ეს უფრო მეტად მეორე საფეხურისათვისაა დამახასიათებელი. საბოლოო გამოცდები წერითი ან ზეპირი ფორმით ტარდება და მოიცავს პრაქტიკულ პრობლემებს/კითხვებს, ან პროფესიულ ტესტებს ლაბორატორიაში. ეს კომპეტენცია შეიძლება გამოუმუშავებულ იქნეს ესეს მეშვეობითაც, თუ დასმული კითხვა მკაფიოდაა ფორმულირებული და კარგად სტრუქტურირებული. ამოცანის სამნაწილიანი მოდელი შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკაში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი საკითხების აღწერას, და განხორციელების მეთოდების ილუსტრირებას სამუშაო პროცესში კანდიდატის მიერ. საკითხის მარტივი აღწერა არაა საკმარისი ამ კომპეტენციის შეფასებისათვის. ასე ვერ შემოწმდება ცოდნა, რადგანაც პლაგიატობის საშიშროებაც კი არსებობს, ან, სულ მცირე, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვით შემოფარგვლის საშუალებას.

ზოგადად სტუდენტებს კარგად ესმით, შეუძლიათ თუ არა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, იღებენ რა დეტალურ უკუკვებას მასწავლებლისგან ან სწავლის პროცესში, ან საბოლოო გამოცდის დროს.

დარგობრივი სფეროს საბაზისო ზოგადი ცოდნა

ეს ზოგადი კომპეტენცია აშკარად უკავშირდება დარგობრივ სფეროს. სინამდვილეში, მას შემდეგ რაც კომპეტენციის აღწერაში შემოვიდა სიტყვა “დარგობრივი სფეროს ცოდნა”, ცხადი გახდა, რომ ეს ვერ იქნება ზოგადი კომპეტენცია ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, და უფრო დარგობრივ კომპეტენციას წარმოადგენს. თეორიულად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ კომპეტენციის ფორმირება განსხვავდება დარგების მიხედვით და ასახავს დარგების სპეციფიკურობას, მაგრამ პრაქტიკაში ეს მთლად ასე არ არის. ზოგადი ცოდნა სამ ძირითად ასპექტს მოიცავს: პირველი, ეს არის საბაზო *ფაქტები*. მეორე, ამ დარგისათვის დამახასიათებელი საბაზო *მიდგომები* და ბოლოს, მესამე – აუცილებელი ზოგადი ცოდნა, რომელიც არ არის მკაცრად დარგობრივი, ანუ მათემატიკის ან უცხო ენის ცოდნა ფიზიკოსისა თუ ისტორიკოსისათვის და პოლიტიკა განათლების მეცნიერებებისათვის. ანგარიშებში მცირე ადგილი ეთმობა იმ საკითხის განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ პირველ საფეხურზე საჭირო ზოგადი დარგობრივი ცოდნა მიღებულ იქნეს სკოლის დონეზე ან უმაღლეს განათლებამდე, და შესაბამისად შეფასდეს უმაღლესი განათლების დაწყებისას, ხოლო შემდგომ მოხდეს მისი ინტეგრირება და სრულყოფა უმაღლესი განათლების ფარგლებში. როგორც წესი, პირველი საფეხურის პროგრამების შედგენისას უნივერსიტეტები ითვალისწინებენ სასკოლო პროგრამაში არსებულ რეალობას. თუმცა, ფიზიკაში სამუშაო ჯგუფს მიაჩნია, რომ დამამთავრებელ კლასებში ნასწავლი მათემატიკა უნდა ფასდებოდეს უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე. სხვა გამონაკლისია განათლება, სადაც უკვე მასწავლებლობის სურვილის მქონე მოზრდილ სტუდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ პორტფოლიო, რომელიც უჩვენებს მათ გამოცდილებასა და ცოდნას, მიღებულს ფორმალურ თუ არაფორმალურ საგანმანათლებლო გზით. ევროპაში ფართოდ გამოყენება ეს მიდგომა, ცნობილი როგორც „აკრედიტირებული წინასწარი სწავლის გამოცდილება“.

ზოგადი საბაზისო ცოდნა დარგების უმრავლესობაში მიიღება ლექციების, კითხვის, დისკუსიის, ბიბლიოთეკებსა თუ ინტერნეტში განხორციელებული ძიების მეშვეობით და ფასდება წერითი და/ან ზეპირი გამოცდებით. სტატიების განხილვა, გამოცდის შედეგების შეჯამება თუ დისკუსია ზეპირი გამოკითხვისას ხელს უწყობს სტუდენტებს იმის გაგებაში, მიიღეს თუ არა მათ ადეკვატური ცოდნა. დიდი ძალისხმევა არ იხარჯება სწავლების ასპექტებთან მიმართებაში, ეს თითქმის ყველას მიერ აღიარებულია, როგორც საჭირო. ბუნებრივია, პანევროპულ კონტექსტში თუნიგის პროექტი უჩვენებს, რომ ზოგ დარგობრივ სფეროში საბაზისო ძირითადი ცოდნის შინაარსი ქვეყნებს შორის მკვეთრად განსხვავებულია, სხვა დარგობრივ სფეროებში ეს განსხვავება პრაქტიკულად არ არსებობს. მიუხედავად ამისა, დარგობრივი სფეროების უმრავლესობისათვის არსებობს ზოგადი შეთანხმება პირველ საფეხურზე ძირითადი დარგობრივი ცოდნის შესახებ.

უფრო რთულია საბაზისო ძირითადი ცოდნის სხვა კომპონენტებზე შეთანხმება, როგორცაა დისციპლინების ჩამონათვალი, ღირებულებები, მეთოდოლოგიური თუ ეთიკური საკითხები. თუმცა დარგობრივმა ჯგუფებმა ამ საკითხებთან დაკავშირებითაც გარკვეული სტრატეგიები შეიმუშავეს. ზოგი ასპექტი (ანალიზი, ეთიკური ღირებულებები და ინტელექტუალური სტანდარტები) განიხილება სალექციო კურსებზე. ამ შემთხვევაში სტუდენტებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ დარგობრივი სფეროს სტანდარტებისა და ღირებულებების შესახებ. სტუდენტები იღებენ ცოდნას კითხვის საშუალებით და ხედავენ, როგორ ფიქრობს და მუშაობს აკადემიური საზოგადოება და როგორია მათი მიდგომები. აღინიშნა, რომ მიდგომები, ინტელექტუალური და ეთიკური ღირებულებები ასევე ისწავლება პრაქტიკული გამოცდილებით, როგორცაა ლაბორატორიული მუშაობა ფიზიკაში ან ისტორიული დოკუმენტების ანალიზი ისტორიაში, ზეპირი პრეზენტაციების მომზადება, ანგარიშები განათლებაში და ა.შ.

ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის უნარი)

ეს კომპეტენცია თითქმის თანაბრად აღიქმება ყველა დარგობრივ ჯგუფში, როგორც ლიტერატურაში საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარი, ინფორმაციის პირველად და მეორად წყაროებს შორის განსხვავების უნარი, ტრადიციული თუ ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების უნარი, ინტერნეტში ინფორმაციის პოვნის უნარი. ისტორიის დარგობრივი ჯგუფი ამ კომპეტენციას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წყაროების გამოყენებისა და ინტერპრეტაციის კონტექსტში (საარქივო დოკუმენტების, პაპირუსების, არქეოლოგიური მასალის, მეორეადი წყაროების, ზეპირი ისპტრიული წყაროების გამოყენება და ა.შ.). ამ დარგობრივ სფეროში ბევრი სასწავლო აქტივობაა დაკავშირებული ამ კომპეტენციის განვითარებასთან, როგორცაა ლექციები, ვორკშოპები, ობიექტების ვიზიტები, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობა კვლევითი დისერტაციის ჩათვლით.

ყველა დარგობრივი ჯგუფი გამოყოფს სპეციალურ სასწავლო აქტივობებს ამ კომპეტენციის გამოსამუშავებლად. სწავლის პროცესში შეიძლება ბიბლიოთეკის პერსონალიც იყოს ჩართული და მოიცავდეს ვიზიტს ან ვორკშოპს ბიბლიოთეკაში. ინტერნეტიდან ინფორმაციის მოპოვება და მისი კრიტიკული შეფასება შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს ლექციაზე მულტიმედიის გამოყენებით და მერე სტუდენტებს მიეცეს შესაბამისი დავალება. ინფორმაციის მოპოვების უნარი პროგრესირებადი ბუნებისაა: ერთ-ერთი დარგობრივი ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისას სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მასალა ლექციებზე მიღებული ინფორმაციის გამდიდრებისათვის, მაშინ როდესაც სწავლის

დასრულებისას ინფორმაციის მენეჯმენტის უნარს უკვე მკვლევარის დონეზე უნდა ფლობდნენ.

ყველა დარგობრივ სფეროში ამ კომპეტენციის განვითარებისათვის ძირითად აქტივობად მიჩნეულია ექსპერიმენტული თუ კვლევითი კომპონენტი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ნახვა, რამდენად კარგად ფლობს სტუდენტი ბიბლიოთეკის გამოყენების უნარს და რამდენად ეფექტურად იყენებს მოძიებულ ინფორმაციას საკუთარი სამუშაოს მიზნებში. მაგალითად, ქიმიაში, როდესაც სტუდენტი მუშაობს ლაბორატორიაში, მას სჭირდება ლიტერატურა, რომ შეძლოს საკუთარი ექსპერიმენტის შედეგების ინტერპრეტაცია ან ლაბორატორიული ანალიზების უკეთ ჩატარება. ისტორიაში, სტუდენტმა დიდი რაოდენობით ლიტერატურა უნდა წაიკითხოს, რომ თავის კვლევაში ბიბლიოგრაფიისათვის გამოყენოს. ამ სავარჯიშოების შესრულება განსხვავებულია სწავლების სფეროს მიხედვით. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში სტუდენტებმა უნდა მოამზადონ ზეპირი ან წერილი პრეზენტაციები რელევანტური ლიტერატურის გამოყენებით.

ლექტორის მხრიდან სტუდენტის მიერ გაწეულ სამუშაოზე ზეპირი თუ წერილი ფორმით კომენტარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კომპეტენციის განვითარებისათვის. ანგარიშებზე დაყრდნობით ჩანს, რომ ყველა დარგობრივ სფეროს კარგად ესმის ამ კომპეტენციის მნიშვნელობა და რომ მისი განვითარება და შეფასება შესაძლებელია ყველა დარგობრივ სფეროში მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინტერპერსონალური უნარები

ეს კომპეტენცია სამი დარგობრივი ჯგუფის მიერ – განათლება, საექთნო საქმე და ბიზნესის ადმინისტრირება – განიხილება, როგორც წამყვანი და ყველაგან ამა თუ იმ ფორმით შეთავაზებულია სპეციალური სწავლება, რომელიც ამ ზოგადი კომპეტენციის განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. ყველა დარგობრივ ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს კომპეტენცია აუცილებელია კონკურენტუნარიანობის, მოქალაქეობისა და დასაქმებისათვის, მაგრამ არ არის დარგობრივი და ზოგი ანგარიშის მიხედვით არც თუ ისე მნიშვნელოვანი.

ბიზნესის ადმინისტრირების ჯგუფში მიაჩნიათ, რომ ამ კომპეტენციის განვითარებისათვის აუცილებელია ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, სპეციალური ლექციები, ტრენინგი. სპეციალური სასწავლო აქტივობაა კომპიუტერული თამაში ბიზნესის ადმინისტრირებაში, სადაც სტუდენტებს რეალისტურ ბიზნეს-სცენარების პირობებში უწევთ მუშაობა მცირე ჯგუფებში და ჯგუფში მუშაობისას მათ საქმე აქვთ ჯგუფურ დინამიკასთან, დროის მენეჯმენტთან, გადაწყვეტილების მიღების საკითხებთან და ა.შ. მიუხედავად ამისა, აღინიშნა, რომ ცოტაა ცნობილი ამ კომპეტენციის შეფასების ფორმების შესახებ და ამ მიართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

განათლებლასა და საექთნო სამქმში ინტერპერსონალური უნარები ძირითადი მნიშვნელობისაა. სინამდვილეში, განათლებისა და საექთნო საქმის პროგრამების კურსდამთავრებულების პროფესიული საქმიანობა, ფართო გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა პიროვნებათაშორისი ურთიერთობები. საექთნო საქმეში კომუნიკაციის ასპექტები, როგორცაა დაკვირვება, მოსმენა, კითხვების დასმა, არავერბალური კომუნიკაცია, შეხვედრებში მონაწილეობა და მათი გაძღოლა, ძირითადი უნარებია. ეს უნარები ხშირად კონტექსტუალური უნარებია წერით პრაქტიკაში და მოიცავს, მაგალითად, სხვადასხვა აუდიტორიისათვის წერილი ფორმით ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო მასალის მომზადებას.

განათლებაში ასევე კარგად ესმით ამ კომპეტენციის მნიშვნელობა. ინტერპერსონალური კომპეტენციები განიმარტება, როგორც არა მხოლოდ ჯგუფში მუშაობის უნარი, პროექტების ეფექტური წარდგენის უნარი და ლიდერობის უნარების განვითარება – აქ აქცენტი კეთდება ინტერპერსონალური უნარების დიალოგურ შემადგენელზე და სწავლება-სწავლის პროცესზე. მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტები, როგორცაა “მოსმენა” (საექთნო საქმის გარდა არც ერთ ჯგუფს არ აღუნიშნავს), ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, დისკუსიის გაძლიერების უნარი, ჯგუფებთან მუშაობის უნარი, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანთან ცივილიზებული ფორმით კომუნიკაციის უნარი, ინტერვიუს წარმართვა, ინტერაქტიული სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობა. დარგობრივი ჯგუფები აღნიშნავენ, რომ სტუდენტებს მრავალი ინტერპერსონალური უნარი უნდა ქონდეთ უმაღლესი განათლების დაწყებისას, თუმცა განათლებისა და საექთნო საქმის ჯგუფებში განსაკუთრებით აღინიშნა, რომ უმაღლესმა განათლებამ ეს კომპეტენციები მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს. ეს გასაკვირი არაა, თუ გავითვალისწინებთ ამ დარგობრივი სფეროებისათვის ინტერპერსონალური უნარების მნიშვნელობას.

ამ კომპეტენციის განვითარების მეთოდი იწყება იმით, რომ სტუდენტებს უნდა ესმოდათ ამ კომპეტენციის მნიშვნელობა და უნდა შეეძლოთ კრიტიკულად თვითშეფასების გამოყენება იმისათვის, რომ შეაფასონ, გაიგეს თუ არა სხვებმა მათი ნათქვამი. ამ აქტივობების მიზანია სტუდენტებში ინტერპერსონალური უნარების გაცნობიერების განვითარება. არსებობს უფრო მეტად “ცოდნაზე დაფუძნებული” ასპექტი, რომელიც კითხვასა და კვლევას მოიცავს. ერთ-ერთი მეთოდი ასევე პრაქტიკის დროს სტუდენტების მიერ როლების განაწილებაზე დაკვირვება და ნანახისა და მოსმენილის ანალიზი; გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა აწარმოონ პერსონალური დღიურები, რომელშიც ისინი საკუთარ გამოცდილებას აღწერენ.

შედეგები შესაძლოა შეფასდეს ეფექტურად აღნიშნულ კონტექსტში. განათლების ჯგუფმა ჩაატარა კონსულტაციები მასწავლებლებთან, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ამ უნარის ფორმალური სწავლებისა და ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამების უმრავლესობა იყენებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასების პროცედურებს კურსის პრაქტიკული ელემენტების შეფასებისათვის. ეს მოიცავს სტუდენტთა კომპეტენციის ფორმალურ შეფასებას, გამოკითხვას, სწავლის პროცესის მენეჯმენტს, მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობას, კოლეგებთან ჯგუფურ მუშაობას და ა.შ. არსებული სასწავლო სტრატეგიები ყოველგვარი ექვის გარეშე ქმნის ისეთ გარემოს სადაც ინტერპერსონალური უნარები ცალსახად მნიშვნელოვანია და მათი ჩამოყალიბება კი მიზანმიმართულად ხელშეწყობილია.

როგორც აღინიშნა, სტუდენტები აცნობიერებენ, რომ მათ შეიძინეს შესაბამისი ინტერპერსონალური უნარები, მაშინ როდესაც ისინი თავდაჯერებულად გრძნობენ თავს ჯგუფში და სასწავლო პრაქტიკის დროს. ეს თავდაჯერებულობის გრძნობა სხადახვანაირად აღიქმება სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად ამ კომპეტენციის შეფასებისათვის უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა აღქმა და დეტალური უკუგება სხვების მიერ, კერძოდ კი მოსწავლეების მხრიდან. კომუნიკაციის უნარების მნიშვნელობა და სპექტრი საექთნო საქმეში დეტალურ ასახვას პოულობს პროგრამების დიზაინსა და შეფასების პროცედურებში.

ზოგადად, არსებული ანგარიშების საფუძველზე, ჩანს, რომ ინტერპერსონალური უნარები შეიძლება არც თუ სერიოზულად იქნეს აღქმული აკადემიური პერსონალის მიერ მათი გამოკლებით, ვისი დარგისათვისაც ეს კომპეტენცია საკვანძოა. ეს გასაკვირი არაა, რადგანაც უნივერსიტეტები ტრადიციულად ყურადღებას არ აქცევენ ინტერპერსონალურ უნარებს, რომლებსაც მიუხედავად ამისა, განათლებისათვის ზოგადად უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ.

მიიჩნევა, რომ სტუდენტები ინტერპესონალურ კომპეტენციებს ჩვეულებრივ სწავლის პროცესში გამოიმუშავენ სპეციალური ძალისხმევის გარეშე. მონოკულტურულ კონტექსტში ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ 21-ე საუკუნის ევროპაში, ან ზოგადად, 21-ე საუკუნეში, რამდენად გვხვდება მონოკულტურული კონტექსტი? არაა სავალდებულო, რომ ყველა დარგობრივმა ჯგუფმა მიზანძღვრის განათლების, საექთნო საქმისა და ბიზნესის ადმინისტრირების ჯგუფების აქცენტებს და სწავლების იგივე სტრატეგიები გამოიყენოს. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი დარგობრივი სფეროს სტუდენტი სარგებელს ნახავს, თუ პროგრამებში მკაფიოდ იქნება ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე აქცენტი გაკეთებული. დამოუკიდებლად იმისაგან, იპოვიან თუ არა კურსდამთავრებულები სამსახურს სპეციალობის მიხედვით, ეს უნარები მათთვის ყოველთვის გამოსადეგი იქნება. შესაბამისად ჩვენი ამოცანაა აკადემიური პერსონალის ყურადღება გავამახვილოთ ამ კომპეტენციის მნიშვნელობაზე და მისი სწავლების აუცილებლობაზე.

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მნიშვნელობა ყველა დარგობრივი ჯგუფის მიერ აღინიშნა. ცხადია რეალურ ცხოვრებაში – სწავლის დამთავრების შემდეგ – დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარის ქონა აუცილებელია როგორც პირადი, ისე პროფესიული ცხოვრებისათვის და ზოგადად მოქალაქისათვის. ამჟამად, სტუდენტებში ამ კომპეტენციის სწავლების მთავარი მეთოდებია, უმაღლესი განათლების საწყის ეტაპზე, სტუდენტების მიერ ლექციების გარდა სხვა სწავლების ფორმების გამოყენება (მაგალითად, ბიბლიოთეკაში, ვებზე მუშაობა) დამოუკიდებლად სწავლის უნარი გამომუშავებისათვის, და სწავლის ბოლოსკენ, სტუდენტებისათვის დიდი ავტონომიის მიცემა. ზოგი რეკომენდაციის თანახმად, სტუდენტები არ უნდა შევზღუდოთ ბევრი შეზღუდული მოკლევადიანი მონაკვეთებით, არამედ მივცეთ საშუალება, ისწავლონ დროის ორგანიზება. საბოლოო სტატია ან დისერტაცია განიხილება როგორც განსაკუთრებით სასარგებლო ინსტრუმენტი იმის შესამოწმებლად, ისწავლა თუ არა სტუდენტმა დროის გამოყენება და კომპლექსური ამოცანების/დავალებების ეფექტური ორგანიზება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნაციონალური ტრადიციები სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საკითხში საკმაოდ განსხვავებულია. ზოგ ქვეყანაში, კერძოდ იქ, სადაც სტუდენტები უფრო მოზრდილ ასაკში იწყებენ სწავლას, ისინი განიხილებიან დასაწყისშივე, როგორც ზრდასრულები, ლექციებზე დასწრება არაა სავალდებულო და ვადები საკმაოდ მოქნილია, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას ყველაფერი ბოლო გამოცდაზე გამოამჟღავნონ – წლის, კურსის ან სულაც საგანმანათლებლო პროგრამის ბოლოს. სხვა უკიდურესი მაგალითი გულისხმობს დეტალურად სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოს, სადაც სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო მოწმდება სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე მოცემული გრაფიკის შესაბამისად (სტატიების წერა, გარკვეული მასალის წაკითხვა და სწავლა). ამ შემთხვევაში ძირითადი სტრატეგიაა, ვაიმულოთ სტუდენტი დროულად შეასრულოს დავალება, რაც სასკოლო გარემოს მოგვაგონებს, მაგრამ არ აქვს სკოლისათვის დამახასიათებელი ჩამორჩენა. საინტერესოა, რომ ზოგიერთი დამოუკიდებლად მუშაობას სწავლოს ე.წ. ცურვისა და ჩაძირვის სტრატეგიით, მაშინ როდესაც სხვებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მოცემული ჩარჩოების დაცვა.

ელემენტარული კომპიუტერული უნარები

როგორც ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი, დარგობრივი სფეროების უმრავლესობაში სტუდენტები ვალდებული არიან ფლობდნენ შესაბამის კომპეტენციებს კომპიუტერულ და საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

აკადემიური პროგრამის ფარგლებში ეს კომპეტენცია სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფში შეიძლება განიხილოს, როგორც

- კომპეტენცია, რომელიც ხელს უწყობს მოცემული დარგობრივი სფეროს შესწავლას;
- კომპეტენცია, რომელიც ზრდის მომავალში დასაქმების შანსს;
- კომპეტენცია, რომელიც ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას.

აღნიშნულიდან გამომდინარე კურიკულუმში მოცემული კომპეტენციის განვითარებას განსხვავებული ღირებულება აქვს და დარგობრივი ჯგუფების მიხედვით სხვადასხვაა. ერთი უკიდურესობაა, როდესაც სტუდენტს გარკვეული კომპეტენცია მოეთხოვება პროგრამაზე მიღებისას, ან მათ არაფორმალურად უნდა გამოიმუშავონ ეს კომპეტენცია სწავლის პროცესში. ეს ძირითადად ხდება მაშინ, როდესაც კომპიუტერული უნარები განიხილება, როგორც შედარებით ელემენტარული უნარი, როგორც სწავლისათვის, ასევე სამომავლო დასაქმებისათვისაც.

ყველა დარგობრივ ჯგუფს არ მიუქცევია დიდი ყურადღება ამ კომპეტენციისათვის კონსულტაციების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ მათ სფეროებში კომპიუტერული მიდგომა ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, მათემატიკაში. იმ ჯგუფებში, სადაც აღინიშნა ამ უნარის მნიშვნელობა, ხაზი გაუსვეს, რომ სტუდენტს სჭირდება კომპიუტერული უნარები დარგობრივი კურიკულუმის ნებისმიერი აქტივობისათვის. დეტალური ანგარიშები გვიჩვენებს, რომ სტუდენტებმა უნდა შეძლონ ინფორმაციის შექმნა და შენახვა, ელექტრონული ფოსტით სარგებლობა, ინტერნეტში ძიება, კომპიუტერის მეშვეობით ინფორმაციის დამუშავება ან ექსპერიმენტული აპარატურის მომსახურება კომპიუტერის საშუალებით, დარგობრივი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება (ქიმიკა). სპეციალური პროგრამები გრაფიკული გამოხატვის თუ კალკულაციისათვის, ინფორმაციის მიღებისა თუ შემოწმებისათვის (ფიზიკა).

სტუდენტებს სულ უფრო მეტად ავალდებულებენ გაეცნონ სწავლებისა და სწავლის ახალ ფორმებს და ტექნოლოგიებს საკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით. თანამედროვე ელექტრონული სწავლა/სწავლების მენეჯმენტის სისტემები, როგორც წესი იყენებენ სპეციალურ საშუალებებს, როგორცაა ვირტუალური სასწავლო გარემო (მაგალითად, WebCT, Blackboard), პირდაპირი ვებლინკები (განათლება).

ეს კომპეტენცია ასევე საჭიროა წერითი ნაშრომებისათვისაც, მაგალითად, თეზისების, დისერტაციების მომზადებისათვის ადეკვატურ ფორმატში, ყველა აკადემიური სტანდარტის დაცვით, როგორცაა სქოლიოების გამოყენება, ლიტერატურისა და წყაროების მითითება (ისტორია).

სტუდენტები სწავლობენ როგორც ფორმალურ ლექციებზე, ისე კომპიუტერულ ლაბორატორიებში პრაქტიკული სავარჯიშოებისას, სადაც ისინი იყენებენ ცოდნას საკუთარი კომპიუტერული უნარების გამოიმუშავებისათვის. ზოგი დარგობრივი ჯგუფი აღნიშნავდა, რომ საწყისი სპეციფიკური დარგობრივი ინსტრუქციის შემდეგ სტუდენტებს უნდა მიეცეს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება. სხვა შემთხვევაში სტუდენტთა უნარები მოწმდება კურსის დასრულებისას პერსონალური ტუტორის დახმარებით (განათლება). ფორმალური ლექციები ხანდხან პროგრამით საკმაოდ გვიანაა გათვალისწინებული (სწავლის მეორე ან მესამე წელი), როდესაც უკვე სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების სწავლება დაგეგმილი. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ საბაზისო კურსები პროგრამის დასაწყისშია შეთავაზებული, არც ისე იშვიათად მოკლე ინტენსიური კურსის ფორმატში.

ვებზე დაფუძნებული შეფასება ასევე განიხილება, როგორც ფართო გაგებით კომპიუტერული უნარების განვითარების საშუალება. როგორც წესი, ასეთი სწავლება იწყება „ონლაინ“ გვერდის გამოყენებით და გულისხმობს სტუდენტების მიერ შეფასების კრიტერიუმების გენერირებასა და განხილვას. ზოგი ლექტორი სთავაზობს სტუდენტს სხვა კრიტერიუმები იპოვოს, სხვები სთავაზობენ წინასწარ მოცემულ კრიტერიუმებს. შეფასების ეს კრიტერიუმები მოწმდება განსაზღვრული ვებგვერდების მითითებით.

განათლების დარგობრივი ჯგუფის¹³ მიხედვით კომპიუტერული კომპეტენციის განვითარებისათვის გამოყენებული სწავლისა და სწავლების ფორმები მოიცავს:

- თვითსწავლის პროგრამების თვითშეფასების პროგრამებს;
- სწავლების დროს ნებაყოფლობით ისეთი ელემენტების გამოყენებას, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა გრაფიკის, ვებშეფასების გამოყენებასთან;
- საუკეთესო პრაქტიკის მოდელირებას, მაგალითად, URL წყაროების მითითება სტუდენტებისათვის, კარგი პრეზენტაციების მაგალითის მიცემა და ა.შ.
- სტუდენტების მიერ სამუშაოს შესრულებას მოცემულ ფორმატში, რაც უნდა უკავშირდებოდეს ონლაინ რესურსების გამოყენებას;
- კომპიუტერულ ბიბლიოთეკებში ინფორმაციის მოძიებას;
- ელექტრონულ ფორმატში კომუნიკაციას. მაგალითად, ინტრანეტში;
- ვებგვერდებისათვის ხარისხის კრიტერიუმების მისადაგებას.

კომპიუტერული უნარების შეფასება ემყარება სტუდენტების მიერ ამ უნარების დემონსტრირებას. მაგალითად, სტუდენტმა უნდა დაწეროს პრეზენტაცია სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (ბიზნესის ადმინისტრირება). განათლებაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განსავითარებელი ყველა აქტივობა ფოკუსირებულია სწორედ უნარის, ვიდრე ცოდნისა და გაცნობიერების განვითარებაზე. ეს გულისხმობს, რომ სტუდენტი

- იღებს დავალებას რომლის შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ლექტორის მიერ მომზადებულ მონაცემთა ბაზაში - ან უნდა შექმნას მოცემული ინფორმაციისათვის ადეკვატური მონაცემთა ბაზა;
- აკვირდება ამ „უნარის“ პრეზენტაციას და შემდეგ სახავს ამოცანებს ამ უნარების გამოყენების მიზნით;
- იყენებს საძიებო სისტემებს საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად;
- წარმოადგენს სტატიებს და ფასდება კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით.

იქ, სადაც უნარები ფასდება, სტუდენტები იღებენ ნიშანს ან დეტალურ უკუგებას. ფასდება სტუდენტების მიერ შესრულებული ყველა აქტივობა, მათ შორის კომპიუტერულ ლაბორატორიებში დემონსტრირება, კომპიუტერული დავალებები, პრაქტიკული ექსპერიმენტების ანგარიშები და ასევე საკურსო ნაშრომები (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი). სწავლის პროცესში შეძენილ კომპეტენციებს სწავლის ბოლოს უდარებენ იმ კომპეტენციებს, რომელიც სტუდენტს სწავლის დასაწყისში ჰქონდა.

ამ კომპეტენციის აღწერისას, დარგობრივი ჯგუფები იყენებდნენ ისეთ ზმნებს, როგორცა: თავის კომფორტულად გრძნობა, შექმნა, შენახვა, გაცნობა, ძიება, ხაზვა, გამოყენება, შესაბამისობაში მოყვანა, შესვლა, პროდუცირება, შეცვლა, დაყოფა, კოპირება და ჩასმა, ფორმატირება, მიხმა, ასისტირება, ილუსტრირება, შეფასება, გენერირება, კომუნიკაცია, ინტერაქცია და ა.შ.

¹³ (www.ltss.bristol.ac.uk/anorak) შესაძლებელია პერსონალური კითხვარის და მისი მსგავსი კითხვარი სტუდენტებისათვის ელექტრონულ ფორმატში.

ჯგუფი, ვისთვისაც კომპიუტერის გამოყენება შეიძლება პრობლემური იყოს, არის ზრდასრული სტუდენტები, რომლებიც პირველად შედიან უნივერსიტეტში. სკოლებში დღესდღეისობით კომპიუტერი ისწავლება, და კომპიუტერები ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ზრდასრულ სტუდენტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ეს ცოდნა და შესაბამისად დახმარებას საჭიროებენ.

კვლევის უნარი

ყველა დარგობრივი ჯგუფი თანხმდება, რომ კვლევის უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მარტო უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა დისციპლინაში თავად კვლევის დეფინიციასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც ისტორიასა და განათლებაში აღინიშნება კვლევის მეთოდების ცოდნის აუცილებლობა, ფიზიკაში აუცილებელია კონკრეტულ კვლევით სფეროში შესაბამისი ტექნიკის ცოდნა და ქიმიამი ასევე მნიშვნელოვანია სპეციფიკური პროექტების მომზადება და მიღებული შედეგების შეფასება.

არ არსებობს მკაფიო განსხვავება, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ეს კომპეტენცია: მასწავლებელთან ერთად თუ დამოუკიდებელი კვლევითი პროექტების ფარგლებში. არსებული მონაცემებიდან ცხადია, რომ განათლებასა და საქეთნო საქმეში სპეციფიკური კურსები კვლევითი უნარის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მეორე საფეხურზე, აუცილებელია. ეს დამატებითი დადასტურებაა მონაცემებზე დაყრდნობილი სწავლებისათვის, რომლიც დამკვიდრებულია განათლებასა და საექთნო საქმეში. რადგანაც კვლევის კომპეტენცია ამ ორი ძირითადი გზით მიიღწევა (დამატებით კვლევითი სტატიების რეგულარული კითხვა სწავლის პროცესში), საკმაოდ რთულია გაიყოს მასწავლებლის მნიშვნელობა მოსწავლის სასწავლო აქტივობისაგან. მასწავლებელმა უნდა წარუდგინოს სტუდენტებს მეთოდოლოგიური მიდგომები, გააცნობიერებინოს კვლევის კონტექსტი, მაგალითად, კვლევაში ყველა მონაწილის სოციალური, ბიოგრაფიული და კულტურული ფონი, შექმნას და განსაზღვროს მოსწავლის კვლევითი აქტივობები, რომელმაც ეს ქმედებები უნდა შეასრულოს და რეგულარულად მიმართოს მასწავლებელს რჩევისათვის და შესრულებული სამუშაოს შეფასებისათვის. ლექტორები ქმნიან კვლევის მეთოდების ლექცია/სემინარებს ან პრაქტიკულ ვორკშოპებს, ქმნიან სავარჯიშოებს სტუდენტებისათვის, აიძულებენ მათ მოიძიონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები და შეასრულონ მონაცემთა ანალიზი, მოამზადონ ბიბლიოგრაფიული მასალა და დოკუმენტები, და წახალისონ დამატებითი ლიტერატურის ძიება და უკვე ნასწავლი მასალის დაკავშირება აკადემიური პროგრამის სხვა ნაწილებთან. უხელმძღვანელონ კითხვას და წაკითხული მასალის კრიტიკულ ანალიზს, ზედამხედველობა გასწიონს ესეს, თხზულების, პროექტის წერისას და შესრულებისას, მოახდინონ ბიბლიოთეკის ვიზიტების ორგანიზება. სტუდენტები მონაწილეობენ კურსებში, სემინარებში, ვორკშოპებში, მუშაობენ კვლევით პროექტზე, მიმოიხილავენ არსებულ ლიტერატურას, და ახორციელებლ დოკუმენტების კვლევას, აგროვებენ და ამუშავებენ მონაცემებს, იღებენ ექსპერიმენტულ მონაცემებს, წარადგენენ მიმდინარე სამუშაოს, პასუხობენ კრიტიკას (როგორც ზეპირი, ასევე წერიითი ფორმით), კოლეგებს წარუდგენენ შესრულებულ პროექტს და განიხილავენ შედეგებს, იღებენ კომენტარებსა და შენიშვნებს, წერენ გვერდების განსაზღვრულ რაოდენობას, და ყველა ქვეყანაში, დოქტორანტურის დონეზე, იცავენ დისერტაციას ექსპერტების დასწრებით, ხშირად საერთაშორისო კონტექსტში.

არსებობს მჭიდრო კავშირი მასწავლებლის მიერ სტუდენტის წარმატების შეფასებასა და თავად სტუდენტის მიერ საკუთარი წარმატების გაცნობიერებას შორის. აქ ორ მთავარ მომენტზე უნდა იქნეს მიღწეული შეთანხმება: პირველი, შეფასება უნდა ეფუძნებოდეს

კვლევითი პროექტის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს – როგორცაა დაწერილი ნაშრომის ხარისხი, მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებში – და საბოლოო პროდუქტის ხარისხი – როგორცაა ორიგინალობა, დამადასტურებელი დოკუმენტური მასალის მოგროვების უნარი, მკაფიო მსჯელობა, გასაგები პრეზენტაცია; და მეორე – რეგულარული განხილვა და შეფასება უნდა მიმდინარეობდეს აკადემიური ზედამხედველისა და კოლეგების მხრიდან როგორც მუშაობის პროცესზე ასევე საბოლოო პროდუქტზე.

დასკვნები

სწავლის, სწავლებისა და შეფასების მიდგომებს შორის განსხვავება დარგობრივი ჯგუფების პოზიციიდან ევროპულ სივრცეში არის ახალი ნაბიჯი უმაღლესი განათლების გამჭვირვალობისათვის. ეს მოკლე მიმოხილვა ადასტურებს, რომ მიუხედავად სირთულისა, ეს ამოცანა შესრულებადია კეთილი ნებისა და მოსმენის კომპეტენციის არსებობის შემთხვევაში. ბოლონის პროცესმა მოგვანოდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემის კონცეფცია ევროპაში – გამოწვევა, რომელსაც მთელი კონტინენტი შეეჭიდა. სულ ცოტა ხნის წინათ, ბერგენის სამიტზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება “ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესახებ. პროგრამების აკადემიურმა ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ პროგრამები შეთანხმებული სწავლის შედეგების მიხედვით და გამოიყენონ დონეები, დონეების მახასიათებლები, სწავლის შედეგები, სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა კრედიტების ფორმით. თუნინგის მიერ შესრულებული სამუშაო უნდა დაეხმაროს მათ ამ მიდგომის გამოყენებაში კურიკულუმის შექმნის, სწავლების, სწავლისა და შეფასების ახალი მეთოდების გამოყენებაში.

ეს სტატია დაიწერა მომავალი დისკუსიის წახალისების მიზნითაც, რომელმაც უნდა მოიცვას აღნიშნული საკითხები და 25 ქვეყანაში უნივერსიტეტების თანამშრომლებთან კონსულტაციების შედეგები. ცხადია, რომ თუ პროგრამები შეიქმნა კომპეტენციების სახით ჩამოყალიბებული სწავლის შედეგებით, მაშინ უნდა შემუშავდეს ამ კომპეტენციების მიღწევისათვის საჭირო სწავლებისა და სწავლის მეთოდები. შეფასების პრაქტიკა ასევე უნდა შეესაბამებოდეს იმ ამოცანას, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული შედეგები. იმედია, რომ ეს დისკუსია გამოადგება დარგობრივ ჯგუფებს როგორც ინფორმაციის წყარო და გაცვლის საშუალება, როგორც თუნინგის პროექტის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

მომზადებულია არლენ გილპინისა და რობერტ ვაგენარის მიერ ენ კეთრინ აიზეკის, მარია სტიჩი დამიანისა და ფოლკერ გემილხის მონაწილეობით.

6. ხარისხის გაუმჯობესება საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე: თუნინგის მიდგომა

შესავალი

თუნინგის პროექტის მონაწილეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ევროპაში უმაღლესი განათლების ხარისხისადმი მზარდი ინტერესი. ინსტიტუტების დონეზე იზრდება ხარისხის განყოფილებების რაოდენობა, არსდება ხარისხის სააგენტოები, რომლებიც გარე დამკვერვებლის პერსპექტივიდან აფასებენ ხარისხს. უფრო მეტიც, ძირითად მონაწილე მხარეებს მიაჩნიათ, რომ ხარისხი ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის შექმნის საფუძველია. ეს განწყობა ასახულია ENQA დოკუმენტში „*უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და ინსტრუქციები*“, რომელიც შემუშავებულ იქნა EUA, EURASHE და ESIB-ის მონაწილეობით და მოწონებულ იქნა ბერგენში უმაღლესი განათლების მინისტრების შეხვედრაზე.

ტერმინი „ხარისხი“ უმაღლეს განათლებაში ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციის ობიექტია. ის ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც გარკვეული შემოკლება იმისათვის, რომ გამოიხატოს ხარისხის აუცილებელი კომპონენტები, და რა არის ამ ხარისხის მიღწევის საუკეთესო მეთოდები. თუნინგ-ს მიაჩნია, რომ უმაღლესი განათლების სექტორის მთავარი მიზანი და ამოცანა უნდა იყოს სტუდენტისათვის საუკეთესო და ყველაზე უფრო მეტად შესაფერისი უმაღლესი განათლების მიწოდება, გაუმჯობესება და უზრუნველყოფა. განსხვავებული სტრატეგიები და განსხვავებული მონაწილე მხარეები უნდა იყოს ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. მიუხედავად ამისა, თუნინგის წევრებს მიაჩნიათ, რომ საბოლოოდ მთავარი პასუხისმგებლობა ხარისხიანი უმაღლესი განათლების საკითხში უნივერსიტეტებსა და მათ პერსონალზეა, ცხადია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. სხვა მონაწილეებს და დონეებს განსხვავებული, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვთ ხარისხის სტიმულირებასა და შემოწმებაში, მაგრამ თუ თავად აკადემიური პერსონალი და სტუდენტები არ არიან ღრმად, უშუალოდ და გონივრულად ჩართულები ხარისხის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში, გარეშე აგენტებს მხოლოდ არსებული პრობლემების დაფიქსირება შეეძლება, მაგრამ ხარისხს ისინი ვერ უზრუნველყოფენ.

თუნინგის პროექტის სპეციალური ამოცანა იყო შეემუშავებინა საერთო მიდგომები და უნივერსიტეტებისათვის შესაფერისი ინსტრუმენტები, რაც მათ ფართო ევროპულ კონტექსტში დაეხმარება ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში. წიგნის ამ თავში ჩვენ ძირითად ყურადღებას დავუთმობთ ჩვენი თვალსაზრისით ორმხრივი ნდობისა და ურთიერთგაგების მიღწევისათვის საჭირო საუკეთესო სტრატეგიებს, ისევე როგორც კვალიფიკაციებისა და სასწავლო პერიოდების ცნობის საკითხებს, რაც პრაქტიკულად, სასწავლო პროგრამების ხარისხის განვითარებას ნიშნავს.

ბოლონის პროცესის კონტექსტში ყველა პროგრამა რელევანტური უნდა იყოს საზოგადოებისათვის, უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებას, ამზადებდეს სტუდენტებს მოქალაქეობისათვის, აღიარებულ უნდა იქნეს აკადემიური საზოგადოების მიერ და გამჭვირვალობითა და შესაბამისობით ხელს უნდა უწყობდეს მობილობასა და ცნობას. უფრო მეტიც, პროგრამა საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს სტუდენტთა დიდი რაოდენობისათვის როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო კონტექსტში. დასახული მიზნების მიღწევისათვის გამოყენებული მიდგომების ადეკვატურობა, მდგრადობა და თავსებადობა ასევე პროგრამის ხარისხზე მეტყველებს.

თუნინგის პროექტის ფარგლებში შემუშავდა შესაფერისი ინსტრუმენტები ხარისხის უზრუნველყოფისათვის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად. პროექტმა უზრუნველყო ისეთი გარემოს შექმნა, სადაც 135 აღიარებული ევროპელი ექსპერტი 9 სხვადასხვა დარგობრივი სფეროდან ერთობლივად კონსტრუქციულად მუშაობდა, რამაც მათ შორის ურთიერთგაგება უზრუნველყო. ექსპერტებმა შეძლეს შეთანხმება ხარისხის მნიშვნელობაზე და შეიმუშავეს კურიკულუმის შემუშავების, იმპლემენტაციისა და მიწოდების სპეციალური ინსტრუქციები.

ხარისხის შესახებ მსჯელობისას სხვა მრავალ კრიტერიუმთან ერთად ხშირად გამოიყენებოდა ტერმინები: „დანიშნულებასთან შესაბამისობა - fitness for purpose“ და „დანიშნულების შესაბამისობა - fitness of purpose“. პირველი ტერმინი ხშირად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფაში და ნიშნავს, თუ რამდენად შეესაბამება აკადემიური სტრატეგიები პროგრამის მიზნებს. მეორე ტერმინით კი აღინიშნება, თუ რამდენად მისაღებია თავად პროგრამის მიზნები. თუნინგის თვალსაზრისით, ჭეშმარიტი ხარისხის განვითარებისათვის, „დანიშნულებასთან შესაბამისობას“ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ „დანიშნულების მნიშვნელობა“ გარკვეული და დადასტურებულია. შედეგად, თუნინგ-ს მიაჩნია, რომ პროგრამის ხარისხი ნიშნავს როგორც დანიშნულებასთან შესაბამისობის (ანუ პროგრამის დასახული მიზნების მიღწევის მიდგომების ადეკვატურობას), ასევე დანიშნულების მნიშვნელობის (ანუ თავად პროგრამის ადეკვატურობას: სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და ბოლონის პროცესის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინის გამართლებას) უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი საჭიროებს კვლევისა და აკადემიურ სტანდარტებთან მჭიდრო კავშირებს, ისევე როგორც დასაქმების შანსების გათვალისწინებას, რომელიც არაა აშკარად გამოხატული „დანიშნულებასთან შესაბამისობის“ შემთხვევაში.

თუნინგ-ს საკუთარ ამოცანად მიაჩნია პროგრამულ დონეზე ხარისხის გაუმჯობესების წახალისება და ამისათვის შესაბამისი ინსტრუმენტებისა და მეთოდების უზრუნველყოფა, რაც პროექტის ფარგლებში ხარისხის სამუშაო დეფინიციას შეესაბამება - „ხარისხის გაუმჯობესება ნიშნავს მუდმივ ძალისხმევას პროგრამის შემუშავების, იმპლემენტაციისა და მიწოდების ხარისხის ამაღლებისათვის“. თუნინგის მიდგომა ეფუძნება შემდეგ ასპექტებს:

- *განსაზღვრული და შეთანხმებული საჭიროება;*
- *კარგად აღწერილი პროფილი;*
- *კომპეტენციების ფორმით ჩამოყალიბებული შესაბამისი სწავლის შედეგები;*
- *ECTS-ის კრედიტების სწორი განაწილება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტს შორის;*
- *სწავლის, სწავლებისა და შეფასებისადმი შესაბამისი მიდგომები.*

ეს ყველაფერი დამოკიდებულია „ხარისხის კულტურაზე“ – ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება და რეგულარული გამოყენება და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება.

თუნინგის მეთოდოლოგია

თუნინგის პროექტი ყურადღებას ამახვილებს კომპეტენციებზე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, იმპლემენტაციისა და მიწოდების საფუძველზე. კომპეტენციების ცნება გულისხმობს სწავლის შედეგებისა და კრედიტების, უმჯობესია ECTS-ის კრედიტების, როგორც განსაზღვრული პრინციპების გამოყენებას. პროექტის ფარგლებში განასხვავებენ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. თუნინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლის შედეგები კომპეტენციებით უნდა გამოიხატოს. სწავლის შედეგი არის ის, რაც უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთებაც უნდა შეეძლოს სტუდენტს სწავლის დასრულებისას. სწავლის

შედეგით შეიძლება აღიწეროს ცალკეული კურსი, მოდული ან სწავლის პერიოდი, მაგალითად, პირველი ან მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამა. სწავლის შედეგებით განისაზღვრება კრედიტების მინიჭების მოთხოვნები. სწავლის შედეგებს აყალიბებს აკადემიური პერსონალი. კომპეტენცია ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციაა. კომპეტენციების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენციები სხვადასხვა კურსის ფარგლებში ყალიბდება და მათი შეფასება სხვადასხვა დროს ხორციელდება. კომპეტენციები სტუდენტის მიერ უნდა იქნეს გამომუშავებული. სტუდენტმა შეიძლება უფრო მეტ კომპეტენციას მიაღწიოს, ვიდრე ეს სწავლის შედეგებითაა განსაზღვრული. კომპეტენციის მიღწევის დონე ნიშნით აღიწერება.

თუნინგის მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები შედეგზეა ორიენტირებული და უფრო ხშირად მოდულების ფორმატშია სტრუქტურირებული. მოდულების სისტემის უპირატესობა მისი გამჭვირვალობაა. ის ხელს უწყობს და ახალისებს სწავლის შედეგებსა და ECTS კრედიტებით გამოხატულ სტუდენტთა დატვირთვას შორის კორექტული ბალანსის პოვნას.

თუნინგისთვის პროგრამის დიზაინი მისი ხარისხისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის განმსაზღვრელი ელემენტია. ცუდად სრუქტურირებული პროგრამები უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო სტუდენტთა წარმატებაზე და სწავლის ხანგრძლივობაზე, არამედ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებსა და მოქალაქეობრივ შეგნებაზე.

თუნინგის პროექტის I ფაზის ფარგლებში შემუშავებულ იქნა ეტაპობრივი მიდგომა პროგრამის განვითარებისადმი. ეს მოდელი შემდეგ საკვანძო ელემენტებს მოიცავს:

- საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება;
- აკადემიური ხარისხის პროფილი კარგად უნდა იყოს აღწერილი;
- სწავლის სასურველი შედეგები უნდა შემუშავდეს და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფრომატში გამოიხატოს;
- აკადემიური შინაარსი (ცოდნა, გაცნობიერება, უნარები) და სტრუქტურა (მოდულები და კრედიტები) უნდა შემუშავდეს და აღიწეროს;
- უნდა ჩამოყალიბდეს კურიკულუმის მდგრადობასა და განხორციელების შესაძლებლობაზე ორიენტირებული შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაფერისი სისტემა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ პროგრამას საკუთარი იდენტობა აქვს, განსაზღვრული მიზნებითა და დანიშნულებით. შესაბამისად, შესამუშავებელი ხარისხის ინდიკატორები პროგრამის ფარგლებში უნდა განვითარდეს როგორც მისი ნორმალური და მნიშვნელოვანი ელემენტი. ისინი სტანდარტულ ნორმები კი არა, არამედ უფრო კრიტერიუმები უნდა იყვნენ, რომლებიც სპეციფიკური გეგმის უნიკალურობას უპასუხებენ.

აქ უპრიანად მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნული ელემენტების უფრო დეტალური განხილვა:

პროგრამის განხორციელების წინაპირობაა *რესურსების* ხელმისაწვდომობა. ამ რესურსების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს პროგრამის ხარისხზე. რესურსებში მოიაზრება აკადემიური პერსონალი, დამხმარე პერსონალი და საგანმანათლებლო გარემო (პრაქტიკის აუცილებლობის შემთხვევაში – პრაქტიკის ჩატარების ადგილიც და ზედამხედველები). ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სწავლისა და კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველაფერ ამას

პერმანენტული მონიტორინგი სჭირდება. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ეს ნიშნავს მაგალითად, პერსონალისათვის სწავლების ახალი მეთოდების გაცნობას.

პროგრამის განხორციელების *საჭიროება* რომ გამოიკვეთოს, უნდა ჩატარდეს კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. კონსულტაციები არა მხოლოდ აკადემიურ საზოგადოებას, არამედ პროფესიონალებსა და პროფესიულ ორგანოებს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნდა მოიცავდეს. საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის თუნინგის ფარგლებში შემუშავდა კითხვარები, რომლებიც ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს ეხება. ამ კითხვარების შედეგად მიღებული ინფორმაცია განსაზღვრავს მოცემული დარგობრივი სფეროს საერთაშორისო ათვლის წერტილს. ინფორმაცია მოდის ასევე ამ დარგობრივ სფეროს (გლობალური) აკადემიური საზოგადოებიდან. ამ ჯგუფს განსაზღვრელი როლი აქვს დარგში აკადემიური ათვლის წერტილის განსაზღვრისათვის. თუმცა, საბოლოოდ იგივე აკადემიური პერსონალია პასუხისმგებელი პროგრამაზე, მან უნდა გაითვალისწინოს განსაზღვრული ათვლის წერტილები და პერსონალის კომპეტენცია, ორიენტაცია და ხელმისაწვდომობა. მართალია, კომპეტენციებისა და ორიენტაციის მრავალფეროვნება აუცილებელია დეპარტამენტებზე, ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველსაყოფად, მაგრამ უნდა არსებობდეს მაკოორდინირებელი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ერთიანობას და შეეძლებათ საჭირო ცვლილებების განხორციელება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ე.წ. „ცვლილების აგენტების“ არსებობა, მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელები, დეპარტამენტის დირექტორები, აკადემიური ან წარმომადგენლობითი საბჭოები და ა.შ., რომლებიც პასუხისმგებელია პროგრამის დიზაინზე, დამტკიცებაზე, განხორციელებასა და მენეჯმენტზე. შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე ცვლილებების განხორციელება რთულია. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის ფართო სპექტრის და ასევე სტუდენტების აზრი წინასწარ უნდა შევისწავლოთ, რათა კურიკულუმი და საგანმანათლებლო მიდგომა კარგად იქნეს გაგებული და მხარდაჭერილი როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების მიერ.


თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის *პროფილი* – პროგრამის მიზნები და დანიშნულება – კარგად უნდა იყოს აღწერილი. შემდგომი სიცხადის შეიტანს პროგრამაში ხდება ამ მიზნების მოსალოდნელი სწავლის შედეგებით (რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ) ფორმულირებით, რაც, თავის მხრივ, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატით უნდა განხორციელდეს. კურიკულუმის დიზაინი და სტუდენტთა შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის პროფილს.

კურიკულუმის შემუშავების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს *აკადემიურ შინაარსსა* და *დონეს*, მაგრამ იმავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ უმაღლესი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დამუკიდებლად სწავლის ხელშეწყობა – რასაც გავლენა აქვს სწავლისა და სწავლების მეთოდებზე და, შესაბამისად, სტუდენტების სასწავლო *დატვირთვაზე*, რომელიც ECTS-ის კრედიტებით გამოიხატება. კურიკულუმმა ძალიან არ უნდა გადატვირთოს სტუდენტები გადაჭარბებული მოცულობის შინაარსით. კურიკულუმის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები და მათში მოქალაქეობრივი სულისკვეთების აღზრდა, ისევე როგორც აკადემიური და ინტელექტუალური განვითარება.

უნდა ჩამოყალიბდეს *შეფასების* სქემა თითოეული პროგრამის მონიტორინგისა და განხილვისათვის. მონიტორინგის პროცესი გულისხმობს ძირითადი ინდიკატორების – მოსწევა გამოცდებზე, კურსდამთავრებულთა დასაქმება, კონკურსი პროგრამაზე, კითხვარებზე პასუხი, პარტნიორი დაწესებულებების აზრი და ა.შ. – სტატისტიკური ინფორმაციის

სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს. ანალიზის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს სხვადასხვა ტიპის უკუგებისა და წინმსწრები ინფორმაციის მექანიზმი. ამან უნდა მოიცვას სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აკადემიური პერსონალი. კერძოდ, უნდა არსებობდეს სტუდენტთა გამოკითხვის და ამ ინფორმაციის დამუშავების მექანიზმები. უკუგების მექანიზმების დანიშნულებაა კურიკულუმის დიზაინსა და/ან განხორციელებაში არსებული ხარვეზების გასწორება. ხოლო წინმსწრების ინფორმაციის მიღებით კი უნდა განისაზღვროს მოლოდინები, რაც შემდგომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში უნდა იქნეს გათვალისწინებული. პროფესიული პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც სამუშაო პრაქტიკას საჭიროებენ, ინფორმაცია უნდა მივიღოთ ასევე იმ დაწესებულებებიდან, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან და რომელიც შეესაბამება მათ მომავალ დასაქმებას.

პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების ზემოთ მოყვანილი პრინციპები თუნინგის პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა, როგორც „ხარისხის განვითარების დინამიური წრე“, რომელიც უკვე წარმოდგენილი იყო წიგნის I თავში.



ეს მოდელი ემყარება დაშვებას, რომ პროგრამების შედეგებისას უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო უკუკავშირები, არამედ საზოგადოებაში მოსალოდნელი განვითარებებიც, რაც დიაგრამაში პროგრესული სპირალითაა გამოხატული.

იმისათვის, რომ წახალისოს უნივერსიტეტები პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და მიწოდების საქმეში, თუნიტმა შეიმუშავა **ძირითადი/საკვანძო კითხვების ჩამონათვალი**, რაც უნდა გავითვალისწინოთ პროგრამების შემუშავების ადრეულ სტადიაზე. ამ კითხვების მნიშვნელობა და სარგებელი კარგად ჩანს თანდართული მაგალითებიდან (დანართი I).

რადგანაც საზოგადოება მუდმივად იცვლება და აკადემიური სფეროები მუდმივად ვითარდება, განათლებაც დინამიური პროცესი გახდა. თუნიტს მიაჩნია, რომ ხარისხის პერიოდული შიდა და გარე შემოწმება არაეფექტურია ჭეშმარიტი ხარისხის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის. აქცენტი უფრო უნდა გაკეთდეს პროგრამების მუდმივ შემოწმებასა და განახლებაზე. შესაბამისად შეფასების/შემოწმების პროცესი სპეციფიკურად უნდა წარიმართოს ინდივიდუალური კურსები და მოდულები ცალ-ცალკე კი არა, არამედ მთელი პროგრამის კონტექსტში უნდა შეფასდეს.

კურიკულუმის შეფასებისას სამი ძირითადი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ:

- საგანმანათლებლო პროცესი;
- განათლების შედეგი;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები).

თითოეული, თავის მხრივ, მრავალ ელემენტს მოიცავს:

საგანმანათლებლო პროცესი:

- აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები);
- სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
- პროგრამის სტრუქტურა და პროგრამის ელემენტების თანამიმდევრობა;
- პროგრამის ერთიანობა;
- სასწავლო დატვირთვის განაწილება სემესტრებსა და აკადემიურ წლებზე;
- პროგრამის ვარჯისიანობა;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
- კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან;
- საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა მობილობა.

განათლების შედეგი:

- სტუდენტთა რაოდენობა, განთესვა და სხვა პროგრამებზე გადასვლა;
- პირველი და მეორე საფეხურების შედეგები;
- დასაქმება.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები):

- სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები;
- პერსონალი და მატერიალური რესურსები;
- სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ ტუტორები.

აქ ჩამოთვლილი სხვადასხვა ელემენტი შემოთავაზებულია „**კურიკულუმის შემოწმების ფორმაში**“. ეს ფორმა ემყარება 14 ძირითად ფაქტორს, რომლითაც იდეალური სიტუაცია აღიწერება. პრაქტიკაში იდეალის რეალიზება რთულია, მაგრამ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა პასუხისმგებლობაა, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს ამ იდეალს. შემოწმების

ფორმა თან ერთვის (იხ. დანართი II). მისი გამოყენება შეიძლება „ძირითადი კითხვების ჩამონათვალთან“ ერთად. ორივე ეს ინსტრუმენტი პრაქტიკაში გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და გაუმჯობესებისათვის.

თუნინგის როლი ხარისხის გაუმჯობესებაში

გარდა იმისა, რომ შემუშავდა პრაქტიკული და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები პროგრამების დიზაინის, განხორციელებისა და მიწოდებისათვის, თუნინგის პროექტის არანაკლებ მნიშვნელოვანი როლია აკადემიური პერსონალის პანევროპული ქსელის შექმნა. ქსელის პოტენციური როლი ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებით აღინიშნა ბერლინის კომუნიკეში. თუნინგი არის აკადემიური პერსონალის ქსელი, რომელიც წარმოადგენს როგორც ევროპის ქვეყნებს, ისე ცალკეულ ინსტიტუციებს, რომლებიც პროექტისათვის ფორმალურად იქნა შერჩეული. აკადემიური პერსონალის როლი აღნიშნულია ტენდენციები III დომკუმენტში: „თუ ბოლონის პროცესის მიზნების უდიდესი პოტენციალის ევროპაში უმაღლესი განათლების გრძელვადიანი, ფუნდამენტური და მდგრადი რეფორმის განხორციელებისათვის ეფექტურად გამოიყენება გვინდა, აკადემიური პერსონალის ხმას მეტი ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ.“

აკადემიური პერსონალის ქსელს შეუძლია სერიოზული როლი შეასრულოს ხარისხის მნიშვნელობის გაცნობიერებაში, ისევე როგორც სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციების ჩამოყალიბებაში. ხარისხთან მიმართებაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ხარისხის თაობაზე შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროპაში ხარისხზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბებას. ქსელებმა სასარგებლო როლი შეიძლება ამ კონცეფციების გავრცელებასა და დანერგვაშიც შეასრულონ.

თუნინგის პროექტი მუშაობს ევროპულ, ტრანსნაციონალურ კონტექსტში, სადაც კვალიფიკაციებისა და აკადემიური ხარისხების ცნობა ცენტრალური საკითხია. ცნობა/ალიარება ემყარება შესადარობასა და განჭვრივალობას. თუნინგის ძირითადი ამოცანაა შექმნას გამოყენებადი ათვლის წერტილები შესადარი, გასაგები პროგრამების შემუშავებისათვის, რომლებიც სწავლის შედეგების ფორმატში იქნება გამოხატული. სწავლის შედეგები თავის მხრივ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების კომბინაციაა, სადაც გარდა ამისა მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ალიარების გრძელ გზაზე, რადგანაც ემსახურება:

- საერთაშორისოდ აღირებულ კონცეფციებსა და შინაარსზე დაფუძნებული ათვლის წერტილების შექმნას ფართო გაგებით ყოველი დარგობრივი სფეროსათვის;
- ურთიერთგასაგები კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის განვითარებას პროგრამულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფისათვის;
- ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე შესადარობის ელემენტების შეთავაზებას;
- ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის შიდა სისტემებისადმი ნდობის განვითარებას;
- ინსტიტუტის შიგნით პროგრამის ალიარებისადმი ინტერესების ზრდას;
- ENIC და NARIC ქსელების მუშაობის მხარდაჭერას აკადემიური ხარისხების ალიარებაში;
- ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტურ გამოყენებას სხვადასხვა ქვეყანაში გასაგები მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

როგორც ტრანსნაციონალური ქსელი, თუნინგი ქმნის უნიკალურ პლატფორმას იმ პრინციპების განხორციელებისათვის, რომლებიც უკვე განისაზღვრა როგორც ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხისათვის ფუძემდებლური:

მნიშვნელობა. სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემაში პროგრამის მთავარ ღირებულებას სტუდენტისა და საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა წარმოადგენს. პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს აკადემიურ, პროფესიულ და ასევე სოციალურ განვითარებას, ინტელექტუალურ მონაპოვარს, დასაქმებასა და ევროპულ გარემოში მოქალაქეობას. არის რა კომპეტენციებზე დაფუძნებული, თუნიგის მიდგომა ახალისებს დიალოგს დამსაქმებლებსა და სხვა სოციალურ აქტორებთან. ის ხელს უწყობს რელევანტური აკადემიური და პროფესიული პროფილის შემუშავებას და იმ საჭიროებების განსაზღვრას, რასაც პროგრამა უნდა ემსახურებოდეს.

თავსებადობა და შესადარობა. თუნიგის მეთოდოლოგიის გამოყენებით ევროპული პროგრამები იქნება თავსებადი და შესადარი სხვა ევროპულ პროგრამებთან, იმდენად რამდენადაც იყენებენ ერთ და იმავე ათვლის წერტილებს, და თანხმდებიან ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრაზე. ეს მეთოდოლოგია ხელს უწყობს ჭეშმარიტ შესადარობას და იმავდროულად არ ზღუდავს კურიკულუმების მრავალფეროვნებას და სწავლის პროცესის სხაობასა და კულტურულ ეთოსს. ECTS-ის გამოყენება ასევე ხელს უწყობს თავსებადობასა და შესადარობას, რამდენადაც სტუდენტთა დატვირთვა გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი პროგრამის და მისი კომპონენტების დაგეგმვისა და მონიტორინგისათვის.

გამჭვირვალობა. იგი აუცილებელია ყველა პროგრამისათვის, განსაკუთრებით შემუშავების სტადიაზე. გამჭვირვალობა დაცული უნდა იყოს სწავლის შედეგების, სწავლის პროცესის, სასწავლო რესურსების, ხრისხის სისტემებისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში. გამჭვირვალობა დაკავშირებულია მკაფიო დეფინიციებთან, რაც გულისხმობს ყველასათვის – სტუდენტებისათვის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის ტრანსნაციონალურ კონტექსტში – გასაგები ფორმატით მუშაობას. გამჭვირვალობა გულისხმობს ECTS-ის კრედიტებისა და დიპლომის დანართის, ასევე ECTS -ის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას.

მობილობა და ტრანსნაციონალური განათლება. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა საჭიროებს მობილობის სანდო და ხარისხიანი სისტემის შექმნას. თავის მხრივ, მობილობა ხელს უწყობს ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბებას. ფიზიკური მობილობა სწავლის კარგად სტრუქტურირებული პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც სრული აკადემიური პროგრამის ფარგლებში, ზრდის ხარისხს განათლებაში ევროპული განზომილების თვალსაზრისით, ასევე ზრდის ევროპის შრომის ბაზარზე დასაქმების საშუალებას და ევროპულ მოქალაქეობრივ შეგნებას. ტრანსნაციონალური განათლება ის ძალაა, რომელსაც შეუძლია უნივერსიტეტების დაკავშირება ხარისხის გაუმჯობესების საერთო მექანიზმების შექმნის მიზნით.

მობილობის ხარისხიანი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის პერიოდებისა და აკადემიური ხარისხების ურთიერთაღიარებას, ასევე მასპინძელ უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტოვობის ადეკვატურობას. ECTS საკვანძო სისტემაა, რომელზედაც აღიარების პროცესია აგებული. თუნიგმა ხელი შეუწყო ECTS-ის დაგროვების ფუნქციის განვითარებას კომპეტენციებისა და სასწავლო დატვირთვის ფორმატში გამოხატული სწავლის შედეგების სისტემატური გამოყენების გზით.

მიმზიდველობა. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, რომელიც ცდილობს მიმზიდველი გახდეს მესამე ქვეყნებისათვის, ხარისხი გარანტირებული უნდა იყოს. სხვადასხვა ქვეყნის მიერ ნაციონალურ დონეზე განვითარებული ხარისხის მექანიზმები გასაგები უნდა

იყოს, როგორც ევროპული სისტემა. თუნინგის პროექტი გვთავაზობს ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიას პროგრამების შემუშავებისათვის, მათ შორის ერთობლივი პროგრამებისათვისაც. ეს ქმნის საერთო ლექსიკას კომპეტენციების სწავლების, სწავლისა და შეფასებისათვის, რაც შემდგომში უნდა განვითარდეს ხარისხის ინდიკატორების გამოყენების მეშვეობით.

უნივერსიტეტების ხარისხის კულტურის საკუთარ შიდა მექანიზმებს ქმნიან. მათ უნდა განახორციელონ აკადემიური აქტივობების მონიტორინგი ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს მათ მისიასა და აკადემიურ ღირებულებებს. თუნინგი გვთავაზობს პროგრამების შემუშავების, გადამუშავებისა და განვითარების მიდგომებს ბოლონის პროცესის პრინციპების გათვალისწინებით.

თუნინგის ზოგადი შედეგები უნივერსიტეტებს სთავაზობს სასარგებლო ათვლის წერტილებს, მაშინ როდესაც დარგობრივი ჯგუფების შედეგები გამოდგება დისციპლინის დონეზე ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დარგობრივი სფეროს/დისციპლინის დონე შესაფერისი კონტექსტია შემდეგისათვის:

- სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრადიციის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის გამოცდილების გამოყენება;
- პროფესიული სტრუქტურებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეების თვალსაზრისით დაინტერესება და ამით დინამიური დიალოგის ხელშეწყობა სოციალური მნიშვნელობისა და ადეკვატურობის შესახებ;
- დარგობრივ სფეროებში განვითარების ტენდენციებზე ფოკუსირება და ამით დარგობრივი სტანდარტების განვითარების ხელშეწყობა;
- კურსებისა და პროგრამების შესაბამისობა პროფესიებთან და საერთაშორისო კონტექსტში აკადემიურ და პროფესიულ პროფილებთან;
- ხარისხის შესახებ საერთო შეხედულების გაცნობიერება დარგობრივი სფეროს ფარგლებში, და იმავდროულად სხვადასხვა მიდგომის აღიარება;
- კურიკულუმისა და სწავლის, სწავლებისა და შეფასების შედარება დარგების კარტირებისათვის, ურთიერთგაგების ხელშეწყობისა და სხვადასხვა დონეზე საერთო სტანდარტების განვითარებისათვის;
- ევროპაში დასაქმების სიტუაციის შესწავლა მრავალფეროვნებისა და ინოვაციების საკითხებზე აქცენტირებით;
- საფეხურების (დონეების) მახასიათებლების შემუშავებაში მონაწილეობა და ამით კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს სემუშავების ხელშეწყობა.

დარგობრივი სფეროს ფარგლებშია სწორედ შესაძლებელი პროგრამის აკადემიური განვითარების გაგება და შეფასება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

თუნინგის გამოყენება აკადემიური პროგრამის დიზაინისა და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებისათვის

შეჯამებისათვის, თუნინგი გვთავაზობს სერიოზულ ინსტრუმენტებს პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ცხადია, ხარისხზე გავლენას სხვა ელემენტებიც ახდენენ, რომლებიც ნაციონალურ, ადგილობრივ თუ ინსტიტუტციონალურ კონტექსტში მოქმედებს. მიუხედავად ამისა, თუნინგის მიდგომა

შეიძლება ყველგან ეფექტურად გამოვიყენოთ ბოლონის პროცესის კონტექსტში პროგრამების შემუშავებისათვის და ხელი შევუწყოთ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის კულტურის ჩამოყალიბებას.

თუნიჩგი გვაძლევს ზოგად ჩარჩოს სტუდენტზე ორიენტირებული პროგრამების განვითარებისათვის. ის გვიჩვენებს, როგორ უნდა შემუშავდეს შედეგზე ორიენტირებული პროგრამები – ანუ როგორ იქნებიან კურსდამთავრებულები აღჭურვილი რეალურ ცხოვრებაში საჭირო კომპეტენციებით – და თან ითვალისწინებს აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების, ისევე როგორც მოქალაქეობის განვითარებას. ის ასევე გვხმარება, პროგრამა ისეთ ფორმატში აღვწეროთ, რომ ის ერთნაირად გასაგები იყოს ევროპის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთაც, და ამით ხელს უწყობს თავსებადობას, გამჭვირვალობასა და მიმზიდველობას.

სინამდვილეში, თუნიჩგის ამოსავალი წერტილი არის პროგრამების შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი სწავლის შედეგების მიღწევა დროის მოცემულ მონაკვეთში. სწავლის შედეგები არაა ფორმულირებული დისციპლინის შინაარსის მიხედვით, არამედ უფრო შეძენილი ცოდნისა და უნარების ფორმატში. ცოდნა და უნარები გამოხატულია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ფორმით, ანუ გვიჩვენებს, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ.

თუნიჩგის კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სტუდენტებთან, კონსულტაციების საშუალებას იძლევა და მკაფიოდ აყალიბებს პროგრამის სპეციფიკურ მიზნებს. ეს „მიზნები“ ქმნის აკადემიური ხარისხის პროფილს, რომელიც დაკავშირებულია იმ პროფესიულ როლთან, რომელიც კურსდამთავრებულმა უნდა შეასრულოს და რის გამომუშავებაში მას აკადემიური პერსონალი უნდა დაეხმაროს. სასწავლო დატვირთვაზე დაფუძნებული კრედიტების გამოყენებით სასწავლო პროცესი ეფექტურად ორგანიზება შესაძლებელი.

თითოეულმა აკადემიურმა პროგრამამ დარგობრივი კომპეტენციების განვითარება უნდა უზრუნველყოს - ეს არის ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და ღირებულებები, რომლებიც ამ დარგობრივ სფეროს სჭირდება. თუნიჩგი გვთავაზობს დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების ათვისების წერტილებს სხვადასხვა სფეროში: ამ ინსტრუმენტების გამოყენებით სხვა დარგობრივ სფეროებშიც შეიძლება იმავე შედეგის მიღწევა.

თუნიჩგის პროექტის ფარგლებში განხილულ დარგობრივ სფეროებში ასევე აღიწერა, თუ კომპეტენციის რა დონეს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა სწავლის პირველ და მეორე საფეხურებზე. არსებობს ზოგადი მახასიათებლები, რომელთა გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ინსტიტუტში ნაციონალური ან ადგილობრივი აკადემიური ტრადიციების გათვალისწინებით და ნებისმიერ კულტურულ, ეკონომიკურ თუ სოციალურ კონტექსტში. მომავალში, თუნიჩგი ელის საფეხურების/დონეების მახასიათებლების შემუშავებას მესამე (დოქტორანტურის) საფეხურისათვისაც.

თუნიჩგისათვის შედარებით ახალი იყო ფოკუსირება „ზოგად კომპეტენციებზე“, რაც აქამდე არ გამოიყენებოდა აკადემიურ პროგრამებში. ყველა პროგრამაში უნდა შეირჩეს რეგულაციური ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულებს მეტად გამოადგება და შესაბამისად უნდა იქნეს ორგანიზებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესი. თუნიჩგი არა მარტო გვიჩვენებს ზოგადი კომპეტენციების ჩამოყალიბების საერთო ენას, არამედ გვაწვდის მრავალ კონკრეტულ მაგალითს სხვადასხვა დარგობრივი სფეროდან, რომელიც გვიჩვენებს ზოგადი კომპეტენციების განვითარებისა და გამომუშავების ნიმუშებს.

ბუნებრივია, სწავლისა და სწავლების პროცესის დაგეგმვისას, რომლებიც დასახული სწავლის შედეგების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს, ინსტიტუტებმა უნდა გაითვალისწინონ დროის ფაქტორი. დატვირთვაზე დაფუძნებული ECTS-ის კრედიტები შესაძლებელს ხდის პროცესი ეფექტურად დაიგეგმოს და გათვალისწინებულ იქნეს სწავლასა და შეფასებაზე გამოყოფილი დრო.

ECTS-ის კრედიტები თუნინგის ერთადერთი ინსტრუმენტია იმ გარემოს შესაქმნელად, რომელშიც შესაძლებელია სწავლის დასახული შედეგების მიღწევა. ყველა ქვეყანა, ყველა დისციპლინა და ყველა ინსტიტუტიც კი ფლობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების საკუთარ ტრადიციას. თუნინგმა დააკავშირა ეს ტრადიციები: ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების პროცესში მრავალი ეფექტური მეთოდი, ტექნიკა და მიდგომა იქნა შეგროვლი და აღწერილი. ეს მასალა მოიცავს როგორც ზოგად, ასევე დარგობრივ კომპეტენციებს და სხვადასხვა დარგობრივი სფეროდან მოდის. მასალა ხელმისაწვდომია გამოყენებისათვის. თუნინგის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მიდგომის გამოყენება პროგრამის ფარგლებში საუკეთესო შედეგს უზრუნველყოფს.

შეფასება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია პროგრამის წარმატების ხარისხის გაზომვისათვის. ის უნდა ეფუძნებოდეს იმის შემოწმებას, მიაღწია თუ არა სტუდენტმა დასახულ მიზნებს. რადგანაც მიზნები სწავლის შედეგების, ანუ კომპეტენციების ფორმატშია ფორმულირებული, შეფასება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სწორედ კომპეტენციების შემოწმებას უზრუნველყოფდეს.

თუნინგმა აქაც საუკეთესო პრაქტიკიდან უამრავი საინტერესო მასალა მოაგროვა სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვადასხვა დისციპლინიდან. ეს ინფორმაცია ასევე ღია და ხელმისაწვდომია ინსტიტუტებისათვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების მეთოდების შემუშავებისათვის.

ბუნებრივია, პროგრამის შემუშავება და განხორციელება მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების საგანი უნდა იყოს, რათა განისაზღვროს, მიიღწევა თუ არა დასახული მიზნები და რამდენად ადეკვატურია სწავლების პროცესი, საჭიროა თუ არა ცვლილებები და რამდენად ასახავს პროგრამა დარგობრივი განვითარების ტენდენციებსა და საზოგადოების მოლოდინებს. მზარდ მნიშვნელობას იძენს პანევროპულ კონტექსტში არსებული განვითარების ტენდენციების გათვალისწინება. თუნინგის ინსტრუმენტები და მიდგომები საშუალებას მისცემს ინსტიტუტებს განახორციელონ როგორც საკუთარი, ისე ერთობლივი და საერთაშორისო პროგრამების მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება ფართო კონტექსტში. ამით თუნინგს საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროგრამულ დონეზე ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მომზადებულია ხულია გონზალესის ენ კეთრინ აიზეკის, მარია სტიჩი-დამიანის და რობერ ვაგენარის მიერ ჯოაკიმ კარვალოს, (კოიმბრას უნივერსიტეტი), გარეტ ჯონესის(იმპერიალ კოლეჯი) და კრისტინა ვაჰალას (ჰელსინკის უნივერსიტეტი) მონაწილეობით.

დანართი I

თუნინგის ძირითადი კითხვების ჩამონათვალი პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შენარჩუნებისა და შეფასებისათვის ბოლონის რეფორმის ფარგლებში

პროგრამის დიზაინი

ასპექტები	ძირითადი კითხვები
აკადემიური ხარისხის პროფილი	<ul style="list-style-type: none"> - მკაფიოდ არის თუ არა განსაზღვრული ახალი პროგრამის შემუშავების საჭიროება და პოტენციალი? - აკმაყოფილებს თუ არა პროგრამის მიზანი ახალ პროფესიულ და /ან საზოგადოებრივ მოთხოვნებს? - ჩატარდა თუ არა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან? დაადასტურეს თუ არა მათ ახალი პროგრამის საჭიროება? - რამდენად ადეკვატური იყო კონსულტაციების დროს გამოყენებული მიდგომა? რამდენად შესაბამისი იყო დაინტერესებულ მხარეთა შერჩევა კონსულტაციის პროცესისათვის? - რამდენად გასაგებია პროფილის დეფინიცია, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა და პროგრამის ადგილი ნაციონალურ და საერთაშორისო კონტექსტში? - რამდენად დასაბუთებულია მოლოდინი, რომ აკადემიური ხარისხი აღიარებულ იქნება მომავალი დასაქმების კონტექსტში? რამდენად შეესაბამება ის სპეციფიკურ პროფესიულ თუ საზოგადოებრივ კონტექსტს? - რამდენად რთულია პროგრამის პროფილი პერსონალისა და სტუდენტებისათვის? - გაცნობიერებულია თუ არა საგანმანათლებლო კონტექსტი, რომელშიც პროგრამაა შეთავაზებული?
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> - რამდენად მკაფიოდ და ადეკვატურად იქნა განსაზღვრული სწავლის შედეგები მთელი პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტებისათვის? - რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის განსაზღვრულ პროფილს? რამდენად ადეკვატურია მათი გადანაწილება პროგრამის ხვადასხვა ნაწილზე? - რამდენად გარანტირებულია პროგრამისა და მისი ნაწილების პროგრესი და თანამიმდევრულობა? - ჩამოყალიბებულია თუ არა სწავლის შედეგები ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატში და გამოხატავს თუ არა ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, შესაძლებლობებსა და ღირებულებებს? - რა გარანტიები არსებობს სწავლის შედეგების აღიარებისა და გაგებისათვის ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ?
კომპეტენციები	<ul style="list-style-type: none"> - რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული და ფორმულირებული სტუდენტის მიერ გამოსამუშავებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები? - რამდენად შეესაბამება კომპეტენციების დონე სპეციფიკურ პროგრამას? - იძლევა თუ არა კომპეტენციების აღწერის ფორმატი მათი გაზომვის/შეფასების საშუალებას? - რამდენად გარანტირებულია პროგრესი კომპეტენციების განვითარების პროცესში? - რამდენად შესაძლებელია კომპეტენციების ადეკვატური შეფასება? რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული კომპეტენციების შეფასების მეთოდიკა და რამდენად ადეკვატურად ასახავს ის დასახულ სწავლის შედეგებს? - რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული კომპეტენციების სწავლისა და სწავლების მიდგომები? რის მიხედვით ვმსჯელობთ, რომ შედეგი მიღწევადია? - რამდენად ინოვაციური/კრეატიული და განსხვავებულია არჩეული მიდგომები?

	<ul style="list-style-type: none"> - რამდენად თავსებადია და შესაძარია კომპეტენციები მოცემულ დარგობრივ სფეროში არსებულ ევროპულ ათვისების წერტილებთან?
დონე	<ul style="list-style-type: none"> - სწავლის საჭიროებების განსაზღვრისას რამდენად იქნა გათვალისწინებული პოტენციური სტუდენტების დონე? - რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების დონე კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოში განსაზღვრულ დონეს/აკადემიურ საფეხურს? - თუ ქვედონეები გათვალისწინებულია, აღწერილია თუ არა ისინი კომპეტენციების ფორმატში? - აღწერილია თუ არა დონეები: <ul style="list-style-type: none"> • ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობის ფორმატში; • პრაქტიკაში ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების გამოყენების ფორმატში; • ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ფორმატში; • ცოდნისა და გაცნობიერების კომუნიკაციის ფორმატში; • სწავლის შემდგომი გაგრძელების ფორმატში.
კრედიტები და სასწავლო დატვირთვა	<ul style="list-style-type: none"> - გამოყენებულია თუ არა პროგრამაში ECTS-ის კრედიტები? ეთანხმება თუ არა ECTS-ის ძირითად მახასიათებლებს? - განაწილებულია თუ არა კრედიტები პროგრამაში? რამდენად და როგორაა კრედიტების განაწილების ადეკვატურობა უზრუნველყოფილი? - როგორია კავშირი კრედიტებსა და სწავლის შედეგებს შორის? - როგორ მოწმდება კორელაცია დატვირთვასა და კრედიტების განაწილებას შორის? - როგორაა უზრუნველყოფილი დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა თითოეული სასწავლო პერიოდისათვის სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონტექსტში? - რა მექანიზმები გამოიყენება კრედიტების განაწილების შემოწმებისათვის? რამდენად და როგორ არიან სტუდენტები ამ პროცესში ჩართულები? - არის თუ არა ECTS-ის გზამკვლევაში პროგრამის (კრედიტებისა და მოდულების) შესახებ ინფორმაცია მოცემული? - როგორ არის წახალისებული პროგრამაში სტუდენტთა მობილობა? - როგორ იღებენ სტუდენტები კონსულტაციას მობილობის შესახებ? - რამდენად გამოიყენება ECTS-ის ძირითადი დოკუმენტები სტუდენტთა მობილობისათვის? - ვინაა პასუხისმგებელი ცნობის/აღიარების პროცედურებზე და ცნობის/აღიარების რომელი პროცედურები გამოიყენება?
რესურსები	<ul style="list-style-type: none"> - როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამისა და რესურსების ფორმალური მხარე? - როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და დამხმარე პერსონალის კომპლექტაცია? საჭიროებს თუ არა პროგრამა სხვა ინსტიტუტებიდან/ დაწესებულებებიდან მასწავლებელთა მოწვევას? - რამდენადაა გათვალისწინებული პერსონალის განვითარება სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების მხრივ? - როგორაა უზრუნველყოფილი საჭირო სტრუქტურული, ფინანსური და ტექნიკური რესურსები (საკლასო ოთახები, აღჭურვილობა, უსაფრთხოების პროცედურები და ა.შ.)? <p>სამუშაო პრაქტიკის შემთხვევაში, როგორაა უზრუნველყოფილი საწარმო და შესაბამისი</p>

პრაქტიკის განხორციელების ადგილი?

პროგრამის მიწოდება, შენახვა და შეფასება

<p>მონიტორინგი</p>	<ul style="list-style-type: none"> - როგორ ხორციელდება პროგრამისა და მისი კომპონენტების მიწოდების ხარისხის მონიტორინგი? - როგორ ხორციელდება პროგრამის პერსონალის ხარისხისა და მოტივაციის მონიტორინგი? - არსებობს თუ არა საგანმანათლებლო გარემოს/პრაქტიკის განხორციელების ადგილის შეფასების სისტემა? - შეესაბამება თუ არა საკლასო ოთახები და აღჭურვილობა პროგრამის მიზნებს? - როგორ მოწმდება სტუდენტების დონე პროგრამაზე მოხვედრისას? - როგორ მოწმდება სტუდენტთა მოსწრება მიღწეული სწავლის შედეგებთან მიმართებაში და პროგრამისა და მისი კომპონენტების შესწავლისათვის საჭირო დროის კონტექსტში? - როგორ მოწმდება კურსდამთავრებულთა დასაქმება? - როგორ არის ორგანიზებული კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა? - გროვდება თუ არა ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესახებ?
<p>განახლება</p>	<ul style="list-style-type: none"> - როგორაა ორგანიზებული პროგრამის განახლებისა და შემოწმების სისტემა? - როგორ აისახება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები პროგრამაში? - როგორ მიმართებაშია აკადემიური პერსონალის განვითარება დაკავშირებული პროგრამის განახლების ორგანიზაციასთან?
<p>მდგრადობა და პასუხისმგებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - როგორაა უზრუნველყოფილი პროგრამის მდგრადობა? - როგორაა უზრუნველყოფილი ის, რომ რელევანტური სტრუქტურები იღებენ პასუხისმგებლობას პროგრამის მდგრადობასა და განახლებაზე?
<p>ორგანიზაცია და ინფორმაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> - რამდენადაა უზრუნველყოფილი ინფორმაციის განახლება პროგრამის ორგანიზაციის შესახებ? - როგორაა უზრუნველყოფილი სტუდენტთა მხარდაჭერისა და კონსულტაციების/ტუტორინგის სისტემა? - გაიცემა თუ არა დიპლომის დანართი სტუდენტებისათვის ავტომატურად და უფასოდ ევროპაში ფართოდ გამოყენებულ ენაზე?

დანართი II

ტუნინგის კურიკულუმის შემოწმების ფორმა

კურიკულუმის შეფასების ფარგლებში შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი ელემენტები: საგანმანათლებლო პროცესი, განათლების შედეგი და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

საგანმანათლებლო პროცესი:

- აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები);
- სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
- პროგრამის სტრუქტურა და პროგრამის ელემენტების თანამიმდევრობა;
- პროგრამის კოჰერენტულობა;
- სასწავლო დატვირთვის განაწილება სემესტრებსა და აკადემიურ წლებზე;
- პროგრამის ვარგისიანობა;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
- კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან;
- საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა მობილობა.

განათლების შედეგი:

- სტუდენტთა რაოდენობა, განთესვა და სხვა პროგრამებზე გადასვლა;
- პირველი და მეორე საფეხურების შედეგები;
- დასაქმება.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები):

- სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები;
- პერსონალი და მატერიალური რესურსები;
- სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ ტუტორები.

საგანმანათლებლო პროცესი

1. აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები)

წინაპირობები:

აკადემიურ პროგრამას მკაფიოდ განსაზღვრული პროფილი აქვს, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიური ხარისხის მოთხოვნებს შეესაბამება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მოლოდინებს, უზრუნველყოფს რა შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულების დასაქმებას.

კითხვები:

რამდენად უჩვენებს ხელთ არსებული მონაცემები, ემთხვევა თუ არა პროგრამის პროფილი განსაზღვრულ მოთხოვნებს? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

2. სწავლის შედეგები და კომპეტენციები

წინაპირობები:

აკადემიურ პროგრამას მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები აქვს, რომელიც პროგრამის პროფილს ასახავს. სწავლის შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება და უნარები)

კითხვები:

რამდენად შეესაბამება პროგრამის პროფილს დასახული სწავლის შედეგები და კომპეტენციები? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

3. პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები და კომპეტენციები

წინაპირობები:

პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის საშუალოდ ხუთი სწავლის შედეგია ფორმულირებული, რომლებიც ცალსახად შეესაბამება მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს და მათ შემუშავებას უწყობს ხელს. სწავლის შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება და უნარები).

კითხვები:

აღწერილია თუ არა სწავლის შედეგები მკაფიოდ საგნის/მოდულის სილაბუსებში და საჭიროების შემთხვევაში რამდენადაა განმარტებული? რამდენადაა გასაგები მახასიათებლებიდან, რომ დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების გავარჯიშება ხორციელდება? არის თუ არა მითითებული, კომპეტენციების რომელი დონეა მისაღწევი?

4. პროგრამის სტრუქტურა და ცალკეული კომპონენტების თანმიმდევრობა

წინაპირობები:

კურიკულუმი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფილია მთელი პროგრამის კოჰერენტულობა მის სხვადასხვა ფაზასა და სხვადასხვა კომპონენტს შორის. მუდმივი პროგრესი უზრუნველყოფილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების მხრივ ცონდის, გაცნობიერებისა და უნარების გათვალისწინებით.

კითხვები:

რამდენად ცხადია პრაქტიკაში, რომ პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს კოჰერენტულობას და დასახული კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

5. სასწავლო დატვირთვის განაწილება

წინაპირობები:

პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ კარგად დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა მის ყველა კომპონენტზეა გადანაწილებული როგორც სემესტრების, ისე აკადემიური წლების მიხედვით. პროგრამის კომპონენტებისათვის გაანგარიშებული დატვირთვა შეესაბამება საშუალო სტუდენტისათვის იმ დროს, რომელსაც ის დასახული მიზნების მიღწევას ანდომებს.

კითხვები:

რამდენადაა ნაჩვენები პრაქტიკაში, რომ სასწავლო დატვირთვა ზემოთ აღნიშნული პრინციპების მიხედვითაა გადანაწილებული? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

6. პროგრამის დაძლევის შესაძლებლობა

წინაპირობები:

პროგრამა ისეა ორგანიზებული, რომ მისი დაძლევა (განსაზღვრულ დროში პროგრამის მიზნების მიღწევა) შესაძლებელია საშუალო სტუდენტისათვის. ეს გულისხმობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების კარგ კომბინაციას, პროგრამის კომპონენტების თავსებადობასა და აკადემიური პერსონალის მხრიდან საკმარის ყურადღებას.

კითხვები:

რამდენადაა უზრუნველყოფილი და გაწონასწორებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა, და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

7. სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები

წინაპირობები:

გამოიყენება სწავლის, სწავლებისა და შეფასების განსხვავებული მეთოდები, რომლებიც შერჩეულია დასახული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევისათვის ადეკვატურობის შესაბამისად.

კითხვები:

რამდენად უზრუნველყოფს ხელმისწავდომი ინფორმაცია, კერძოდ, საგანმანათლებლო და შეფასების რეგულაციები, კურსის სილაბუსები, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

8. კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან

წინაპირობები:

პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ ის სტუდენტთა სასტარტო დონეს ითვალისწინებს. პირველი საფეხურის პროგრამებისათვის გასათვალისწინებელია კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო პროგრამასთან, ხოლო მეორე საფეხურის პროგრამებისათვის – პირველი საფეხურის პროგრამებთან.

კითხვები:

რამდენად უზრუნველყოფილია ზემოთ აღნიშნული კავშირების დაცვა, რომ სტუდენტის წინა კვალიფიკაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგ საფეხურზე განათლების გაგრძელებისათვის? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

9. საერთაშორისო თანამშრომლობა

წინაპირობები:

არსებობს სტრუქტურული კოოპერაცია უცხოელ პარტნიორ ინსტიტუტებთან. ეს თანამშრომლობა შეიძლება ერთობლივი აკადემიური პროგრამების ან სტუდენტთა მობილობის ფორმატში გამოიხატოს. სტუდენტთა მობილობისას მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი აღიარებული უნდა იყოს.

კითხვები:

რამდენადაა უზრუნველყოფილი რომ სტუდენტი არ ჩამორჩება, თუ მან პროგრამის ნაწილი უცხოელ პარტნიორ ინსტიტუტში გაიარა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი თავად არის პასუხისმგებელი (მაგალითად, თუ პროგრამა კონსულტაციის გარეშე ან გათვალისწინების გარეშე აირჩია, ან ვერ დაძლია პროგრამის კომპონენტები)? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

განათლების შედეგი

10. პირველი და მეორე საფეხურების (რეალიზებული) შედეგები

წინაპირობები:

ფაკულტეტი/დეპარტამენტი შემდეგი მიზნების მიღწევას ცდილობს: სწავლის პირველი წლის წარმატებული დამთავრება xx% (მაქსიმუმ პროგრამის დასაწყისიდან ორ წელიწადში), პირველი საფეხურის დასრულება პირველი წლის დასრულებაზე დაფუძნებით xx% (პროგრამის დაწყებიდან ოთხ წელიწადში), მეორე საფეხურის პროგრამის დასრულება xx% (ორი ან სამი წელი პროგრამის დაწყებიდან).

კითხვები:

მართლაც მიიღწევა დასახული პროცენტული მაჩვენებლები? თუ არა, რატომ? რა შემოთავაზებებია გაუმჯობესებისათვის?

11. დასაქმება

წინაპირობები:

პროგრამა ამართლებს საზოგადოების მოლოდინს, რაც იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ შრომის ბაზარზე დასაქმება ძირითადად კარგია.

კითხვები:

პოულობენ თუ არა კურსდამთავრებულები სწავლის დასრულების შემდეგ დროის მისაღებ პერიოდში მათი კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამის სამსახურს?

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები)

12. სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები

წინაპირობები:

არსებობს საკმარისი სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის.

კითხვები:

არსებობს თუ არა რესურსების ნაკლებობა პროგრამის განხორციელების დროს?

13. პერსონალი და მატერიალური რესურსები

წინაპირობები:

პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პერსონალია ხელმისაწვდომი როგორც პედაგოგიური, ისე დამხმარე პერსონალიდან (ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი). თითოეული პროგრამა/სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფილია პროგრამისათვის საჭირო რესურსებით (მოწვეული ლექტორები, მასალები და ა.შ.)

კითხვები:

რამდენადაა საკმარისი ეს რესურსები პრაქტიკაში?

14. სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ტუტორები

წინაპირობები:

არსებობს და მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა.

კითხვები:

რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს ის სტუდენტთა მოთხოვნებს?

7. თუნინგის ტერმინების ლექსიკონი (ნოემბერი, 2006)

აკადემიური / პროფესიული ხარისხი

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული ფორმალური კვალიფიკაცია. კრედიტების დაგროვების სისტემაში პროგრამა დასრულებულია სწავლის შედეგების გარკვეული ნაკრების მიღწევისათვის კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვების შემდეგ.

აკადემიური/პროფესიული ხარისხის პროფილი

საგანმანათლებლო პროგრამის ან კვალიფიკაციის თავისებურებების აღწერა. იგი იძლევა პროგრამის სპეციფიკურ მიზნებზე დაფუძნებულ ძირითად მახასიათებლებს. კერძოდ, როგორ შეესაბამება იგი დისციპლინების აკადემიურ რუკას ან თემატურ სწავლას და რა კავშირი აქვს დასაქმების სფეროსთან/ პროფესიულ სამყაროსთან. კვალიფიკაციის ახალი პროფილი ჩვეულებრივად წარმოადგენს საზოგადოების საჭიროების ანალიზის პროცესის შედეგს, რომელიც კომბინირებულია დარგობრივი სფეროების საჭიროებებისა და ასევე, იმ ფინანსური და ადამიანური რესურსების შესწავლასთან, რაც პროგრამის განხორციელების საშუალებას იძლევა.

ათვლის წერტილი

არადირექტიული ინდიკატორი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ერთმანეთს საგანმანათლებლო პროგრამები დარგობრივ დონეზე.

არჩევითი კურსის ერთეული

კურსის ერთეული ან მოდული, რომლის არჩევაც შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ სავალდებულო არაა ყველა სტუდენტისათვის. ზოგიერთ სისტემებში განასხვავებენ არჩევით (კურსის ერთეულები, რომელთა არჩევაც ხდება წინასწარ-განსაზღვრული სიიდან) და აბსოლუტურად თავისუფალ კურსის ერთეულებს.

გამოცდა

გამოცდა, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ფორმალურ წერით და/ან ზეპირ ტესტს, რომელიც ტარდება გარკვეულ ვადებში (სემესტრის ბოლოს ან სემესტრის განმავლობაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის, კურსის ან მოდულის დასრულებისას.

განმეორებითი გამოცდა

სტუდენტს, რომელმაც ვერ შეძლო დანიშნულ დროზე გამოცდაზე გასვლა ან ჩაიჭრა, შეიძლება მიეცეს საშუალება მოგვიანებით მიიღოს მონაწილეობა განმეორებით გამოცდაში ან შეფასებაში.

დაახლოება

დაახლოება ნიშნავს ზოგადი მიზნების მისაღწევად შესაბამისი პოლიტიკის ნებაყოფლობით აღიარებასა და მიღებას. ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების არქიტექტურის დაახლოება გათვალისწინებულია ბოლონის პროცესით. თუნინგის პროექტი ეძებს დაახლოების წერტილებს, მრავალფეროვანი პრაქტიკის აღიარებისა და ცოდნის გაზიარების შეთანხმებული ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში.

დიპლომის დანართი

დიპლომის დანართი წარმოადგენს ოფიციალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის დამატებას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონეზე აღიარებული და შეთანხმებული ფორმატის შესაბამისად უზრუნველყოს დეტალური ინფორმაციის მოწოდება დასრულებული სწავლის შესახებ. გამჭვირვალობისა და შესადარობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული ფორმატი აკურატულად შევავსოთ.

დონეები

დონეები თანამიმდევრული ნაბიჯების ლოგიკური მწკრივია, რომელიც უნდა გაიაროს სტუდენტმა (განვითარების კონტინუუმის ფარგლებში) და აღწერილია ზოგადი შედეგების ტერმინით.

დონის დისკრიპტორი

წარმოადგენს განაცხადს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკურ ეტაპზე მოსალოდნელი შედეგის სიღრმისა თუ მოცულობის ჩვენებას. დონის დისკრიპტორი სასარგებლო ინსტრუმენტია პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვისათვის, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში.

დოქტორის ხარისხი

კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭებათ მესამე საფეხურის დასრულების შემდეგ. ის მოიცავს ორიგინალურ სამეცნიერო კვლევას, რომელიც წარმოადგენილია დისერტაციაში /თეზისში.

დუბლინის დესკრიპტორები

დუბლინის დესკრიპტორი წარმოადგენს ბოლონის პროცესის საფეხურის დასრულების აღმნიშვნელ დიპლომთან ასოცირებული მიღწევებისა და შესაძლებლობების შესახებ ტიპური მოლოდინის ძალზედ ზოგად განაცხადს. დონის ზოგადი დესკრიპტორები შემუშავდა ასევე “პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული მოკლე/შუალედური საფეხურისათვისაც”. დესკრიპტორი შედგება კომპეტენციის დონეებით გამოხატული კრიტერიუმების ნაკრებისაგან, რომელიც საშუალებას გვაძლევს ზოგადი საფუძვლით ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სხვადასხვა საფეხური:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- ინფორმირებული დასკვნის გაკეთება;
- საკომუნიკაციო უნარები;
- სწავლის გაგრძელების უნარი.

დუბლინის დესკრიპტორები შემუშავდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ ე. წ. “ხარისხის ერთობლივი ინიციატივის” (JQI) ფარგლებში. “ხარისხის ერთობლივი ინიციატივა” და თუნინგი განიხილება, როგორც ურთიერთშემავსებელი ორივე მხარის მიერ.

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

ECTS არის სტუდენტზე ორიენტირებული კრედიტების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად საჭირო სტუდენტის დატვირთვაზე და პრინციპზე, რომ 60 კრედიტი წარმოადგენს დასწრებული სწავლების სტუდენტის დატვირთვას ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. ევროპაში დასწრებული სწავლების ერთი სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 1500 – 1800 საათს წელიწადში. კრედიტების განაწილება ხდება ოფიციალური გეგმის საფუძველზე. თუ საგანმანათლებლო პროგრამა ოფიციალურად აღემატება აკადემიური წლის ნორმალურ ხანგრძლივობას, მაშინ შესაძლებელია უფრო მეტი რაოდენობის კრედიტების მიღებაც. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეორე საფეხურზე. მთელი კალენდარული წლის განმავლობაში დაგეგმილი საგანმანათლებლო

პროგრამა მოითხოვს დასწრებული სწავლების 50-52 კვირას (ზაფხულის არდადეგების გარეშე) და ამ შემთხვევაში სწავლის შედეგებისა და შესაბამისი დატვირთვის გათვალისწინებით შესაძლებელია 75 კრედიტის აღება.

ის ასევე წარმოადგენს სისტემას, რომელიც კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მეშვეობით ხელს უწყობს ევროპაში სტუდენტების მობილობას. ECTS ასევე ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და მის განვითარებას. განსაკუთრებით, ეს შეეხება, ერთდროულად მიმდინარე კურსის ერთეულების მოთხოვნის რეგულირებას სტუდენტთან მიმართებაში.

თეზისი

თეზისი არის ოფიციალურად წარმოდგენილი წერილობითი ანგარიში, რომელიც ემყარება დამოუკიდებელ კვლევას/საპროექტო სამუშაოს და აუცილებელია აკადემიური ხარისხის მისაღებად (ზოგადად პირველი ან მეორე საფეხურის ხარისხის ან დოქტორის). მას ასევე შეიძლება ეწოდოს დისერტაცია.

თუნინგის პროექტი

ევროპაში საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა - თუნინგი უნივერსიტეტების მიერ მართული პროექტია, რომლის მიზანია უმაღლესი სასწავლებლებისა და დარგობრივი სფეროების დონეზე უნივერსალური მიდგომის შეთავაზება ბოლონის პროცესის განსახორციელებლად. თუნინგის მიდგომა ბოლონის ყველა საფეხურისათვის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განვითარების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაა. უფრო მეტიც, თუნინგი ეს არის პლატფორმა კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ათვლის წერტილების განვითარებისათვის. თუნინგი განასხვავებს დარგობრივ (დარგის სპეციფიკურ) და ზოგად კომპეტენციებს. პროექტის ფარგლებში მუშავდება საფეხურის (დონის) დესკრიპტორები დარგობრივი სფეროების სულ უფრო მზარდი რაოდენობისათვის. პროექტი დაიწყო 2000 წელს, მას ფინანსურად მხარს უჭერს ევროკავშირი. მასში მონაწილეობს ბოლონის პროცესის ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა. მსგავსი პროექტი, “თუნინგი ლათინური ამერიკა”, შემუშავდა 2003 წელს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის 18 ქვეყნისათვისაც და მასაც “ალფა-პროექტის” ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირმა აღმოუჩინა

კვალიფიკაცია

ნებისმიერი ხარისხი, დიპლომი ან სხვა სერტიფიკატი, გაცემული კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებას.

კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო

კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო (EQF) წარმოადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ეროვნული (და/ან სექტორული) კვალიფიკაციების ჩარჩოებს შორის ურთიერთობის გამჭვირვალობას. იგი ეროვნულ ჩარჩოებს შორის საარტიკულაციო მექანიზმია. ამჟამად არსებობს კვალიფიკაციების ორი ევროპული ჩარჩო. ერთი ფოკუსირებულია უმაღლეს განათლებაზე და ინიცირებულია ბოლონის პროცესის მიერ, მეორე კი ფოკუსირებულია მთლიანად განათლების სისტემაზე და ინიცირებულია ევროკომისიის მიერ. პირველ ჩარჩოს ეწოდება “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო” და მისი ინგლისური აბრევიატურაა EQF, მეორე ჩარჩო ფარავს ყველა სფეროს და, მათ შორის, უმაღლეს განათლებასაც და მას ეწოდება კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის. მისი აბრევიატურაა EQF for LLL.

უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც მიღებულია ბოლონის პროცესის მონაწილე 45 ქვეყნის მიერ, წარმოადგენს სისტემას რომლის მიზანია:

- საშუალება მისცეს სტუდენტებს (მოქალაქეებს, დამსაქმებლებს და ა. შ.) მთელ ევროპაში სწორად აღიქვან და გაიგონ, როგორც უმაღლესი განათლების არსებული კვალიფიკაციები, ასევე სხვადასხვა ეროვნულ, ადგილობრივ და რეგიონულ კვალიფიკაციას შორის ურთიერთდამოკიდებულება;
- ხელი შეუწყოს მობილობას, თანამშრომლობას, გამჭვირვალობას, აღიარებას, მოქნილობასა და ინტეგრაციას(კავშირებს) ევროპის უმაღლესი განათლების ფარგლებში და ამ სისტემებს შორის;
- დაიცვას საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა და განხორციელების მრავალფეროვნება და შესაბამისად ნაციონალური, რეგიონული, ლოკალური და ინსტიტუციური აკადემიური ავტონომია;
- გააუმჯობესოს ევროპის უმაღლესი განათლების ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა. *იხილეთ ასევე კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო.*

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო არის ეროვნულ ან საგანმანათლებლო სისტემის დონეზე არსებული კვალიფიკაციების ერთიანი აღწერა, რომელიც გასაგებია საერთაშორისო დონეზეც. ჩარჩო აღწერს ყველა კვალიფიკაციას, რომლის მინიჭებაც ხდება სისტემის მიერ და მათ ლოგიკურ კავშირებს. ერთ-ერთი კარგი მაგალითია ირლანდიის რეპუბლიკის კვალიფიკაციების ჩარჩო <http://www.nqai.ie/en/>
იხილეთ ასევე კვალიფიკაციის დესკრიპტორები.

კვალიფიკაციის დესკრიპტორები (მახასიათებლები)

სწავლის შედეგების ზოგადი განაცხადი. ის უზრუნველყოფს მკაფიო ათვლის წერტილებს კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს შესაბამისი კვალიფიკაციის ძირითადი შედეგების აღწერისათვის და გვიჩვენებს დონეებს შორის განსხვავებას.

კოპორტა ან კლასი

სტუდენტების ჯგუფი, რომელმაც განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის ან კურსის ერთეულის შესწავლა ერთდროულად დაიწყო.

კომპეტენცია

კომპეტენცია არის კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების, ცოდნისა და გაცნობიერების, პიროვნებათაშორისი, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარებისა და ეთიკური ღირებულებების დინამიური კომბინაცია. კომპეტენციების გამომუშავება ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენცია ყალიბდება ყველა კურსის ერთეულის / მოდულის ფარგლებში და სხვადასხვა ეტაპზე ფასდება. კომპეტენციები იყოფა დარგთან დაკავშირებულ (დარგისათვის სპეციფიკური) და ზოგად კომპეტენციად (რომელიც საერთოა ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის). ჩვეულებრივად კომპეტენციები ვითარდება ინტეგრირებულად და ციკლურად მთელი პროგრამის განმავლობაში.

კრედიტი

“ვალუტა”, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სტუდენტის დატვირთვის გასაზომად. ის საშუალებას აძლევს მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეაფასონ სწავლის მოცულობა და დონე, რომელიც დაფუძნებულია სწავლის შედეგების მიღწევასა და მასთან ასოცირებულ, დროში ასახულ დატვირთვაზე. კრედიტი შეიძლება მიენიჭოს სტუდენტს პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის, წინა სწავლისა თუ კურსის შესწავლის მემკვიდრით დადგენილი სწავლის შედეგების დადასტურებულ

მიღწევის აღიარების ნიშნად. ჩვეულებრივ პირობებში არ შეიძლება ოდესღაც მიღებული კრედიტის დაკარგვა. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია დააწესოს პირობა, რომლის საფუძველზეც კრედიტი უნდა მიენიჭოს განსაზღვრულ ვადებსა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ეს შეიძლება მოხდეს ისეთ დარგობრივ სფეროებში, სადაც ცოდნა და უნარები სწრაფად იცვლება. მაგალითად, ინფორმატიკა, მედიცინა და ა.შ. იხილეთ ასევე *სტუდენტის დატვირთვა და სწავლის შედეგები*.

კრედიტების აკუმულაცია

კრედიტების აკუმულაცია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისათვის მიღებული კრედიტების დაგროვების პროცესია. კრედიტების აკუმულაციის სისტემაში პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად სრული პროგრამის ან მისი ნაწილის წარმატებით დასრულებისათვის კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული. კრედიტების მინიჭება და აკუმულაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ განსაზღვრული სწავლის შედეგის წარმატებით დასრულება დადასტურებულია შეფასებით.

კრედიტების აკუმულაციის სისტემა სტუდენტმა/მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლიდან/სხვადასხვა პროგრამიდან მიღებული კრედიტების ტრანსფერის ანუ “განადგებისათვის”. კრედიტი ტრანსფერულია როგორც ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამების ფარგლებში, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე (ხშირად, ტრანსფერის რაოდენობის გარკვეული ლიმიტებით). პროცესი საშუალებას აძლევს სტუდენტს/სწავლის მსურველს შეისწავლოს ცალკეული ერთეულები და მოდულები აკადემიური ხარისხის დაუყოვნებლივ მინიჭების გარეშე. ასევე საშუალებას აძლევს მათ მიიღონ შუალედური, არასრული სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები. ნებისმიერ შემთხვევაში ხარისხის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადასაწყვეტია, რომელი კრედიტის ცნობა შეიძლება განხორციელდეს ხარისხის მიღების მიზნებისათვის.

კრედიტის დონე

მოცემულ კურსის ერთეულს ან მოდულში სწავლისა და მოსწავლის ავტონომიის შეფარდებითი მოთხოვნის ინდიკატორი. ის ჩვეულებრივად ეფუძნება სწავლის სირთულესა და სიღრმეს და ზოგჯერ ასოცირდება სასწავლო წელთან (სამწლიანი პროგრამის 1/2/3/დონე), ან კურსის შინაარსთან (საბაზო/საშუალო/ მაღალი).

კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება

ამ ფორმის შეფასების დროს გარკვეული შედეგები: ცოდნა, გაცნობიერება, უნარები, შესაძლებლობები და/ან დამოკიდებულებები მითითებულია, როგორც დადებითი შეფასების მიღების კრიტერიუმები. კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება ასოცირებულია სწავლის შედეგების სასურველი და/ან ზღვრული მინიმუმის მიღწევასთან. ნორმაზე დაფუძნებულ შეფასების დროს სტუდენტების შეფასება ხორციელდება ერთმანეთთან შედარებით, ჩვეულებრივად თავისი კოპორტის ფარგლებში. შეფასების ეს სისტემა არ შეესაბამება კომპეტენციებზე დაფუძნებულ კურიკულუმს.

კურსი

ხშირად გამოიყენება პროგრამის ან კურსის ერთეულის სინონიმად. თუნიზის პროექტი ტერმინით – პროგრამა, აღნიშნავს მთლიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სრულდება ხარისხის მინიჭებით, ხოლო ტერმინით “კურსის ერთეული” აღნიშნავს ასეთ პროგრამაში სტრუქტურირებული სწავლების უფრო მცირე ერთეულს.

კურსის ერთეული

სწავლების დამოუკიდებელი, ფორმალურად სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილება. მას უნდა ჰქონდეს ურთიერთდაკავშირებული, დეტალური და კომპეტენციის სახით აღწერილი სწავლის შედეგები და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. კურსის ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ კრედიტების განსხვავებული რაოდენობა, თუმცა რეკომენდირებულია, რომ ერთეულებს ჰქონდეთ ერთნაირი ან ჯერადი კრედიტები. თეზისის ან პრაქტიკისათვის განკუთვნილი კურსის ერთეულები წარმოადგენენ პროგრამის შემადგენელ ნაწილებს.

მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი

მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება პიროვნებას მეორე საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ. ეს საფეხური შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსაც. მას ხშირად მაგისტრის ხარისხს უწოდებენ. ჩვეულებრივ, სტუდენტი მეორე საფეხურზე დაიშვება პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ.

მოდული

ამ ტერმინს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთში ის ნიშნავს კურსის ერთეულს; მეორეში კი წარმოადგენს კურსის ერთეულების ჯგუფს. მეტი სიცხადისათვის თუნინგი იყენებს ECTS –ის განმარტებას. კერძოდ, მოდული განსაზღვრულია, როგორც კურსის ერთეული ისეთ სისტემაში, სადაც კურსის თითოეული ერთეული განისაზღვრება კრედიტების ერთი და იმავე რაოდენობით ან მისი ჯერადით. იხილეთ ასევე კურსის ერთეული.

მოსალოდნელი “სწავლის შედეგები”

სწავლის შედეგები არის განაცხადი - გაკეთებული აკადემიური პერსონალის მიერ - იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სტუდენტს სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგებს თან უნდა ახლდეს შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, მიღწეულ იქნა თუ არა სწავლის მოსალოდნელი შედეგები. სწავლის შედეგები შეფასების კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს მოთხოვნებს კრედიტის მისანიჭებლად. ნიშანი კი ეფუძნება კრედიტის მისაღებად განსაზღვრული მოთხოვნების მიღწევას. კრედიტების აკუმულაცია და ტრანსფერი ადვილდება, თუ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები იმ მიღწევების აღსანიშნავად, რისთვისაც კრედიტები გაიცემა.

ნიშანი

ნიშანი არის რიცხვობრივი ან ხარისხობრივი საზომი ერთეული, რომელიც დაფუძნებულია კარგად ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებზე და გამოიყენება როგორც ინდივიდუალური მოდულის ან კურსის ერთეულის ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების აღწერისათვის.

პირველი საფეხურის აკადემიური/პროფესიული ხარისხი

უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება კურსდამთავრებულს პირველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ. ბოლონიის დეკლარაციის თანახმად პირველი საფეხური ჩვეულებრივად მინიმუმ სამი წელი გრძელდება ან 180 კრედიტს შეადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამა

კურსის ერთეულების ან მოდულების დამტკიცებული ერთობლიობა, რომელიც აღიარებულია სპეციფიკური აკადემიური/პროფესიული ხარისხის მისაღებად. იგი განისაზღვრება კომპეტენციებით აღწერილი სწავლის შედეგებითა და მისანიჭებელი კრედიტებით.

საკონტაქტო საათები

სწავლება/სწავლის საქმიანობის 45-60 წუთიანი პერიოდი, როდესაც მასწავლებელი ჩართულია უშუალოდ სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლების პროცესში.

საკურსო სამუშაო

კურსის ერთეულის ან მოდულის ფარგლებში მოთხოვნილი და როგორც წესი, შეფასებული სასწავლო საქმიანობა.

საფეხურები

უმაღლესი განათლების ყველა ევროპული კვალიფიკაცია განთავსებულია სამ საფეხურზე. ბოლონიის დეკლარაციაში მოცემულ ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს “ორ ძირითად საფეხურზე (დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი) დაფუძნებული სისტემის შემოღება” სადოქტორო პროგრამები ახლა უკვე ჩართულია ბოლონიის სტრუქტურაში და მესამე საფეხურის სახელითაა ცნობილი.

საფეხურის(დონის) დესკრიპტორები

თითოეული საფეხურისათვის მოსალოდნელი ფართო შედეგების ზოგადი განაცხადი. საფეხურის(დონის) ზოგადი დესკრიპტორების კარგი მაგალითია ე. წ. “დუბლინის დესკრიპტორები”, რომელიც შემუშავდა ექსპერტების ჯგუფის მიერ “ხარისხის ერთობლივი ინიციატივის” (JQI) ფარგლებში. ეს დესკრიპტორები (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან ერთად) წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს ერთ-ერთ საფუძველს. იხილეთ ასევე “დუბლინის დესკრიპტორები”, კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო და დონის დესკრიპტორები.

სტუდენტის დატვირთვა

დრო (მოცემული საათებში), რომელიც უნდა დახარჯოს ტიპურმა სტუდენტმა (განსაზღვრული საფეხურის/დონის) განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს დრო მოიცავს ყოველგვარ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც მოეთხოვება სტუდენტს (მაგალითად, ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, ინფორმაციის მოძიებას, დამოუკიდებელ მუშაობას და ა.შ.).

სტუდენტის შეფასება

სტუდენტის წარმატების შესამოწმებლად კურსის ერთეულის ან მოდულის ფარგლებში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა. ეს მეთოდები ჩვეულებრივად მოიცავს წერით, ზეპირ, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ ტესტებს/გამოცდებს, პროექტებს ან პორტფოლიოს. შეფასება შეიძლება გამოიყენოს თვით სტუდენტმა საკუთარი წარმატების შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად (მაფორმირებელი შეფასება) ან უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგებს კურსის ერთეულის ან მოდულის ფარგლებში (შემაჯამებელი შეფასება). იხილეთ ასევე უწყვეტი შეფასება/კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება

სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი

სტუდენტის მოლოდინის აღწერა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს და რა დონეზე, რათა მოახდინოს თავისი სწავლის შედეგებისა და წარმატებების დონის დემონსტრირება.

შესაბამისი დისციპლინის ფარგლებში შესასწავლი მოდულის კრიტერიუმები ჩვეულებრივად დაკავშირებულია საფეხურის/დონის დესკრიპტორებთან. სტუდენტებისათვის კრიტერიუმები ჩვეულებრივად მოცემულია კურსის კატალოგებში ან მსგავს დოკუმენტებში მოსალოდნელი სწავლის შედეგების, სილაბუსების და ა. შ. გვერდით, მოდულის/კურსის ერთეულის დაწყებამდე.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება უნივერსიტეტების მიერ. სწავლების მეთოდების ნაკრები მკაცრად და დამოკიდებული განათლების ინსტრუქტაჟის ფორმაზე (პირდაპირი კონტაქტი მასწავლებელსა და სტუდენტს შორი, განათლება კორესპონდენციით ან დისტანციური სწავლება). თუნინგის კონსულტაციებით გამოვლინდა შემდეგი ჩამონათვალი (რომელიც ცხადია სრულყოფილი არ არის):

- სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში);
- კონსულტაცია (ტუტორიალი);
- კვლევითი სემინარი;
- სავარჯიშოების (პრაქტიკული) კურსი;
- კლასში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა (ვორკშოპი);
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სხდომები;
- ლაბორატორიული მეცადინეობა;
- სადემონსტრაციო კლასები;
- პრაქტიკა (ინტერნშიპი);
- სამუშაო პრაქტიკა;
- საველე პრაქტიკა / ველზე მუშაობა
- დისტანციური სწავლება, რომელიც შეიძლება სახელმძღვანელობის ან მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე მიმდინარეობდეს.

ეს ჩამონათვალი მხოლოდ ინდიკაციური ხასიათისაა და სწავლების კატეგორიების სიას წარმოადგენს, მაშინ როდესაც მათი გამოყენების ხარისხი და ხასიათი იცვლება არა მარტო სხვადასხვა მასწავლებლის, არამედ ერთი მასწავლებლის ყოველდღიურ პრაქტიკაშიც კი. ეს დამოკიდებულია სწავლების აქცენტებსა და სასურველ სწავლის შედეგებზე. ისევე როგორც სწავლებაში, სწავლაშიც მრავალფეროვანი საქმიანობა გამოიყენება უნივერსიტეტების მიერ. ქვემოთ მოყვანილი (ცხადია არასრული) ჩამონათვალი შეგვიქმნის წარმოდგენას, თუ რამდენად მდიდარია სწავლისა და სწავლების შესაძლებლობები.

- ლექციების, სემინარებსა და ტუტორიალებზე ასევე ლაბორატორიულ სესიებზე დასწრება
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული კლასებში მონაწილეობა;
- შენიშვნების ჩაწერა;
- რელევანტური მასალი მობიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- რელევანტური მასალის, ტექსტების წაკითხვა;
- შეჯამება;
- მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება;
- ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
- პროფესიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება (მაგალითად, საექთნო საქმეში, მედიცინაში, პედაგოგიაში);
- კვლევა და სტატიების, ანგარიშების, დისერტაციების წერა მზარდი სირთულით (მასალის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად);
- სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა პრობლემის გადაჭრისა და ამის შესახებ ანგარიშის შექმნის მიზნით;

- ზეპირი პრეზენტაციების მომზადება და ჩატარება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
- სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება;
- შეხვედრებში (ან სემინარებში) მონაწილეობა და მათი გაძლიერება;
- მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით სხვებთან მონაცემების შესახებ კომუნიკაცია;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- ჯგუფის გაძლიერება ან მისი ეფექტური წევრობა.

უმაღლესი განათლება

საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა, რომლებზედაც დაიშვებიან სტუდენტები, რომლებსაც, როგორც წესი, გააჩნიათ საშუალო სკოლის დამთავრების საბუთი ან სხვა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია ან სხვა სახის დასაბუთებული წინასწარი სასწავლო ან/და სამუშაო გამოცდილება. უმაღლესი განათლების განხორციელება შეუძლიათ უნივერსიტეტებს, დარგობრივ უნივერსიტეტებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კოლეჯებს, პოლიტექნიკურ სასწავლებლებსა და ა.შ.

უწყვეტი პროფესიული განვითარება/განათლება

უწყვეტი პროფესიული განვითარება არის მეთოდი, რომლის თანახმადაც ადამიანები სამუშაოზე ინარჩუნებენ, აუმჯობესებენ და აფართოებენ თავიანთ ცოდნას და უნარებს, ასევე განავითარებენ პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ პირად თვისებებს. ზოგიერთი ამას აკეთებს შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მეშვეობით, ზოგიერთები კი უპირატესობას ანიჭებენ თავისი განათლებისა და პროფესიის შესაბამის სპეციალურ მოდულებს ან კურსის ერთეულებს.

უწყვეტი შეფასება

შეფასების სისტემა, როცა სამუშაო ფასდება მთელი პროგრამის ან კურსის ერთეულის განმავლობაში და არა საბოლოო გამოცდაზე. მიღებული ქულები ხშირად ხელს უწყობს სტუდენტის საბოლოო შეფასების საბოლოო ქულას, იქნება ეს კურსის ერთეულისა თუ მთლიანად პროგრამისათვის.

ხელმძღვანელი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს დოქტორანტის პროგრესის მონიტორინგს, აძლევს რჩევებს და მითითებებს და შესაძლებელია ჩართულ იქნეს თეზისის შეფასების პროცესში. იხილეთ ასევე თეზისი

შეფასება

საგნის ან დეპარტამენტის/ფაკულტეტის და შესაბამისი აკადემიური ხარისხის პროგრამების სწავლებისა და აკადემიური სწავლის შეფასება მოიცავს ყველა იმ საქმიანობას, რომელთა ამოცანაა შეაფასოს ხარისხი და, ასევე მიზნის შესაბამისობა და მიზანთან შესაბამისობა. განათლებისა და მომზადების ძლიერი და სუსტი მხარეები შეიძლება განისაზღვროს ხარისხის მდგრადობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული ე. წ. “ინვენტარიზაციის”(არსებული მდგომარეობის პერიოდული აღწერის), ანალიზისა და გეგმების მეშვეობით. შეფასება შეიძლება განხორციელდეს, როგორც შიდა, ასევე გარე პროცედურებით. შიდა შეფასება მოიცავს ადმინისტრაციული მონაცემების სისტემატურ შეკრებასა და პერსონალის, სტუდენტებისა, და კურსდამთავრებულებისაგან უკუკვების მიღებას, ისევე როგორც სტრუქტურირებულ განხილვებს ლექტორებთან და სტუდენტებთან. გარე შეფასება მოიცავს კოლეგების ჯგუფის ვიზიტებს ფაკულტეტზე აკადემიური სწავლება/სწავლის ხარისხის განხილვის მიზნით. ასევე გამოიყენება გარე შემფასებლები, აკრედიტაცია და ა. შ.

ხარისხის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ შიდა და გარე პროცედურები უზრუნველყოფენ სტუდენტების სწავლის გაუმჯობესებას.

დაგვიკავშირდით

თუნინგის პროექტის კოორდინირებას ახორციელებენ: დეუსტოს უნივერსიტეტი, ესპანეთი და გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია.

გენერალური კოორდინატორები

ხულია გონზალესი დეუსტოს უნივერსიტეტი ესპანეთი relint@relint.deusto.es	რობერტ ვაგენაარი გრონინგენის უნივერსიტეტი ჰოლანდია r.wagenaar@rug.nl
--	---

პროექტის ასისტენტები

ინგრიდ ვან დერ მეერი ჰუმანიტარული ფაკულტეტი, თუნინგის პროექტი გრონინგენის უნივერსიტეტი P.O. Box 716 9700 AS Groningen The Netherlands Tel.: + 31 35 542 5038 / +31 50 3635263 Fax: + 31 50 363 5704 y.van.der.meer@rug.nl	პაბლო ბენეიტონე საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი დეუსტოს უნივერსიტეტი Av. De las Universidades 24 48007 Bilbao Spain Tel. :+34 944 139 068 Fax: +34 944 139 069 pbeneito@relint.deusto.es
--	---

დამატებითი ინფორმაციისათვის : <http://tuning.unideusto.org/tuningeu> და www.rug.nl/let/tuningeu